ჟირინოვსკის პიარბლეფი A3

"თქვენი აფხაზეთი" A8

მეცნიერება და ტექნიკა B6



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 23 ივნისი, 2004 წელი. №147 (696)

ფასი 50 თეთრი


### პოლიტიკა

**კარგი კანონი - ნაბიჯი საქართველოს მთლიანობისკენ**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ "აჭარის ავტონომიის გაუქმება ფაქიზი საკითხია, არ შეიძლება მისი სპონტანურად წამოწევა და მოსახლეობის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება."

A3

### ეკონომიკა

**როი საუსვორტი: "საქართველოს მთავრობა დონორთა შეხვედრაზე კარგად მომზადებული მოვიდა"**



რაში დაიხარჯება მილიარდი დოლარი და როგორ განხორციელდება თანხების კონტროლი? "24 საათის" შეკითხვებს მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი საქართველოში როი საუსვორტი პასუხობს.

A4

### უცხოეთი

**თავდასხმა ინგუშეთის სამართალდამცველებზე**



21-22 ივნისის ღამით დაწყებულმა სროლისა და აფეთქებების ხმამ რუსეთს ახალი გლოვის დღის დადგომა აუწყა.

A5

### საზოგადოება

**"დაგვეხმარეთ ექიმებს!"**



"ბატონო ლადო, დაგვეხმარეთ ექიმებს"! "ჩვენც შეგვეხოს პრეზიდენტის დემოკრატიული კურსი"! - ასეთი პლაკატები დახვდა გუშინ ლადო ჭიპაშვილს.

A6

### ამინდი

| | 23/6 | 24/6 |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | 34 |
| ქუთაისი | 32 | 35 |
| ბათუმი | 28 | 32 |
| სოხუმი | 28 | 29 |
| ფოთი | 30 | 32 |
| თელავი | 33 | 34 |
| ზუგდიდი | 32 | 33 |
| გორი | 29 | 32 |
| ახმეტა | 32 | 33 |
| ჭიათურა | 31 | 34 |
| გაგრა | 26 | 27 |
| სამტრედია | 31 | 35 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3201 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4998 |
| რუბლი | 0.0662 |

# გელაევის რეიდს პროკურატურა იძიებს

**ვინ და რა ინტერესების გამო მფარველობდა ჩეჩენი საველე მეთაურის რაზმის რეიდს საქართველოში**



*ეს ფოტო, რომელიც რუსლან გელაევის აფხაზეთის ტყეებში გადაადგილებას ასახავს, თავის დროზე "24 საათს" იაპონელმა ჟურნალისტმა კოსუკე ცუნეოკამ გამოუგზავნა.*

*გენერალური პროკურატურა ახალ რეზონანსულ საქმეს გამოიძიებს. გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა ჩატარებული მოკვლევის მასალებს ვიზა უკვე მისცა და რამდენიმე დღის წინ პროკურატურაში ახალი საქმე აღიძრა. საუბარია 2001 წლის შემოდგომაზე ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევისა და მისი რაზმის წევრების მიერ კოდორის ხეობაში მოწყობილ სამხედრო ლაშქრობაზე; აფხაზეთში წარმოებულ საომარ მოქმედებებზე და კოდორის ხეობის დასაწყისში, ე. წ. შაქარას გორასთან მომხდარ ავიაკატასტროფაზე - გაერო-ს ვერტმფრენის ჩამოგდებას 11 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.*

ინგა ალავიძე

საქმე ისაა, რომ ზუსტად ერთი თვის წინ სოხუმიდან დაბრუნებულმა სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ, საქართველოს გენერალურ პროკურატურას ოფიციალურად მიმართა და 2001 წლის შემოდგომაზე მომხდარი სამხედრო ოპერაციის - კოდორის ხეობაში გელაევის რაზმის რეიდის შესახებ საქმის აღძვრა და სპეციალური გამოძიების ჩატარება მოითხოვა. სახელმწიფო მინისტრმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც სოხუმში გაერო-ს ეგიდით გამართულ ქართულ-აფხაზურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

გაგრძელება A7 გვერდზე

## რესპუბლიკელები მოკავშირეს უღრენენ

**მაგრამ უკანდასახევ გზასაც იტოვებენ**

გიორგი ასანიშვილი

"რესპუბლიკური პარტიისა" და "ნაციონალური მოძრაობის" თითქმის ორწლიანი პარტნიორობა დასასრულისკენ მიდის. დავით ბერძენიშვილი და მისი თანამოაზრეები "ნაციონალებთან" გაფორმებული "სამოკავშირეო ხელშეკრულების" გაუქმებას გეგმავენ და მზად არიან, უარი თქვან იმ დივიდენდებზე, რომელსაც სახელისუფლებო გუნდში ყოფნა იძლევა. ასეთი ნაბიჯით "რესპუბლიკელები" კიდევ ერთხელ დაამტკიცებენ, რომ კომპრომისებზე წასვლა და პარტნიორისგან მიყენებული წყენის დავიწყება არ ეხერხებათ - თავის დროზე ხომ იგივე მიზეზით (სიჯიუტეში გადასული პრინციპულობა) დაირღვა მათი ალიანსი ჯერ ნოდარ ნათაძის სახალხო ფრონტთან ("გაერთიანებული რესპუბლიკელები"), შემდეგ კი ირინა სარიშვილის ედპ-სთან ("მესამე გზა").

ორგზის წარუმატებელი პოლიტიკური არჩევანის შემდეგ, "რესპუბლიკელებმა" მოვლენების შესაძლო განვითარება ბოლოს, თითქოს, სწორად განჭვრიტეს და თავისი ბედი მზარდი გავლენის მქონე მიხეილ სააკაშვილის პარტიას დაუკავშირეს. "რესპუბლიკელების" და "ნაციონალების" (პლუს, ზვიად ძიძიგურის "ეროვნულ ძალთა გაერთიანების") ერთი ქოლგის ქვეშ ყოფნას საზოგადოებაში გაოცება არ გამოუწვევია: მათი პოლიტიკური ინტერესები მთლიანად დაემთხვა ერთმანეთს და იგი, ძირითადად, შევარდნაძის ხელისუფლების დამხობის უზომოდ დიდ სურვილში გამოიხატებოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## საქართველოს "ლობისტი" - ევროსაბჭოს გენერალური მდივანი



*არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, ტერი დევისი ემოციებს ვერ ფარავდა.*

გუშინ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ გენერალურ მდივნად ბრიტანელი ტერი დევისი აირჩია. ასამბლეის 299 დეპუტატიდან 157-მა, ანუ აბსოლუტურმა უმრავლესობამ, დევისის კანდიდატურას დაუჭირა მხარი. ამგვარად, საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების "ლობისტი" დევისი პირველივე ტურში ცნეს გამარჯვებულად. შეგახსენებთ, მის გარდა გენერალური მდივნის პოსტზე კენჭს იყრიდა ამჟამინდელი გენერალური მდივანი ვალტერ შვიმერი, რომელმაც მხოლოდ 91 ხმა მიიღო და ესტონელი კრისტინა ოიულანდი - 51 ხმა.

კენჭისყრის შედეგების გამოცხადებისთანავე, ტერი დევისმა კომენტარი გააკეთა: **"უდიდესი**

გაგრძელება A2 გვერდზე

## პარლამენტი ბიზნესმენთა "ღია ლობირებას" იწყებს

თამარ ხორბალაძე

*საქართველოს მთავრობის მიერ ახალი საგადასახადო კოდექსის პრინციპების გაჟღერების, ფინანსთა სამინისტროს მიერ კი ახალი საგადასახადო კოდექსის სამინისტროს საიტზე გამოქვეყნების შემდეგ პირველი შეხვედრა ქართული ბიზნეს-წრეების წარმომადგენლებთან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გამართა. შეხვედრას, ძირითადად, ბიზნეს-ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებიც ბიზნესმენთა ჯგუფების სახელით საუბრობდნენ. თუმცა, სხდომაზე იყო "ლირიული გადახვევაც".*

გაგრძელება A4 გვერდზე


ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" დანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროსტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განემარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი



ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 28467440.



A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 რეგიონი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მეცნიერება და ტექნიკა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## მალე ქართული რიკოს კანონი ამოქმედდება



კანონპროექტის განხილვაში არასამთავრობო სექტორიც ჩაერთო.

*საქართველოს პარლამენტმა ორი მოსმენით მიიღო კანონპროექტი "ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ". მესამე კენჭისყრამდე დარჩენილ მცირე პერიოდში პარლამენტარები, იურისტები და მესამე სექტორის წარმომადგენლები კანონპროექტის აქ-ამ კანონზე მსჯელობენ და საკამათო საკითხებს განიხილავენ. გუშინ "თავისუფლების ინსტიტუტში" ხსენებული კანონპროექტის შესახებ დისკუსია გაიმართა.*

საქმეში ჩახედული პირები აღნიშნავენ, რომ ახალმა კანონმა ძლიერი დარტყმა უნდა მიაყენოს დანაშაულებრივ სამყაროს და ბოლო მოუღოს მათ მატერიალურ კეთილდღეობას. კანონის მიხედვით, პროკურატურა უფლებამოსილი იქნება, მოითხოვოს არა მარტო რეკეტირების, არამედ მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან რეკეტირთან დაკავშირებული პირის შემოსავლის და ქონების ჩამორთმევა, თუ ამ ქონების კანონიერი გზით შეძენის დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს.

იურისტთა აზრით, კანონის წარმატებით ამოქმედების შემთხვევაში, არა მხოლოდ დანაშაული შევიწროვდება, არამედ ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაში ე. წ. კანონიერი ქურდებისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვლება, "ქურდული ავტორიტეტი" წარსულს ჩაბარდება.

ორგანიზებულ დანაშაულთან და რეკეტთან წინააღმდეგ ბრძოლის იდეა ყველასთვის მისაღებია. იურისტები და პარლამენტარები კანონპროექტს წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევენ. თუმცა, იმასაც აღნიშნავენ, რომ მესამე მოსმენამდე საჭიროა მისი დახვეწა.

არსებობს ერთ-ერთი მთავარი სადავო საკითხი, რაც იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონპროექტს განასხვავებს ამერიკული ე. წ. რიკოს კანონისგან. ამერიკაში რეკეტულ დაჯგუფებაში წევრობა დასჯადია. ჩვენთან კი წევრობა სამართლის საგანი არ იქნება; ჯგუფის წევრზე მხოლოდ რეკეტირულ დანაშაულში მონაწილეობის შემთხვევაში აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე. პარლამენტარების ნაწილი ამ მხარეს ეთანხმება, ნაწილი კი ფიქრობს, რომ ჯგუფის წევრობა უნდა იყოს ადამიანის პასუხისმგებლობის მიზეზი.

იუსტიციის მინისტრის მოადგილე ბესო ლოლაძე ფიქრობს, რომ არც ისე ურიგო იქნება, თუ პარლამენტი კანონპროექტს ამჟამინდელი სახით მიიღებს: **"იგი ყველა ვარიანტში ქმედითი იქნება. პრაქტიკაში გამოვლინდება შემდეგ კანონის ხელახალი დახვეწა შესაძლებელია."**

ლოლაძის აზრს იურისტებიც იზიარებენ. ისინი აცხადებენ, რომ ქართული რიკოს კანონი გაამართლებს, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს საზოგადოებაში არსებობს ერთიანი ნება რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლისა.

*ვერიკო თევზაძე*

## "გზამკვლევი" სემინარი ჟურნალისტებისთვის

სამართლის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებისთვის ბაკურიანში გამართულ ორდღიან სემინარზე, თემაზე: "ჟურნალისტთა სამართლებრივი განათლება კონსტიტუციურ და ადმინისტრაციულ სამართალში", განიხილეს საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართლის ის საკითხები, რომლებსაც ადგილი აქვს საჯარო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების თუ ცალკეული პირების მიერ ინფორმაციის თავისუფლების დებულებების გამოყენების პროცესში.

ექსპერტებმა კოტე კუბლაშვილმა, ნანა კლარჯეიშვილმა და მაია კოპალეიშვილმა ჟურნალისტებს განუმარტეს რიგი უფლებები და მოვალეობები, რაც საჯარო ინფორმაციას და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ასპექტებს შეეხება. სემინარის ორგანიზატორები იყვნენ უწყებრივი რეფორმისა და არასამთავრობო სექტორის ცენტრი (IRIS), გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, იუსტიციის სასწავლო ცენტრი.

*24 საათი*

## "თელასის" წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის განხილვა დაიწყო

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ "თელასის" წინააღმდეგ არასამთავრობო ორგანიზაციის "სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოს" სასარჩელო განცხადების განხილვა დაიწყო.

ორგანიზაცია "თელასს" მოსახლეობიდან, კერძოდ კი, სოციალურად დაუცველი ფენებიდან თანხების უკანონოდ ამოღებაში ადანაშაულებს და კომპანიისგან ფულადი კომპენსაციის სახით ანაზღაურების გადახდას მოითხოვს.

მოსარჩელეთა მტკიცებით, "თელასის" წარმომადგენლების მიერ უკანონოდ შედგენილი აქტების საფუძველზე სოციალურად დაუცველი ფენების დიდმა ნაწილმა მორალური და მატერიალური ზარალი მიიღო, რაც კომპანიამ აუცილებლად უნდა აანაზღაუროს. პროცესი 7 ივლისს გაგრძელდება.

*ინტერ-პრესი*

## დიანა აბაშიძე ფინანსურმა პოლიციამ მოწმის სახით დაკითხა

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტმა გუშინ ბათუმში ასლან აბაშიძის ქალიშვილი დიანა აბაშიძე დაკითხა. დაკითხვა ფინანსური პოლიციის დიდი ძალისხმევის შედეგად განხორციელდა. როგორც ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, ფინანსური პოლიცია დიანა აბაშიძეს ერთადერთ ეპიზოდში ედავება. იგი 2002 წლიდან საჩოგბურთო კლუბ "ბათუმის" დირექტორია. აღმოჩნდა, რომ ამ პერიოდში კლუბი სახელმწიფოს გადასახადებს უმალავდა. თავად საჩოგბურთო კლუბი კი, თავის მხრივ, ასლან აბაშიძის ფონდის მიერ არის დაფუძნებული. დიანა აბაშიძე გადასახადებისთვის თავის არიდების ფაქტს უარყოფს და აღნიშნავს, რომ ეს საკითხები მას არ ეხებოდა. "ამჟამად საჩოგბურთო კლუბში საგადასახადო შემოწმება მიმდინარეობს და, ჯერჯერობით, არ ვიცით ის საბოლოო თანხა, რაც ბიუჯეტის სასარგებლოდ კლუბს დაერიცხება," - აღნიშნა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის განყოფილების უფროსმა ილია ხონელიამ.

ამავე დროს, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის განცხადებით, დიანა აბაშიძე 35-მდე სხვადასხვა მსხვილი კომპანიის მეწილეა და ბიუჯეტისადმი მას 40 მლნ. ლარის სხვადასხვა სახის დავალიანება აქვს.

თარგამაძე არ გამორიცხავს, რომ დიანა აბაშიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას. დიანა აბაშიძემ გუშინ პროკურატურის წარმომადგენლების კითხვებსაც უპასუხა.

*მედია-ნიუსი*

## საქართველოს "ლობისტი" - ევროსაბჭოს გენერალური მდივანი

პირველი გვერდიდან

**პატივია, როდესაც 45 ქვეყნის პარლამენტის წარმომადგენელი, კონტინენტის უძველესი პოლიტიკური ორგანიზაციის გენერალურ მდივნად გირჩევს... ჩემი ოცნებაა, ისეთი ევროპა, სადაც მამაკაცებსა და ქალებს თანაბრად სამართლიანად ეპყრობიან, სადაც ხალხთა შორის მშვიდობიანი ცხოვრება ურთიერთპატივისცემას ემყარება და ადგილი არ აქვს სქესობრივი, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური წარმომავლობის ან რელიგიური მრწამსის მიხედვით დისკრიმინაციას - ევროპა საზღვრების, ვიზებისა და პასპორტების გარეშე; ევროპა, სადაც ადამიანებს დროც და შესაძლებლობაც აქვთ ეზიარონ არა მხოლოდ საკუთარ კულტურას, არამედ სხვა ხალხთა კულტურებსაც. ევროპის საბჭო საუკეთესო გზაა ჩემი ოცნების რეალობად გადასაქცევად".**

ტერი დევისი უკვე 12 წელია, რაც საპარლამენტო ასამბლეის წევრია, ხოლო 2002 წლიდან ასამბლეის სოციალისტთა თავმჯდომარის თანამდებობაც უკავია. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში იგი პოლიტიკურ საქმეთა კომიტეტში მთიანი ყარაბახის კონფლიქტზე მომხსენებლადაც გვევლინებოდა.

ტერი დევისი მოვალეობის შესრულებას 2004 წლის 1 სექტემბრიდან შეუდგება და ხუთი წელი იქნება აღნიშნულ თანამდებობაზე.

## გეგუთის კოლონიიდან გაქცეულ პატიმართა დაპატიმრება გრძელდება

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გეგუთის №8 დაწესებულების კონტროლიორი იაგო რობაქიძე, რომელიც პატიმრებმა გაქცევისას მოკლეს, გუშინ დაკრძალეს. დაღუპულის ოჯახისთვის სამძიმრის სათქმელად იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი და მისი მოადგილე ზურაბ აბაშიძე მივიდნენ.

დაღუპულის ოჯახს იუსტიციის სამინისტრომ დახმარების სახით 2 ათასი ლარი გადასცა. გარდა ამისა, რობაქიძის ოჯახის წევრებს, კანონის თანახმად, კონტროლიორის 10 წლის ხელფასს მისცემენ.

გეგუთის კოლონიიდან 41 პატიმარი 14 ივნისს ღამით გაიქცა და დღემდე დაკავებული იყო მხოლოდ 17 პატიმარი, რომელთაგან რამდენიმე სამართალდამცველებს საკუთარი ნებით ჩაბარდა. გუშინდელი დღე კი გაქცეული პატიმრების დაკავების მხრივ წარმატებული აღმოჩნდა. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ჩხოროწყუს რაიონში გეგუთის კოლონიიდან გაქცეული ორი პატიმარი დააკავეს. როგორც სამხარეო პოლიციაში აცხადებენ, შაქრო ყალიჩავა და ჯიმშერ ლაგვილავა, რომლებიც მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის იხდიდნენ სასჯელს, ჩხოროწყუს რაიონში ერთ-ერთი მოქალაქის ბინაში აფარებდნენ თავს და ისინი აფხაზეთში აპირებდნენ გადასვლას. დაკავებისას ძებნილებს აღმოაჩნდათ ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა და თავადაც ამ ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. ამასთან, როგორც სამხარეო პოლიციაში აცხადებენ, გაქცეულთა ადგილსამყოფელის დადგენა-დაკავების მიზნით ოპერატიული ღონისძიებები მომავალშიც გაგრძელდება და ყველა პირი, ვინც შესაძლოა რეგიონში იმალებოდეს, დაკავებული იქნება.

*24 საათი*

## ქართველ სამშვიდობოებს კონტრაბანდული ტვირთების გაცილებაში ადანაშაულებენ

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გუშინ, გვიან ღამით, ქართულმა პოლიციამ შერეული სამშვიდობო ძალების ოსური ბატალიონის კუთვნილი ბენზინმზიდი დააკავა. რვა ტონა ბენზინით სავსე სატვირთო ავტომანქანას ქართველი და ოსი სამშვიდობოები აცილებდნენ. შიდა ქართლის გუბერნატორი და მხარის ძალოვნები ქართველ სამშვიდობოებს ოს კოლეგებთან ალიანსში და კონტრაბანდული ტვირთების გაცილებაში ადანაშაულებენ. სოფელ ბერშუეთთან დაკავებული ბენზინმზიდის მძღოლს საწვავის თაობაზე არანაირი დოკუმენტი არ აღმოაჩნდა. ცისფერჩაფხუტიანთა მტკიცებით, ბენზინი დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მიერ კონტროლირებად სოფელში - წინაგარაში განლაგებული ოსური სამშვიდობო ბატალიონისთვის გადაჰქონდათ. კონტრაბანდული საწვავის შეუფერხებლად გადაადგილებას ქართველი სამშვიდობო დამკვირვებლები ბატალიონის სარდლობის ბრძანებით უზრუნველყოფდნენ.

"ამ ტვირთის არანაირი საბუთი ჩვენ არ გაგვაჩნია. ვფიქრობ, შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებულ შტაბში იქნება საწვავის წარმოშობის რაიმე დოკუმენტი. ჩვენ მივიღეთ ბრძანება სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის სარდლობისგან, რომ დამკვირვებლების სტატუსით გამოვყოლოდით ოსური ბატალიონის ავტომანქანას და ტვირთი დანიშნულების ადგილამდე შეუფერხებლად ჩაგვეტანა," - აღნიშნა სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის კაპიტანმა დავით ქებაძემ. ოს ცისფერჩაფხუტიანთა სატვირთო ავტომანქანა გორის ტერმინალშია მოთავსებული. მოკვლევის დასრულების შემდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის პარალელურად, შესაძლოა, საწვავით სავსე ავტომანქანის კონფისკაციის საკითხი დადგეს.

*ინტერ-პრესი*

## პურის მწარმოებლები ახალი საგადასახადო შეღავათებით ვერ კმაყოფილდებიან

ახალი საგადასახადო კოდექსი პურის მწარმოებლებისთვის დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმის შემოღებას ითვალისწინებს. პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ განაცხადა, რომ პურის საცხობების მეპატრონეები მოქმედი კოდექსით გათვალისწინებული სოციალური გადასახადიდან გათავისუფლდებიან. პურის მწარმოებლები 33 პროცენტით განსაზღვრულ სოცანარიცხებთან ერთად, იხდიან ფიქსირებულ გადასახადს, რომელიც საცხობის ერთი კვადრატული მეტრი ფართისთვის 220 ლარს შეადგენს. პურის მწარმოებელთა კავშირის "სოლიდარობის" თავმჯდომარემ ვახტანგ ზენაიშვილმა პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მწარმოებლები, ძირითადად, საცხობად იყენებენ ანგარიშფაქტურიან ფქვილს, კოდექსი კი 220 ლარის ნაცვლად მათ ერთ კვადრატულ მეტრისთვის მხოლოდ ფიქსირებული 90 ლარის გადახდას ავალდებულებს.

ზენაიშვილი აღნიშნავს, რომ ახალი საგადასახადო შეღავათი მათთვის სიახლეს არ წარმოადგენს, ანალოგიური შეღავათები გათვალისწინებული იყო ერთი წლის წინ, პურის მწარმოებლების ფიქსირებულ საგადასახადო რეჟიმში მოქცევისთანავე, რაც სოციალური გადასახადის გაუქმებასაც ითვალისწინებდა. თუმცა, მისი თქმით, ეს შეღავათი მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან ფინანსთა სამინისტრომ მწარმოებლებს "ყოველგვარი წინასწარი შემზადების გარეშე, მოულოდნელად" გაუუქმა და ფიქსირებულთან ერთად 33-პროცენტიანი სოციალური გადასახადი კვლავ დააკისრა.

ვახტანგ ზენაიშვილი, რომელიც 7 კვადრატული მეტრი ფართის საცხობის მფლობელია, მიიჩნევს, რომ ახალი, 2005 წლის კოდექსის პროექტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი დიდ ეფექტს ვერ უზრუნველყოფს, რადგან საცხობის სახელფასო ფონდი, რომლის 33-პროცენტიანი დაბეგვრა ახალი კოდექსით 20 პროცენტამდე მცირდება, სულ 2-3 ხაბაზის ხელფასისგან შედგება. მისი ინფორმაციით, მცხობელთა საშუალო ხელფასი 250 ლარია, რომლის 20 პროცენტი 50 ლარს არ აღემატება. ზენაიშვილს ეცოტავება 150 ლარი, რომელიც ახალი საგადასახადო რეჟიმით, სახელმწიფო ბიუჯეტს მოაკლდება და მწარმოებელს დარჩება.

*პრაიმ-ნიუსი*

## შს მინისტრის ულტიმატუმი

გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა საგანგებო განცხადება გააკეთა ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, გუშინ დილიდან ოსმა ჯარისკაცებმა, სოფელ ბრისის ტერიტორიაზე საბრძოლო მომზადება დაიწყეს. ისროდნენ მძიმე საბრძოლო ჭურვებსაც, რის შედეგადაც დაიჭრა და ამჟამად გორის საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში იმყოფება სოფელ ერედვში მცხოვრები ქალბატონი, გვარად ღამბაშიძე. ირაკლი ოქრუაშვილი ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას 48-საათიან ვადას აძლევს. "48 საათის განმავლობაში სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება ან დაიჭერს და გადმოგვცემს დამნაშავეს, ან მე ვუხელმძღვანელებ სპეცოპერაციას, რათა დამნაშავე ადგილზე დავაპატიმროთ", - აცხადებს შს მინისტრი.

*24 საათი*

## საგადასახადო ინსპექციის მაღალჩინოსნების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

ზუგდიდის საოლქო პროკურორის როლანდ ახალაიას განცხადებით, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და გაცემულია დაპატიმრების სანქცია ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელზე ზვიად ჯიჭონაიაზე.

ამასთან, ახალაიას ინფორმაციით, უკვე დაკავებულია საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილე ბალათურია და გამოცხადებულია ძებნა ინსპექციის ყოფილ უფროსზე მერაბ თოდუაზე. ჯიჭონაიას და ბალათურიას ბრალად ედებათ, 2000 წლიდან 2004 წლის თებერვლის ჩათვლით, 7 მილიონი ლარის დატაცება. რაც შეეხება თოდუას, ახალაიას განცხადებით, მან გაყიდა ანგარიშ-ფაქტურები, რითაც ბიუჯეტი 700 ათასი ლარით დააზარალა. "ჯიჭონაია თბილისში იმყოფება და შესაბამის ორგანოებს ინფორმაცია მისი დაპატიმრების თაობაზე უკვე გადაეცა. ცოტა ხანში ძიება გამოავლენს იმ პირებს, რომლებიც ზემოთ აღნიშნული თანხის დატაცებაში მონაწილეობდნენ. ესენი არიან როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ყოფილი თუ ამჟამინდელი თანამდებობის პირები. ეს ყველაფერი შედეგია ხანგრძლივი ძიებისა, რომელიც საოლქო პროკურატურის მიერ ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციაში ჩატარდა," - აცხადებს ახალაია.

ზვიად ჯიჭონაია ახალაიას ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ დაახლოებით ერთი თვის წინ, როლანდ ახალაიამ იგი პირადად დაკითხა და ვერც ერთი ბრალდება ვერ დაუდასტურა. "ეს არის პირადი ანგარიშსწორება ზუგდიდის საოლქო პროკურორის მხრიდან ჩემს წინააღმდეგ და ამას არა კრიმინალური, არამედ პოლიტიკური დევნის სტატუსი აქვს," - ამბობს ჯიჭონაია.

*ინტერ-პრესი*

## გაზის ტარიფი არ შემცირდება

გუშინ საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა "ლეიბორისტების" სარჩელი გაზის ტარიფის შემცირებასთან დაკავშირებით. ამ გადაწყვეტილების თანახმად, "ლეიბორისტებს" უარი ეთქვათ სემეკ-ის მიერ დადგენილი ბუნებრივი აირის ტარიფის შემცირებაზე. თუმცა, ამავდროულად, სემეკ-ს ბუნებრივი აირის ტარიფის გადახედვა სთხოვა.

განაჩენის მოსმენისთანავე "ლეიბორისტების" ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება "პრეზიდენტ სააკაშვილის დაკვეთად" მიიჩნია, მაგრამ საკუთარი მიღწევაც არ დაივიწყა: "მნიშვნელოვანია იმის მიღწევა, რომ სემეკმა გაზის ტარიფის გამოანგარიშების წესს უნდა გადახედოს. ეს ნიშნავს, რომ სასამართლომ ნაწილობრივ მაინც დატოვა იმის საშუალება, რომ ბუნებრივი აირის ტარიფის შემცირებასთან დაკავშირებით ბრძოლამ აზრი არ დაკარგოს," - განაცხადა მან. ნათელაშვილი ამბობს, რომ "ლეიბორისტების" მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში 1000 კუბური მეტრი აირი, რომელიც 270 ლარი ღირს, 5,6 ლარით გაიაფდებოდა. რაც, მათივე აზრით, არავის აწყობდა, რადგან "როცა "საქგაზი" გაზის შუამავლობიდან ამოვარდა, მისი წილი "თბილგაზს" გადაუნაწილეს, რამაც აირის ტარიფის ხელოვნურად გაზრდა გამოიწვია. "ლეიბორისტმა" კახა ძაგანიამ "დაკვეთილი გადაწყვეტილების" მიმღები საკონსტიტუციო სასამართლოს საქციელი ასე ახსნა: "დღის წესრიგში საკონსტიტუციო სასამართლოს დაშლის საკითხი დგას და ამიტომ კოლეგია ხელისუფლების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა."

*24 საათი*

## ცოფით 18 წლის ახალგაზრდა გარდაიცვალა

*სხვა ინფექციურ დაავადებებთან ერთად, ამჯერად დედოფლისწყაროს რაიონში ცოფის კერამაც იჩინა თავი. ამ საშიში ინფექციით რამდენიმე დღის წინ 18 წლის გიორგი ქარცივაძე გარდაიცვალა.*

18 წლის გიორგი ქარცივაძისთვის ტურის ნაკბენი გახდა სიკვდილის მიზეზი. მას ცოფი კბენიდან ექვსი თვის შემდეგ აღმოაჩნდა. **"როგორც გიორგიმ გვიამბო, შარშან, დეკემბრის შუა რიცხვებში, ღამით მისი ძაღლი ყეფდა, იგი ხმაურის გამო მაშინვე გასულა ეზოში. ძაღლს ტურა ესხმოდა თავს. გაშველების დროს კი, ცხოველს გიორგი ქარცივაძისთვის ზედა და ქვედა კიდურები დაუკაწრავს. თუმცა, გიორგის ნაკაწრები არაფრად მიუჩნევია, არც უფიქრია სამედიცინო პერსონალისთვის მიემართა,"** - ამბობს დედოფლისწყაროს პოლიკლინიკის დირექტორი ივანე ნატროშვილი.

მშობლებმა გიორგი ექიმთან მას შემდეგ მიიყვანეს, რაც მას პირღებინების შეგრძნება დაეწყო: **"ჩვენ გვეგონა, რომ მოწამლული იყო ბავშვი და ამიტომ მივედით ექიმთან. ნაკაწრები კი გიორგის თავისით მოუშუშდა,"** - ამბობენ გარდაცვლილის მშობლები.

საავადმყოფოში მისვლიდან მეორე დღესვე, როგორც ექიმები ამბობენ, ქარცივაძეს მკვეთრად გამოეხატა ცოფისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები, რის გამოც, იგი რესპუბლიკურ ინფექციურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მედპერსონალის დიდი მცდელობის მიუხედავად, ახლგაზრდა გარდაიცვალა.

მომხდარში, ექიმი ივანე ნატროშვილი გიორგის მშობლებს ადანაშაულებს: **"სამწუხაროა, რომ მშობლებმა უყურადღებობა გამოიჩინეს და არ მიაკითხეს სამედიცინო პერსონალს. მათ შვილი ასაცრელად დროულად რომ მიეყვანათ, ამ ამბავს ასეთი შედეგი არ მოჰყვებოდა. დაზღვეული არავინაა, რადგან ცოფი ისეთი დაავადებაა, რომ მან შეიძლება ერთ კვირაში იჩინოს თავი და შეიძლება 1 წლის შემდეგაც გამომჟღავნდეს, ამ ინფექციის აღმოფხვრაში კი მედიცინა უძლურია და იგი სიკვდილს იწვევს."**

ცოფის კერის აღმოჩენიდან რამდენიმე დღეში, სოფელ სამთაწყაროში სპეციალურად შემდგარი სამედიცინო ბრიგადა ჩავიდა და იმ ადამიანის ანტირაბიული ვაქცინაცია მოახდინა, ვისაც 6 თვის განმავლობაში შეხება აწ უკვე გარდაცვლილ ავადმყოფთან ჰქონდა.

*ზვიად რუაძე*

## საპარლამენტო კომისიების შექმნის საკითხი გაურკვეველია

აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" პრობლემების შემსწავლელი საპარლამენტო დროებითი კომისიების შექმნის საკითხი, ჯერჯერობით, კვლავაც ღიად რჩება. დეპუტატთა ნაწილი, მათ შორის - "მემარჯვენე ოპოზიციის" ერთ-ერთი ლიდერი დავით გამყრელიძე აცხადებს, რომ კომისიების შექმნა ფორმალური არ უნდა იყოს და მათ რეალურად უნდა იმუშაონ. **"კომისიებმა სოკოებივით რომ არ იმრავლონ, ჩვენ მათი შექმნის აუცილებლობაზე სერიოზულად უნდა ვიმსჯელოთ",** - მიაჩნია ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს გიგი წერეთელს. თავად პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის თქმით კი, კომისიების არსებობა მოსახლეობას აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" დაბრუნების იმედს უღრმავებს.

*მედია-ნიუსი*

## საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის დაცვა გაძლიერდა



გოჩიტა ბუხაიძის ფოტო

*ბადრი ბიწაძე: "საქართველოს სასაზღვრო უწყებას საკმარისი ძალა გააჩნია".*

ინგუშეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროზე, სამშაბათს, დაუდგენელი შეიარაღებული ჯგუფის მიერ განხორციელებული თავდასხმის გამო, საქართველოს სასაზღვრო უწყებამ საქართველო-ინგუშეთის საზღვრის მონაკვეთზე დაცვა გააძლიერა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ბადრი ბიწაძის ინფორმაციით, სასაზღვრო ძალები სრულ მზადყოფნაშია. საზღვრის დაცვის ყველა ქვედანაყოფი გაძლიერებულ რეჟიმზეა გადასული; აგრეთვე, მობილიზებულია სპეცდანიშნულების რაზმი და ავიარაზმიც, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში საქართველო-ინგუშეთის საზღვრის მიმართულებით გადაიყვანენ. ბადრი ბიწაძის განცხადებით, საქართველოს სასაზღვრო უწყებას საკმარისი ძალა გააჩნია, რათა მკაცრად გააკონტროლოს ჩრდილოეთ საზღვრის პერიმეტრი.

იმ შემთხვევაში, თუ ჯერჯერობით დაუდგენელი შეიარაღებული დაჯგუფებები საქართველოს საზღვრის გადმოკვეთას შეეცდებიან, ქართველი მესაზღვრეები ყველა ძალას იხმარენ, რათა თავიდან აიცილონ "ბოევიკების" საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრის მცდელობა.

დეპარტამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, ინგუშეთში მომხდარი ფაქტის გამო, რუსმა მესაზღვრეებმა ჩეჩნეთი-დაღესტანი-ინგუშეთის საზღვრისპირა მონაკვეთის დაცვა გააძლიერეს. საქართველო-რუსეთის სასაზღვრო ძალები ერთობლივად მოახდენენ ოპერატიული ინფორმაციების გაცვლას და ერთობლივი მოქმედების გეგმას შეიმუშავებენ.

გარდა ამისა, კახეთის რეგიონის პოლიციის მთავარი სამმართველო, მომხდართან დაკავშირებით, მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადავიდა. კონტროლი გამკაცრდა პანკისის ხეობის ბლოკ-პოსტებზე და ხეობაში შემსვლელ-გამომსვლელი გუშაგთა განსაკუთრებულ შემოწმებას გადის.

*24 საათი*

## საქართველოს ენერგეტიკაში კიდევ 300 მილიონი დოლარი ჩაიდება

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი მილიარდიდან საქართველოს ენერგოსექტორს 300 მილიონი დოლარი მოხმარდება. ეს ციფრი გუშინ გამართულ ბრიფინგზე ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა დაასახელა. შეგახსენებთ, რომ ბრიუსელში გამგზავრებამდე, ენერგეტიკის სამინისტრო დონორებისგან დახმარების სახით 80-86 მილიონ დოლარს ელოდა, რის ასათვისებლადაც ორწლიანი პროგრამა წინასწარ ჰქონდა მომზადებული. თუმცა, ბრიუსელიდან მთავრობა მოულოდნელი საჩუქრებით დაბრუნდა. ახლა ენერგეტიკის კურატორებს სექტორის გაჯანსაღებისთვის ნავარაუდევზე ოთხჯერ მეტის დახარჯვა შეუძლიათ.

გილაურის თქმით, ევროთანხების ათვისება მომავალი წლიდან დაიწყება და 3 წელს გასტანს. პროგრამა, რომელშიც ჩასატარებელი სამუშაოების ძირითადი ნაწილია გაწერილი, სამინისტროს უკვე მზად აქვს. დონორების მიერ გამოყოფილი თანხის უმეტესი ნაწილი ენერგოსისტემაში აღრიცხვიანობის მოწესრიგებას, ჰესებისა და ქსელების რეაბილიტაციას მოხმარდება. გრანტების ნაწილით გათვალისწინებულია მცირე ჰესების აშენება-გაძლიერებაც.

"გამოყოფილი თანხიდან 80 პროცენტი გრანტია, ხოლო 20 პროცენტი - "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის" მიერ გაღებული კრედიტი. შესაძლოა, "ევრობანკმა" საქართველოს ენერგოსექტორში კაპიტალდაბანდება მყიდველის სტატუსით განახორციელოს, რის სანაცვლოდაც ენერგეტიკული ორგანიზაციების აქციათა გარკვეული პაკეტი მიიღოს," - განაცხადა გილაურმა. მისი ინფორმაცით, საუბარია "თბილგაზის" აქციების 30 პროცენტის "ევრობანკისთვის" გადაცემის თაობაზე. ბუნებრივია, თუ ეს გეგმები განხორციელდა, "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა, ნაწილობრივ, ევროპული ბანკის წარმომადგენლობით შეივსება.

მანამდე, სანამ ევროპული ნობათის ათვისება დაიწყება, ენერგეტიკის სამინისტროს რესტრუქტურიზაცია გრძელდება. როგორც გუშინდელ ბრიფინგზე მინისტრმა გაახმოვანა, მან სათბობის ხარისხისა და ენერგოზედამხედველობის დეპარტამენტის ლიკვიდაციის შესახებ ბრძანებას მოაწერა ხელი, რადგან "ეს დეპარტამენტი მოსახლეობისთვის სრულიად უცნობი, მაგრამ მეწარმეებისთვის კარგად ნაცნობი უწყება იყო, რომელიც მხოლოდ მეწარმეებისგან ფულის გამოძალვით იყო დაკავებული." გილაურის თქმით, ამ დეპარტამენტის ბაზაზე ახალი დეპარტამენტი შეიქმნება, მას თემურ ხუნწარიძე უხელმძღვანელებს და ე.წ. "მარცხენა ხაზების", დაზიანებული თუ გაყალბებული მრიცხველების აღმოჩენა დაევალება. ამ პრობლემების მოსაგვარებლად, მალე შემუშავდება კანონპროექტი, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში ელექტროენერგიისა და გაზის დამტაცებლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დააკისრებს.

*მაია ურუშაძე*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოში ოთხდღიანი სამუშაო ვიზიტით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დელეგაცია ჩამოვიდა. დაგეგმილია ფოთსა და ბათუმში სანაპირო დაცვის ოპერაციების სამსახურის ქვედანაყოფების მონახულება, გერმანული მხარის მიერ 1998 წელს გადმოცემული ხომალდ "აიეტის" ტექნიკური მდგომარეობის შეფასება, განიხილება მის შესაკეთებლად დახმარების გაწევის შესაძლებლობაც. გერმანიის საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დელეგაცია საქართველოდან 25 ივნისს გაემგზავრება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტში დეპუტატ კობა ხაბაზის ადგილს პარტიული სიის რიგით მომდევნო ნომერი გიორგი უკლება დაიკავებს. პარლამენტის გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის, გიორგი უკლებას უფლებამოსილება ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინ ერთხმად ცნო. კობა ხაბაზი აჭარის 20 ივნისის არჩევნების შედეგად აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** სოხუმის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელის ასტამურ ტანიას განცხადებით, საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას თანამდებობიდან გადადგომა ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებათა პროცესზე გავლენას არ იქონიებს.

"ამ პროცესის კურატორი პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბაა და არა შამბა, რომელიც მოლაპარაკებებზე აფხაზურ დელეგაციას ხელმძღვანელობდა", - აღნიშნა მან.

აქედან გამომდინარე, მორიგ რაუნდს, რომელიც ივლისის დასაწყისში სოჭში უნდა გაიმართოს, აფხაზური მხარე აუცილებლად დაესწრება. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# რესპუბლიკელები მოკავშირეებს უღალატებენ

პირველი გვერდიდან

თუმცა, სააკაშვილ-ბერძენიშვილ-ძიძიგურის ტრიუმვირატის შიგნით აზრთა სხვადასხვაობამ მათი თანამშრომლობის ადრეულ ეტაპზევე იჩინა თავი. კერძოდ, 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინ საკმაოდ პოპულარული იყო დიდი ოპოზიციური გაერთიანების შექმნის იდეა. შეიძლება ითქვას, რომ ამ იდეის დასამარებაში თავისი წვლილი ლევან ბერძენიშვილს, ზვიად ძიძიგურსა და კობა დავითაშვილს მიუძღვით, რომლებმაც მოახერხეს მიხეილ სააკაშვილის დარწმუნება იმაში, რომ "ბურჯანაძე-დემოკრატები" ("ტრადიციონალისტებზე" რომ აღარაფერი ვთქვათ) რეალური გავლენის მქონე ძალას არ წარმოადგენენ და მათთან ერთიან საარჩევნო ბლოკში ყოფნა "ნაციონალური ფრონტისთვის" წამგებიანი იქნებოდა. იმისთვის, რომ დიდი ოპოზიციური გაერთიანების ვერშექმნაზე პასუხისმგებლობა ჟვანია-ბურჯანაძის გუნდს დაკისრებოდა, კობა დავითაშვილმა უპირობოდ მოითხოვა, რომ ანტიშევარდნაძისტული ბლოკის ჩამოყალიბების შემთხვევაში, მისი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი უნდა ყოფილიყო. მართალია, ზურაბ ჟვანიამ რამდენჯერმე საჯაროდ განაცხადა, რომ საერთო საარჩევნო სიაში მიკუთვნებულ რიგით ნომერს მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ "ნაციონალური ფრონტის" ტრიუმვირატს პოზიცია აღარ შეუცვლია.

მოკავშირეებს შორის კიდევ ერთი, რბილად რომ ვთქვათ, "აზრთა სხვადასხვაობა" უკვე ვარდების რევოლუციის შემდეგ წარმოიშვა, როდესაც "ნაციონალები" და "დემოკრატები" ერთიან ძალად ჩამოყალიბდნენ. ჟვანიას გუნდთან პარტნიორული თანამშრომლობა რესპუბლიკელებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა მაშინაც კი, როდესაც ასლან აბაშიძის რეჟიმთან გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო. ასეთ დროს, ალბათ, ლოგიკური იქნებოდა ძველი წყენების დავიწყება და აჭარის ავტონომიის მეთაურის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოსვლა, მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო: დავით ბერძენიშვილმა ცეცხლზე ნავთი დაასხა, როდესაც ჟვანიას გუნდის წინააღმდეგ მორიგი მწვავე განცხადებები გააკეთა და ამ გუნდის წევრი ედვარდ სურმანიძე აჭარაში ძალაუფლების ხელში ჩაგდებისკენ სწრაფვაში დაადანაშაულა. ამის შედეგი იყო ის, რომ "დემოკრატიული აჭარის" გვერდით გაჩნდა ანალოგიური მიზნის მქონე კიდევ ერთი ოპოზიციური გაერთიანება "ჩვენი აჭარა". მაშინ მხოლოდ პრეზიდენტ სააკაშვილის ავტორიტეტითა და გავლენის წყალობით მოხერხდა, რომ ანტიასლანური მოძრაობა შუაზე არ გაიხლიჩა და ერთმანეთს არ დაუპირისპირდა.



"რესპუბლიკური პარტიისა" და "ნაციონალური მოძრაობის" თითქმის ორწლიანი პარტნიორობა დასასრულისკენ მიდის. 2003 წლის 29 მაისს ეს ერთობა შეურყევლად გამოიყურებოდა.

გოგიტა ბაბაკიძის ფოტო

"ნაციონალური მოძრაობის" საერთო კურსიდან "რესპუბლიკელების" გადახვევა საკონსტიტუციო ცვლილებებზე მუშაობის დროს კიდევ ერთხელ გამოიკვეთა. იმ პერიოდში დავით ბერძენიშვილი მკაცრად ილაშქრებდა პრემიერ-მინისტრის უფლებების გაფართოების წინააღმდეგ, რადგან ამ პოსტზე ზურაბ ჟვანია მოიაზრებოდა.

**"აღმასრულებელი ხელისუფლების განშრევება და პარალელური სტრუქტურების შემოღება მიზანშეუწონელია. აღმასრულებელ ხელისუფლებას ძლიერი პრეზიდენტი უნდა ედგას სათავეში, სახელმწიფო მინისტრს კი შეიძლება ოდნავ გაეზარდოს უფლებამოსილებანი. ხოლო თუ ვინმეს სახელმწიფო მინისტრის სახელი არ სიამოვნებს, ეს პრობლემას არ წარმოადგენს - მას შეიძლება პრემიერ-მინისტრი დაერქვას",** - აცხადებდა "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერი.

როდესაც დაინახეს, რომ პრემიერ-მინისტრის გუნდის გავლენა დღითიდღე იზრდებოდა და მასთან დაპირისპირების პროცესში პრეზიდენტის მხარდაჭერას ვერ მიიღებდნენ, ამით განაწყენებულმა "რესპუბლიკელებმა" უკვე "ნაციონალების" წინააღმდეგაც გაილაშქრეს. ამის საბაბი აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები გახდა. დავით ბერძენიშვილის თქმით, **"აჭარის არჩევნების გაყალბებაში ჟვანიას ნამდვილად ვერ დაადანაშაულებ და "რესპუბლიკელების" ხმების განახევრება და მათ მიერ მოგებული ოლქების წართმევა მთლიანად "ნაციონალი" ჩინოვნიკების სინდისზეა".**

თუმცა, აშკარა უკმაყოფილების მიუხედავად, "რესპუბლიკელების" ლიდერი "ნაციონალებთან" მისასვლელი გზების საბოლოოდ მოჭრისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს და აცხადებს, რომ მათთან შერიგებას არ გამორიცხავს. ბერძენიშვილის თქმით, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ბათუმის ორ და ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგები გაუქმდება: **"ეს შეარბილებს დაპირისპირებას "რესპუბლიკელებსა" და "ნაციონალებს" შორის. ამიტომ, ველოდებით, რა პოზიციას დაიკავებს ხელისუფლება არჩევნების შედეგების დათვლის დროს."**

ოპოზიციაში გადასვლის შემთხვევაში, რისი იმედი აქვს "რესპუბლიკელების" ლიდერს, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინათ საკუთარი პარტიის შესაძლებლობებზე თვითირონიით საუბრობდა? **"რაოდენობრივი თვალსაზრისით, ყველაზე შთამბეჭდავად მაშინ გამოვიყურებოდით, როდესაც არალეგალურად ვსაქმიანობდით. მაშინ, საბჭოთა პერიოდში, დაახლოებით, ასნი ვიყავით",** - განაცხადა დავით ბერძენიშვილმა მიმდინარე წლის გაზაფხულზე გამართულ ერთ-ერთ შიდაპარტიულ ღონისძიებაზე.

დღეს კი ნომერ პირველი "რესპუბლიკელი" საკუთარ ძალებში მეტისმეტად დარწმუნებულად გამოიყურება. **"თუ ხელისუფლებას სერიოზულად დავუპირისპირდებით, ფრაქციის შექმნა არ გაგვიჭირდება",** - აცხადებს ბერძენიშვილი და იქვე იმასაც დასძენს, რომ **"უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდეგ მმართველი ძალისადმი ნდობა აჭარაში ძლიერ შეირყა".**

ახალი ოპოზიციური ფრაქციის შექმნის შესაძლებლობას ეჭვის თვალით უყურებს "ნაციონალური ფრონტის" აწ უკვე ყოფილი სუბიექტის, "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" თავკაცი ზვიად ძიძიგური. მისი მტკიცებით, დავით ბერძენიშვილისა და კობა დავითაშვილის მონაწილეობით ფრაქციის ჩამოყალიბება პირადად მისთვის დიდი სიურპრიზი იქნება. ზვიად ძიძიგური ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" წარმომადგენლები "რესპუბლიკელებსა" და "ნაციონალებს" შორის არსებულ დაპირისპირებაში ჩაბმას და, თუნდაც, მედიატორის როლის შესრულებას არ აპირებენ.

შეფასებებისგან და პროგნოზებისგან თავს იკავებს "ნაციონალებისა" და "რესპუბლიკელების" კონფლიქტთან, მართალია ირიბად, მაგრამ მაინც დაკავშირებული კიდევ ერთი მხარე - კობა დავითაშვილი. მისი კომენტარი ერთობ ზოგადი და ბანალურია. **"მოვლენების განვითარებას დრო გვიჩვენებს",** - აცხადებს იგი.

დრო კი დღეს "ნაციონალების" "საათს" აჩვენებს. ამიტომ, ძნელად დასაჯერებელია, რომ "რესპუბლიკელებმა" ამ საათის ისრის წინ გადაწევა და მოვლენების ხელოვნურად დაჩქარება მოახერხონ.

# მოლაპარაკებები სამხედრო ბაზებზე

25 ივნისს მოსკოვში სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით ქართულ-რუსული მოლაპარაკებების პირველი რაუნდი გაიმართება. სავარაუდოდ, ქართული მხარე რუსეთს საქართველოში განთავსებული რუსული სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის ახალ გრაფიკს შესთავაზებს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი არ გამორიცხავს, რომ ახალქალაქის და ბათუმის სამხედრო ბაზების სალიკვიდაციო ვადები ინდივიდუალურად განისაზღვროს, ანუ ახალქალაქის ბაზის გაუქმებისთვის უფრო დიდი დრო გამოიყოს, ან პირიქით, ბათუმის ბაზის გაუქმებას უფრო მეტი დრო დაეთმოს.

მსჯელობის საგანი შესაძლოა გახდეს ასევე ბაზების გაუქმებისთვის საჭირო თანხები და მათი მოძიება, თუმცა ამ საკითხების კონკრეტიზაციისგან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ჯერჯერობით, თავს იკავებს.

**"საქართველოს ტერიტორიაზე არც ერთი უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზა არ განლაგდება,"** - აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. მისი თქმით, საქართველო მზადაა, ეს პოზიცია ოფიციალურად დაადასტუროს. ამავდროულად, ქართულ მხარეს მიზანშეწონილად მიაჩნია ამ პოზიციის ხელშეკრულების სახით დაფიქსირება და რუსეთ-საქართველოს შორის მომავალ ჩარჩო ხელშეკრულებაში ერთ-ერთ პუნქტად ჩაწერა. რაც შეეხება თავად ჩარჩო ხელშეკრულებას, საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის განმარტებით, ორ ქვეყანას შორის ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმება მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა ახალქალაქსა და ბათუმში განთავსებული რუსული სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის ვადები განისაზღვრება და შეთანხმდება.

25 ივნისის მოლაპარაკებებს ქართული მხრიდან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე უხელმძღვანელებს.

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადებით კი, რუსეთის ფედერაციას საქართველოდან ბაზების გამოსაყვანად 300 მილიონი დოლარი სჭირდება.

ამასთან, რუსულ მხარეს მიაჩნია, რომ ქართულ-რუსული ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა სრულებით არ უკავშირდება საქართველოში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას.

**"ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა მხოლოდ იდეაა და სხვა არაფერი. უკვე დავიღალეთ ამ თემაზე საუბრით. სანამ რუსეთის ტერიტორიაზე ორი ახალი ბაზის განლაგების შესაძლებლობა არ გვექნება, საქართველოდან მათ გაყვანაზე საუბარიც ზედმეტია,"** - აცხადებს სერგეი ივანოვი. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ბაზების გაყვანისთვის 300 მილიონი დოლარია საჭირო და ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი : "უტრომ - დენგი, ვეჩერომ - სტულია".

*24 საათი*

# ჟირინოვსკის პიარბლეფი

## კრემლი საზოგადოებას მავზოლეუმიდან ლენინის გატანას აჩვევს

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

22 ივნისი - სამამულო ომის დაწყების დღე, რუსეთში ოფიციალურად ხსოვნისა და გლოვის დღედაა გამოცხადებული. რუსეთის პარლამენტის წევრმა, ფრაქცია "ლდპრ"-ის ლიდერმა ვლადიმირ ჟირინოვსკიმ კი, ომის დაწყების საათის აღსანიშნავად, რუსი და უცხოელი ჟურნალისტები მავზოლეუმში გამსვლელ სხდომაზე დაპატიჟა. **"თუკი ეკონომიკური განვითარების მინისტრს გერმან გრეფსა და პეტერბურგის გუბერნატორ მატვიენკოს აქვთ უფლება, ქორწილები პეტერგოფისა და ერმიტაჟის დარბაზებში გადაიხადონ, რატომ მე არ შემიძლია პარლამენტის გამსვლელი სხდომა მავზოლეუმში გავმართო? მავზოლეუმიც რუსეთის კულტურულ-ისტორიული საკუთრებაა და მისი იჯარით აღებაც შეიძლება, ისევე, როგორც "ზამთრის სასახლისა,"** - ასე დაასაბუთა აქციის მიზეზი ვოლფოვიჩმა.

ადრიანი დროის მიუხედავად, წითელ მოედანზე რუსეთის წამყვანი ტელეარხების, რადიოსადგურებისა და გაზეთების კორესპონდენტები შეიკრიბნენ. ბუნებრივია, ყველას აინტერესებდა, თუ როგორ შეასრულებდა ვოლფოვიჩი წინა დღით გავრცელებულ დაპირებას ლენინის ნეშტის მავზოლეუმიდან გამოტანასა და ადამიანურად დამარხვაზე. **"სანამ ბოროტების ეს წყარო - ვლადიმირ ულიანოვი მოსკოვის ცენტრში დაუმარხავი წევს, ჩვენ კარგ ცხოვრებასა და საერთაშორისო აღიარებას არ უნდა ველოდეთ,"** - ამბობდა ჟირინოვსკი. მან საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ისტორიული მაგალითიც მოიყვანა: 1953 წელს სკკპ ცკ-მა და მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ლენინისა და სტალინის ნეშტების კრემლის კედელთან არსებულ პანთეონში დაკრძალვის შესახებ. ეს განკარგულება მაშინ ნაწილობრივ შესრულდა.

**"ახლა საჭიროა ლენინის დასაფლავება, რათა ჩვენს კომუნისტებს პოლიტიკური გვამის იდეოლოგიური რეანიმაციის იმედი აღარ ჰქონდეთ!"** - ასეთი განცხადებებით დაიძრა ვოლფოვიჩი მავზოლეუმის შენობისაკენ. დუმის ოცკაციან დელეგაციას უკან მიჰყვნენ ჟურნალისტებიც. კრემლის დაცვამ რკინის ჯებირებით გზა გადაუღობა წესრიგის დამრღვევთ - წითელ მოედანზე პროვოკაციული მანიფესტაციების გამართვა კანონით ისჯება. ჟირინოვსკიმ კრემლის კომენდატი მოითხოვა. მის ნაცვლად ოფიცერი წარუდგა. ამასობაში მძიმეწონიანმა ალექსეი მიტროფანოვმა დრო იხელთა და, კუნთმაგარი დაცვის დახმარებით, კორდონი გაარღვია. მილიციაც დიდად არ გასძალიანებია და ჟირინოვსკის მხარდამჭერებიც უკან მიჰყვნენ, ოღონდ ჟურნალისტები ლენინამდე არავინ მიუშვა. თენდებოდა. შავკოსტუმიან ჟირინოვსკელებთა დელეგაცია ლენინის ნეშტთან საბოლოო ანგარიშსწორებისათვის მიემართებოდა.

ორი საათის ლოდინის შემდეგ სარიტუალო დელეგაცია უკან დაბრუნდა. ჟირინოვსკიმ განაცხადა: **"ჩვენ ლენინი უკვე გამოვასვენეთ. ახლა დარბაზი ცარიელია. პროლეტარიატის ბელადი იქ აღარ წევს, ადგილზე მუშაობს "ფეესბე" და "ფესეო", შენობას დეზინფექციას უკეთებენ."** ჟურნალისტების შეკითხვას, თუ სად წაიღებენ ლენინის ნეშტს, ჟირინოვსკიმ ასე უპასუხა: **"თუ გინდათ, სახლში წაიღეთ."** აქციამ უცნობი ჯარისკაცის საფლავთან გადაინაცვლა, სადაც პარლამენტარებმა ყვავილები მიიტანეს.

რევოლუციის მოედანზე ამასობაში კომუნისტები და მათი მხარდამჭერები შეგროვდნენ სსრკ-ს დროშით ხელში და ხმამაღლა ითხოვდნენ ჟირინოვსკის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაყვანას. რამდენიმემ უცენზურო სიტყვებიც ისროლა. მილიციამ მათ ხელები გადაუგრიხა და მანქანებში ცემა-ტყეპით ჩატენა. გამთენიის ექვს საათზე აქცია დაიშალა. ჟირინოვსკის თანაპარტიელები კი ჟურნალისტებს უმტკიცებდნენ, რომ მავზოლეუმი ცარიელია და იქ ლენინი აღარ წევს.

საქმე კი ის იყო, რომ მავზოლეუმს პერიოდულად სამედიცინო სანაციას უტარებენ. ამ დროს ბელადის მუმია დასამუშავებლად სპეციალურ სარდაფში ჩააქვთ. როგორც ჩანს, ამ სამედიცინო მომენტით ისარგებლა ჟირინოვსკიმ და კრემლის მორიგი დავალება შეასრულა, თანაც კომუნისტების ნერვებზე წაითამაშა. რეალობა კი ისაა, რომ რუსეთის ხელისუფლება, პრესის დახმარებით, საზოგადოებას უკვე აჩვევს დიდი ბელადის ადამიანურად დასაფლავების აზრს, რომ ამის დრო მოვიდა. სხვა ვინ გამოდგებოდა ამ მოსაზრების მასებამდე მიტანისთვის, თუ არა ჟირინოვსკი? კრემლში იციან, რომ ჟირინოვსკი საკუთარი პერსონის მორიგ პიარზე უარს არასოდეს იტყვის.

რაც შეეხება რუსეთის კომპარტიის ლიდერს გენადი ზიუგანოვს, რომელსაც სულ მალე ლიდერობის პოსტიდან გადაყენებას უპირებენ, მან ჟირინოვსკის ამ აქციას არაადამიანური და ფაშისტური უწოდა.

# კარგი კანონი - ნაბიჯი საქართველოს მთლიანობისკენ

ნინო გომართელი

"ასლან აბაშიძის გაქცევის და აჭარის გათავისუფლების" შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ავტონომიასა და ცენტრს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის კანონმდებლობით განსაზღვრა. პრეზიდენტ შევარდნაძის მმართველობის დროს ამგვარი მოთხოვნილება არც არსებობდა, რადგან კანონმდებლობა მნიშვნელოვნად შეზღუდავდა თბილისსა და ბათუმს შორის პოლიტიკური ვაჭრობის დიაპაზონს, ეს კი იმ დროს ერთ-ერთი სერიოზული ბერკეტი იყო მმართველი კლანისათვის. რეგიონისა და ცენტრის უფლებამოსილებათა გამიჯვნის აქტუალობამ წამოჭრა საერთოდ აჭარის ავტონომიის სტატუსზე მსჯელობის თემა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ **"აჭარის ავტონომიის გაუქმება ფაქიზი საკითხია, არ შეიძლება მისი სპონტანურად წამოწევა და მოსახლეობის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება."** პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კი ჯერ კიდევ აჭარის რევოლუციამდე დაჰპირდა რეგიონის მოსახლეობას ავტონომიის სტატუსის შენარჩუნებას.

საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო 24-25 ივნისს, რიგგარეშე სხდომაზე აპირებს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონპროექტზე - "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" - მსჯელობას, რომელიც, დეპუტატთა უმრავლესობის შეფასებით, პირველი ნაბიჯია ქვეყნის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხების გადაწყვეტისაკენ. საქართველოში პირველად შეიქმნება ავტონომიის საბჭოური მოდელისაგან განსხვავებული, ევროპული მოდელი, მოწესრიგდება ურთიერთობები სახელმწიფოსა და ავტონომიას შორის, განისაზღვრება ავტონომიის კომპეტენციის სფეროები.

ოპოზიცია ამ კანონპროექტის მიმართ ძალზე კრიტიკულია. "რესპუბლიკელები" მას თვითმმართველობის ილუზიას უწოდებენ. სახელისუფლებო გუნდის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და აქტიური წევრი, ახლა კი ყველაზე ოპოზიციურად განწყობილი კობა დავითაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს ერთიანობის კავშირთან" ერთად, ავტონომიის გაუქმების საკითხზე პლებისციტის ჩატარების მოთხოვნით აჭარაში მოსახლეობის ხელმოწერებს აგროვებს. **"რეგიონში ამ საკითხს უამრავი მომხრე ჰყავს და საჭირო რაოდენობის ხელმოწერებს სულ მალე შევაგროვებთ,"** - აცხადებს პარლამენტარი და დასძენს, რომ 20 ივნისს, როდესაც ხელმოწერების შეგროვება უმაღლესი საბჭოს არჩევნების პარალელურად მიმდინარეობდა, საარჩევნო უბანზე მისული ყოველი მესამე ამომრჩეველი ხელს აწერდა მოთხოვნას პლებისციტის თაობაზე, ავტონომიის გაუქმებისა და უფლებამოსილებათა დიდი ნაწილის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის გადაცემის შესახებ.

ჩვენთან საუბარში დავითაშვილი აცხადებს, რომ მას უკვე შეგროვილი აქვს 8 ათას 500 ხელმოწერა და იგი ბრძოლას ავტონომიის გაუქმებამდე არ შეწყვეტს.

**"აჭარაში უნდა ჩამოყალიბდეს ძლიერი თვითმმართველობა, სადაც ხელისუფლების პირველი პირები იქნებიან არჩევითები. ძალაუფლება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელში უნდა იყოს, რომ მოსახლეობამ თავად გადაწყვიტოს, რა და ვინ სურს, რასაც არანაირად არ ითვალისწინებს ხელისუფლების კანონპროექტი აჭარის სტატუსთან დაკავშირებით."**

რაც შეეხება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონპროექტს, გათვალისწინებულია უმაღლესი საბჭოს შექმნა; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო კი იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო; საქართველოს პრეზიდენტს უფლება ენიჭება მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში დაითხოვოს უმაღლესი საბჭო და გადააყენოს მინისტრთა საბჭო. რაც შეეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, მას, პრეზიდენტის წარდგინებით, უმაღლესი საბჭო ამტკიცებს.

გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დანიშნოს სახელმწიფო რწმუნებული, რომელიც კოორდინაციას გაუწევს საქართველოს სამთავრობო დაწესებულებების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას და ინფორმაციას მიაწვდის საქართველოს პრეზიდენტს ავტონომიის ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის თაობაზე.

ყველა ის საკითხი, რასაც კანონპროექტი ითვალისწინებს, კატეგორიულად მიუღებელია "რესპუბლიკელებისთვის." **"იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტი აჭარას აქცევს ნომენკლატურულ საბჭოთა ავტონომიად, რაც ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია, იგი არ ექვემდებარება გაკეთილშობილებას და თუ თვისობრივად არ იქნება ჩვენი მიდგომები გაზიარებული, ნომენკლატურულ-კორუფციულ მართვის სტრუქტურას ჩვენ მხარს არ დავუჭერთ"** - აცხადებს პარლამენტარი და ჯერ კიდევ სახელისუფლებო უმრავლესობის წევრი დავით ბერძენიშვილი.

მასვე აჭარელი მოსახლეობისადმი უნდობლობის გამოხატულებად მიაჩნია კანონის პროექტით გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხები, უმთავრესად კი ის ფაქტი, რომ რეგიონის მმართველი პირები პრეზიდენტის მიერ ინიშნებიან.

**"მიგვაჩნია, რომ აჭარის უმაღლესმა საბჭომ, საქართველოს ხელისუფლების ჩარევის გარეშე უნდა აირჩიოს მისი აღმასრულებელი ხელისუფლება, ხოლო უნდობლობა რეგიონის მოსახლეობის მიმართ, რომელმაც ასლან აბაშიძის გადაგდებით საკუთარი სიმტკიცე და ერთგულება გამოამჟღავნა, მძიმე უკურეაქციას გამოიწვევს,"** - აღნიშნავს ბერძენიშვილი.

ამავე დროს, დავით ბერძენიშვილს უადგილოდ მიაჩნია აჭარის ავტონომიის სტატუსის გაუქმებაზე საუბარი, რადგან **"ყველაფერი, რაც აქამდე მიტაცებული იყო ცენტრს დაუბრუნდა და ახლა არ უნდა მოხდეს იმ უფლებამოსილებების ცენტრში წაღება, რაც რეალურად რეგიონს და მის მოსახლეობას ეკუთვნის."**

რას გადაწყვეტს საბოლოოდ საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლება, საპარლამენტო განხილვებით გაირკვევა. ერთი კი ცხადია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ მკვეთრი ნაბიჯებით სვლას, დახვეწილი და ქმედითი კანონი კიდევ უფრო მეტ სიმტკიცეს შეჰმატებს.

International Finance Corporationa Member of the World Bank Group

## სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელობის საყურადღებოდ!

**საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი** აცხადებს კონკურსს სააქციო საზოგადოებებისათვის, კორპორაციული მართვის დანერგვის პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

კორპორაციული მართვა ესაა სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანიის მართვა და კონტროლი ხორციელდება. საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის კორპორაციული მართვის გაუმჯობესების კომპონენტი მიმართულია ქართული საწარმოების გაჯანსაღებასა და მათ მიერ დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობის შექმნაზე. პირველ ეტაპზე შეირჩევა 5 სააქციო საზოგადოება. შერჩეული სააქციო საზოგადოებები პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ შეძლებენ:

კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას;
გაზრდილი ქონების ღირებულების, გუდვილის, საზოგადოების აქციების ღირებულების ხარჯზე სარგებლის მიღებას;
დივიდენდების გაზრდას / გაცემას;
გარეშე ფინანსირებაზე გასვლას (კაპიტალის ბაზრები);
შრომითი რესურსების მოზიდვას (მმართველები და თანამშრომლები);
სამუშაო ადგილების ზრდასა და ზოგადად ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას.

მსურველი სააქციო საზოგადოება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
1. კომპანია უნდა იყოს რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებად;
2. კომპანიაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს.

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტს შემდეგ მისამართზე:
თბილისი, ი. ჭავჭავაძის I ჩიხი, 5ა.
ტელ.: 91 26 89, 91 29 58, 91 30 96
ფაქსი: 91 34 80
პილოტური პროგრამის პირველი ეტაპის დახურვის თარიღია ა.წ. 16 ივლისი.

# საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ამერიკული საჩუქრები

*ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებისთვის, თურმე, მოულოდნელი აღმოჩნდა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ ბოლო სამი თვის განმავლობაში მიღწეული შედეგები ფისკალური და იმპორტის ლეგალიზაციის, საბაჟო სისტემაში მენეჯმენტის გაუმჯობესების და საბაჟო პროცედურათა გამარტივების მიმართულებებით. ამის თაობაზე გუშინ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი გოდაბრელიძემ განაცხადა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე, რომლის ძირითადი თემა დეპარტამენტის თავმჯდომარის და ფინანსთა მინისტრის მრჩევლის კახაბერ ერაძის 12-19 ივნისს აშშ-ში სამუშაო, ოფიციალური ვიზიტი იყო.*

დიანა ჩაჩუა

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, უკვე შვიდი წელია, საქართველოში დახმარების პროგრამას ახორციელებს სახელწოდებით "საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა და კანონიერების განმტკიცება", რომლის ფარგლებშიც სერიოზული თანხები გამოიყოფა საბაჟო და საზღვრის დაცვის დეპარტამენტების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

დეპარტამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ამერიკაში ვიზიტისას გოდაბრელიძემ საბაჟო სისტემის შემდგომი განვითარების მიზნით შექმნილი სტრატეგიული დოკუმენტი წარადგინა, რომელშიც საბაჟო სისტემის განვითარების პრიორიტეტები და საჭირო რესურსები იყო ასახული.

აღსანიშნავია, რომ სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე საქართველოს საბაჟოს საშუალება მიეცა, მომავალი წლისათვის ფინანსებში დამატებითი თანხები გაითვალისწინოს ფოთის პორტში საბაჟოს შენობის მოდერნიზაციის, საბაჟო კონტროლის, კომპიუტერული ტექნიკის შეძენის, უნიფორმების შეკერვის და საბაჟო მოხელეთა ტრენინგებისთვის, რამაც დეპარტამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, დაახლოებით, ოთხი მილიონი დოლარი შეადგინა.

როგორც მანვე აღნიშნა, მისი გამოსვლის შემდეგ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დახმარების პროექტის კოორდინატორმა დეივ მარტინმა შემდეგი კომენტარი გააკეთა: **"საქართველოს საბაჟო არასოდეს ყოფილა ასეთი სერიოზული, თავისი შედეგებითა და მოთხოვნებით."** ამასთან, **"მთავარია დავინახოთ, რომ ჩვენს მიერ გაწეული დახმარება სწორი მიმართულებით გამოიყენება და შედეგები მიიღწევა. ასეთ პირობებში დახმარების მოცულობას ყოველწლიურად გავზრდით,"** - განაცხადა საქართველოს წარმომადგენლების ამერიკაში ვიზიტისას აშშ-ს საზღვრის დაცვისა და კანონიერების განმტკიცების პროგრამის დირექტორმა ჯიმ კელიმ.

ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას გოდაბრელიძე "საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და კანონიერების განმტკიცების" პროგრამის ფარგლებში მიმდინარე კიდევ ერთ პროექტს შეეხო. ეს არის დასრულების ფაზაში მყოფი საბაჟო-გამშვები პუნქტის "წითელი ხიდის" მშენებლობა. ასევე, დეპარტამენტის ინფორმაციით, მიღწეულია შეთანხმება და გამოყოფილია დაფინანსება ყაზბეგისა და სადახლოს საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე ანალოგიური თანამედროვე ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ამერიკელებმა საქართველოს საბაჟოს კიდევ ერთი საჩუქარი გაუკეთეს - "ნივის" მარკის 15 ახალი ავტომანქანის სახით.

თუმცა, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტში, ამერიკელების დახმარების გარდა, კიდევ ერთი სიახლეა. გუშინ, ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურულ რეორგანიზაციას მოაწერა ხელი, რომლის საფუძველზე დეპარტამენტში დასაქმებულთა რაოდენობა 24 პროცენტით შემცირდება. ანუ, საერთო ჯამში, საბაჟო დეპარტამენტში, 1457-ის ნაცვლად, 1108 ადამიანი იმუშავებს.

# პარლამენტი ბიზნესმენთა "ღია ლობირებას" იწყებს

პირველი გვერდიდან



ორ კვირაში, კოდექსთან დაკავშირებით ბიზნეს-ორგანიზაციები საკუთარ დასკვნებს პარლამენტართა მაგიდაზე დადებენ.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სანამ საუბარი უშუალოდ საგადასახადო კოდექსს შეეხებოდა, ნინო ბურჯანაძემ კომენტარი გააკეთ "ზოგიერთი ჟურნალისტის არაკომპეტენტურობასთან" დაკავშირებით და განმარტა, რომ მამამისი - ანზორ ბურჯანაძე 1995 წლიდან პურის ბიზნესში აღარ არის და ამიტომ, მისთვის შედგომი წლების "ცოდვების" მიწერა უსამართლობა და არაობიექტურობაა.

პარლამენტის თავმჯდომარის ამ განცხადებით "პროვოცირებულმა" ბიზნესმენებმა სასწრაფოდ ისარგებლეს მომენტით და თითოეულმა თავის გამოსვლაში ვალდებულებად ჩათვალა არა საკუთარ საქმესა და როლზე ქვეყნის განვითარებაში, არამედ ამ ქვეყნის "დამაქცევარ არაპროფესიონალ" ჟურნალისტებზე ესაუბრა და მათთვის ნოტაციებიც წაეკითხა. ბიზნესმენები და სიტუაცია "დაუკრეფავში" გადასვლისგან ისევ ნინო ბურჯანაძემ "იხსნა", რომელსაც ჯერ თავად სხდომაზე და შემდეგ სხდომის შემდეგაც მოუხდა აეხსნა, რომ მისი კომენტარი მთლიანად ჟურნალისტურ კორპუსს საკუთარ თავზე არ უნდა მიეღო, რითიც ბიზნეს-წრეების უცერემონიობის გამო დამსწრე მედიის მზარდი აღშფოთება არა სრულად, თუმცა - გარკვეულწილად, მაინც დააცხრო.

რაც შეეხება უშუალოდ საგადასახადო კოდექსს: ბიზნეს-წრეების წარმომადგენლები მასთან დაკავშირებით რამდენიმე პუნქტს გამოყოფენ: საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ჯაფარიძე აცხადებს, რომ შეშფოთებას იწვევს ხელისუფლების განზრახვა - გაზარდოს აქციზი ნავთობპროდუქტზე, რაც მთლიანად მომსახურების და პროდუქციის გაძვირებას გამოიწვევს. იგივე პოზიციას იზიარებს, ცხადია, ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პირველი ვიცე-პრეზიდენტი შოთა მაქაცარია, რომელიც ამბობს, რომ ერთი გადასახადის შემცირება თუ გაუქმება და მეორის და მესამის გაზრდა ეკვილიბრისტიკული მანიპულირებაა და ამით სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა.

პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ასოციაციის წარმომადგენელი ზურაბ ხარატიშვილი კი, რომელმაც გუშინ ფინანსთა სამინისტროს საიტზე გამოქვეყნებული საგადასახადო კოდექსის ჩაკითხვა მოასწრო, აცხადებს, რომ კოდექსის ადმინისტრირების ნაწილი ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს და თუ ის არ შეიცვალა, "შეიძლება არსებული კოდექსის ჩასაკოცნად გაგვიხდეს საქმე".

შეხვედრის მონაწილეების უმეტესობას კი გუშინ გამოქვეყნებული საგადასახადო კოდექსის პროექტი წაკითხული, ჯერჯერობით, არ ჰქონდა და, ამიტომ, დეტალური კომენტარებისგან თავს იკავებდა.

გუშინ გადაწყდა, რომ დაახლოებით ორ კვირაში, კოდექსთან დაკავშირებით ბიზნეს-ორგანიზაციები საკუთარ დასკვნებს პარლამენტართა მაგიდაზე დადებენ და მათი განხილვა საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტებთან ერთად მოხდება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბიზნესმენებს შეჰპირდა, რომ მათი პოზიციები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული პარლამენტის მიერ. აქვე, ფაქტობრივად, გაჟღერდა, რომ საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო ორგანო მთავრობას ამ საკითხთან დაკავშირებით ოპონირებას გაუწევს.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პარლამენტი საერთაშორისო ბიზნეს-საპარლამენტო ასოციაციაში გაწევრიანებისთვის ემზადება. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ განაცხადა, რომ საქართველოს გაწევრიანების საკითხი პარლამენტისა და ბიზნესის მსოფლიო ასოციაციის საბჭოს სხდომაზე დადგა, რომელიც 13-15 ივნისს, ჰელსინკში გაიმართა.

**"ასოციაციის შემოთავაზებული სქემა საქართველოს პარლამენტში ბიზნეს-ჯგუფებისა და პარლამენტარების კოორდინირებულ მუშაობას ითვალისწინებს",** - თქვა მან.

**"ბიზნესმენები მონაწილეობას მიიღებენ კანონშემოქმედებით საქმიანობაში, რაც უზრუნველყოფს ამ პროცესის გამჭვირვალედ წარმართვას და გამორიცხავს პარლამენტარების მხრიდან ამა თუ იმ კანონპროექტის "იატაკქვეშა ლობირებას",** - აღნიშნავს გოცირიძე.

ამასთანავე, დეპუტატი აცხადებს, რომ ანალოგიური შემოთავაზება პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ 10 დღის წინ დიდ ბრიტანეთში ვიზიტისას მიიღო.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ "თელასის" წინააღმდეგ არასამთავრობო ორგანიზაციის "სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოს" სასარჩელო განცხადების განხილვა დაიწყო. ორგანიზაცია "თელასს" მოსახლეობიდან, კერძოდ კი სოციალურად დაუცველი ფენებიდან თანხების უკანონოდ ამოღებაში ადანაშაულებს და კომპანიისგან ფულადი კომპენსაციის სახით ანაზღაურების გადახდას მოითხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ლონდონი.** ლონდონის ნავთობის საერთაშორისო ბირჟაზე ნავთობის ფასმა კვლავ აიწია. 22 ივნისს "ბრენტის" მარკის ნავთობზე ვაჭრობა ფიუჩერსულ კონტრაქტებზე კოტირების ზრდით დაიწყო. ამჟამად აგვისტოს ფიუჩერსებზე კოტირება 35.33 დოლარს აღწევს, რაც 20 პუნქტით მაღალია 21 ივნისის მონაცემებთან (35.13 დოლარი) შედარებით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** "რაო ეეს როსიი" წლის ბოლომდე REN TV-ში თავისი აქციების გაყიდვას გეგმავს. რუსულმა ენერგოგიგანტმა ჯერ კიდევ 2003 წელს დაადასტურა, რომ ტელეკომპანიის აქციათა თავისი კუთვნილი პაკეტის (70 პროცენტის) გაყიდვას აპირებდა. დღემდე ეს პაკეტი ენერგოჰოლდინგის შვილობილ კომპანიის "გამოთვლების ოპტიმიზაციის ცენტრის" საკუთრებაშია. **მედია-ნიუსი**

**ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს გამანაწილებელი კარადის, მთავარი გამთიშველის, შემყვანი კარადის მოწოდებაზე:**

მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება
შეუძლიათ 2004 წლის 25 ივნისამდე; მისამართი:
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.
ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 30 ივნისი.

**ს.ს. თელასი აცხადებს ტენდერს ძალოვანი კაბელების მოწოდებაზე.**

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები სს "თელასის" კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 9 ივლისი.

**"ს/ს თელასის" განცხადება**

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

24 ივნისს, 11.00-დან 17.00-სთ-მდე:
არაგვის, ახვლედიანის, ბელინსკის(ნაწილობრივ), გურგულიას, კობახიძის, კოსტავას(ნაწილობრივ), მილორავას, ნიკო ნიკოლაძის(ნაწილობრივ), ვაშლოვანის, ქიაჩელის ქუჩების მაცხოვრებლებს.

24 ივნისს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:
სოფლების: თელეთის და კოჯრისხევის, გეოლოგების დასახლების მაცხოვრებლებს.

# როი საუსვორტი: "საქართველოს მთავრობა დონორთა შეხვედრაზე კარგად მომზადებული მოვიდა"

ნინო ნარჩემაშვილი

*საქართველო 2004-2006 წლებში დონორი ორგანიზაციებისაგან ერთი მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტს მიიღებს. ბრიუსელში გამართულ დონორთა შეხვედრაზე საქართველოსათვის ასეთი მასშტაბის დახმარების გამოყოფის გადაწყვეტილება ცამეტმა ორგანიზაციამ მიიღო და ამ თანხაში თითოეული მათგანის გარკვეული ფინანსური წვლილი იქნება. აღსანიშნავია, რომ, ფაქტობრივად, ორწლიანი პერიოდისათვის ასეთი ოდენობის თანხის გამოყოფა დონორების მხრიდან უპრეცედენტო შემთხვევაა. რა ფაქტორებით იქნა განპირობებული ასეთი გადაწყვეტილება? რაში დაიხარჯება მილიარდი დოლარი და როგორ განხორციელდება თანხების კონტროლი? "24 საათის" შეკითხვებს მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი საქართველოში როი საუსვორტი პასუხობს.*



ვახო ბესელიას ფოტო

*როი საუსვორტი დაინტერესებული პირების ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ამბობს, რომ მილიარდი დოლარი საქართველოს მთავრობას ბრიუსელიდან თბილისში თვითმფრინავით არ წამოუღია.*

- დახმარების გამოყოფა, პირველ რიგში, განაპირობა იმან, რომ დონორებმა დაინახეს საქართველოს მთავრობის ქმედითუნარიანობა, განხორციელებული ცვლილებები და ხედვა, რომელიც უკვე მთავრობის სტრატეგიაში გადაიზარდა. კიდევ ის, რომ საქართველოს მთავრობამ ბრიუსელის შეხვედრაზე ფინანსური დახმარების კარგად ჩამოყალიბებული პრიორიტეტები წარმოადგინა.

**- რაში უნდა დაიხარჯოს გამოყოფილი დახმარება - რა პირობები და მოთხოვნები აქვს მსოფლიო ბანკს საქართველოს მთავრობის მიმართ?**

- მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი მომავალი დახმარება მთლიანი თანხის 40 პროცენტს, ანუ 150 მილიონ დოლარს შეადგენს. 24 ივნისს გაიმართება მსოფლიო ბანკის საინვესტიციო საბჭო, რომელზეც გადაწყდება 48 მილიონი დოლარის ბედი, ანუ 24 მილიონით დაფინანსდება რეფორმების მხარდამჭერი პროექტი, დანარჩენი კი მეორადი გზების რეაბილიტაციის და ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერ პროექტებზე გადანაწილდება. ახალი ტრანშიდან თანხები გამოიყოფა, აგრეთვე, კერძო სექტორის სტიმულირების, სახელმწიფო სექტორში მენეჯმენტის გაძლიერების, ბიუჯეტის რეფორმირებისათვის. გარდა ამისა, ბანკი ამჟამად ახორციელებს მიმდინარე 16 პროექტს, სადაც ჯერ კიდევ ასათვისებელია 200 მილიონ დოლარზე მეტი თანხა. რაც შეეხება ინვესტიციების დანარჩენ 60 პროცენტს, მათი საშუალებით საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტები დაფინანსდება.

**- როგორ შეაფასებთ საქართველოს მთავრობის მიერ ბრიუსელში წარმოდგენილ ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებს? სწორად იქნა თუ არა ისინი განსაზღვრული?**

- მიმაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ კარგად იმუშავა და დონორთა შეხვედრაზე კარგად მომზადებული მოვიდა. მის მიერ ქვეყნისათვის განსაზღვრული პრიორიტეტები კი - ენერგეტიკა, კორუფციასთან ბრძოლა, ბავშვთა დაცვა, გენდერული საკითხები, მმართველობის საკითხები - სწორად იქნა ჩამოყალიბებული და დონორებმა მათ მხარი დაუჭირეს. სხვა საკითხია განხორციელება, რომელზეც, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მთავრობაა პასუხისმგებელი. თუმცა, ქვეყნის ხელისუფლების მიერ უკვე გადადგმული ნაბიჯები, ეკონომიკის ახალი მინისტრისა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მიერ დონორთა შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრებები თუ შეფასებები კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს და აშკარაა, რომ საქართველოს მთავრობა თავის პასუხისმგებლობას სრულად აცნობიერებს.

**- რა მექანიზმები არსებობს თანხების ხარჯვის გაკონტროლებისათვის და როგორ განხორციელდება მონიტორინგი?**

- რა თქმა უნდა, რთულია იმის გათვლა, იხარჯება თუ არა ყოველი ცენტი მიზნობრივად, მაგრამ მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები დიდ ძალისხმევას ვანდომებთ იმის კონტროლს, რომ თანხები მიზნობრივად გაიხარჯოს. საქართველოში რეგულარულად ჩამოდიან მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც მსიფლიო ბანკის პროექტების მიმდინარეობასა და თანხების განაწილებას აკონტროლებენ. ხორციელდება ყოველწლიური აუდიტი, მკაცრი მოთხოვნაა შესყიდვებზე, მსოფლიო ბანკის საქართველოს წარმომადგენლობაში მუშაობს გამოძიების დეპარტამენტი, სადაც ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიმართოს და აცნობოს მის მიერ აღმოჩენილი დარღვევის შესახებ. ყოველივე აღნიშნული გვეხმარება, ჩვენს საქმიანობაში გამჭვირვალობა შევინარჩუნოთ.

**- როდის დაიწყება უშუალოდ დახმარებების გამოყოფის პროცესი?**

- როგორც აღვნიშნე, 24 ივნისს საინვესტიციო საბჭოზე უკვე გადაწყდება და მსოფლიო ბანკის სამი პროექტი დაფინანსდება. სხვა ინვესტიციები ეტაპობრივად, მოთხოვნილების შესაბამისად წამოვა. რამდენიმე დღეში კი დაგეგმილია დონორების შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, სადაც დარჩენილი დეტალები იქნება განხილული.

**P.S.** და კიდევ ერთი. როგორც მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა საქართველოში, როი საუსვორტმა დაინტერესებული პირების ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად შენიშნა, მილიარდი დოლარი საქართველოს მთავრობას ბრიუსელიდან თბილისში თვითმფრინავით არ წამოუღია. ეს თანხა 2004-2006 წლიან პერიოდზეა გათვლილი და იგი ნაწილ-ნაწილ, მიმდინარე მოვლენებისა და პროექტების მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს შესაბამის ორგანიზაციებს და სტრუქტურებს გადაეცემა.

# იცოდეს მსოფლიომ, რომ "ხვანჭკარა" მხოლოდ საქართველოში მოდის

**ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია და "საქპატენტი" ბრენდების გამყალბებელთა წინააღმდეგ ილაშქრებს**

*გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" დასრულდა ორდღიანი სემინარი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) და "საქპატენტის" წარმომადგენლებმა საფრანგეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით გამართეს. სემინარზე ღვინის, მინერალური წყლის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დასახელებებში გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები განიხილებოდა. სემინარში 9 ქვეყანა - საქართველო, რუსეთი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ბულგარეთი, რუმინეთი და თურქეთი მონაწილეობდა.*

მაია ურუშაძე

ცნობილი ბრენდების ფალსიფიკაციის პრობლემა მსოფლიოს დიდი ხანია, აწუხებს. მაგრამ, განსაკუთრებით მტკივნეულია, როცა ყალიბდება ისეთი სავაჭრო ნიშანი, როგორიც მხოლოდ ერთ კონკრეტულ ადგილას, კონკრეტული ქვეყნის რომელიმე განსაკუთრებულ ადგილას შეიძლება იწარმოებოდეს.

საქართველოში ასეთი სავაჭრო ნიშანი საკმაოდ ბევრია. მათგან მსოფლიოსთვის ყველაზე მეტად ცნობილი მინერალური წყალი "ბორჯომი", "სქური", "ნაბეღლავი" და უნიკალური ჯიშის ქართული ღვინოებია, მაგალითად, "ხვანჭკარა", "წინანდალი", "ქინძმარაული", "ოჯალეში", "მანავი", "საფერავი" და სხვა.

პროდუქციის ასეთ დასახელებას მომხმარებლისთვის გაცილებით მეტის თქმა შეუძლია, ვიდრე ჩვეულებრივ ბრენდს. გეოგრაფიულ აღნიშვნებზე "მიბმული" სახელები, როგორც წესი, შეიცავენ ინფორმაციას იმ განსაკუთრებული თვისებებისა და ხარისხის თაობაზე, რომელსაც მხოლოდ შესაბამისი გეოგრაფიული ადგილის სპეციფიურობა, დამახასიათებელი ბუნებრივი პირობები, იქ არსებული ტრადიციები, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებაში წლების მანძილზე დაგროვილი ცოდნა და ოსტატობა განაპირობებს.

სავსებით ბუნებრივია, რომ ეს ბრენდები მომხმარებელს განსაკუთრებულად იზიდავს, ამიტომაც მათ მიმართ გამყალბებელთა ინტერესიც დიდია.

იმისათვის, რომ ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე ჩინურმა ან ინდონეზიურმა კომპანიამ "ხვანჭკარის" ჩამოსხმა არ დაიწყოს, ან სადმე სამოას კუნძულებზე "ნაბეღლავის" ჩამოსხმას არ მიჰყონ ხელი, პროდუქციის გეოგრაფიულ აღნიშვნებთან იდენტიფიცირების საკითხი კანონმა უნდა დაარეგულიროს.

კანონმდებლობის დახვეწის პრობლემა დღეს მარტო დსთ-ს სივრცის ქვეყნებს კი არა, მსოფლიოს მრავალ ძლიერ სახელმწიფოსაც აწუხებს. ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციები ჯერ კიდევ მსჯელობენ, კამათობენ და ცდილობენ, შესაბამისი კანონმდებლობა ისე დაიხვეწოს, რომ გამყალბებლებმა გეოგრაფიული ადგილების აღმნიშვნელი სახელწოდებების მითვისება ვეღარ შეძლონ. "ამასთან, თავიდან იქნება აცილებული მაღალი რეპუტაციისა და განსაკუთრებული კომერციული ღირებულებების მქონე გეოგრაფიული აღნიშვნების მითვისება და მათი არკანონიერი გამოყენება," - დააკონკრეტა WIPO-ს წარმომადგენელმა სერგეი ზოტინმა.

საქართველომ შესაბამისი კანონი ჯერ კიდევ 1999 წელს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისას მიიღო. მას შემდეგ ამ საკითხებს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - "საქპატენტი" არეგულირებს. თუმცა, როგორც "საქპატენტის" გენერალურმა დირექტორმა დავით გაბუნიამ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, მექანიზმები, რომელთა მიხედვითაც ამ კანონის განხორციელება უნდა ხდებოდეს, ჯერ კიდევ დასახვეწია. სავარაუდოდ, "საქპატენტს" მალე ფრანგი კონსულტანტები ეწვევიან, რომლებიც ქართველ სპეციალისტებს ამ სფეროს რეგულირების საკითხებში არსებულ "ევროგამოცდილებას" გაუზიარებენ.

# თავდასხმა ინგუშეთის სამართალდამცველებზე

21-22 ივნისის ღამით დაწყებულმა სროლისა და აფეთქებების ხმამ რუსეთს ახალი გლოვის დღის დადგომა აუწყა. ორშაბათს, გვიან ღამით, რამდენიმე შეიარაღებულმა ჯგუფმა ინგუშეთის დასახლებულ პუნქტებზე მიიტანა იერიში. წინასწარი მონაცემებით, დაღუპულია 75 ადამიანი. მათ შორის ინგუშეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი და პროკურატურისა და მილიციის მაღალი რანგის მოხელეები.

რამდენიმე ასეული მებრძოლი ინგუშეთის სამართალდამცავ ორგანოებს ერთდროულად სამი მიმართულებიდან დაესხა თავს.

ინგუშეთში შეიარაღებულ პირთა ჯგუფსა და სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლებს შორის ბრძოლები მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა. რამდენიმე ასეული ისლამისტი მებრძოლი გუშინ საღამოს ერთდროულად რამდენიმე დასახლებულ პუნქტში - ნაზრანში, ყარაბულახში და სტანიცა სლეპცოვსკაიაში შეიჭრა.

დაახლოებით 23.00 საათზე ტერორისტები თავს დაესხნენ ინგუშეთის შს სამინისტროს შენობას და მას ყუმბარმტყორცნებიდან ცეცხლი გაუხსნეს. თავდამსხმელებმა, ასევე, ნაზრანის მესაზღვრეთა რაზმის ყაზარმაზე მიიტანეს იერიში. მათ ინგუშეთის დედაქალაქ მაგასშიც სცადეს შესვლა, სადაც სამთავრობო შენობების კომპლექსი მდებარეობს, მაგრამ ქალაქის მისადგომებთან ისინი მილიციის თანამშრომლებმა შეაჩერეს. რამდენიმე საათის განმავლობაში ნაზრანის ცენტრში ძლიერი კანონადა ისმოდა. ადგილობრივ მკვიდრთა თქმით, ბრძოლაში გრადის ტიპის რეაქტიული დანადგარიც კი იყო გამოყენებული. თავდამსხმელებთან ბრძოლაში მოკლულია ინგუშეთის შს მინისტრი აბუკარ კოსტოევი, ასევე ნაზრანის პროკურორი და ნაზრანის რაიონის პროკურორი. შეტაკებებში ინგუშეთის სამართალდამცველი ორგანოების 47 თანამშრომელი დაიღუპა. ოფიციალური წყაროების მიხედვით, დაღუპულია 28 სამოქალაქო პირიც. 50-დან 200-მდე ადამიანია დაჭრილი. როგორც საინფორმაციო სააგენტო "რია ნოვოსტის" ინგუშეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს წარმომადგენელმა აცნობა, ნაზრანში შს სამინისტროს საწყობებს გაუჩნდა ცეცხლი. ნაწილობრივ დანგრეულია შს სამინისტროს, ნაზრანის სასაზღვრო რაზმის და ყარაბულახის მილიციის განყოფილების შენობები.



*ნაწილობრივ დანგრეულია შს სამინისტროს, ნაზრანის სასაზღვრო რაზმის და ყარაბულახის მილიციის განყოფილების შენობები.*

ამჟამად ინგუშეთში ვითარებას ძალოვანი სტრუქტურები აკონტროლებენ. თავდამსხმელები გაიფანტნენ, მცირერიცხოვან ჯგუფებად გაიყვნენ და გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდნენ. ინგუშეთის, ჩრდილოეთ ოსეთის და დაღესტნის ადმინისტრაციულ საზღვრებზე გაძლიერებულია უსაფრთხოების ზომები.

ინგუშეთის პრეზიდენტის განკარგულებით, 23 ივნისიდან რესპუბლიკაში სამდღიანი გლოვაა გამოცხადებული.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ძალოვან უწყებებს მოსთხოვა, სასწრაფოდ მიეკვლიათ თავდამსხმელებისათვის. "საჭიროა მოვძებნოთ და გავანადგუროთ. ვისი დაკავებაც მოხერხდება, ცოცხლად უნდა ავიყვანოთ და სამართალში მივცეთ", -აცხადებს პუტინი.

ინგუშეთის ვიცე-პრემიერის ბაშირ ალუევის განცხადებით, თავდამსხმელთა რიცხვი 300-დან 500-მდე აღწევდა. ალუევმა დასძინა, რომ "ჯერჯერობით, სამართალდამცავთათვის გამოუცნობი რჩება, თუ როგორ მოახერხა ამდენმა მებრძოლმა რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეღწევა".

რუსეთის საინფორმაციო საშუალებები, თავიდანვე, აქცენტს აღნიშნული ოპერაციის ჩეჩნურ კვალზე აკეთებდნენ და დამამტკიცებელ საბუთად იმას ასახელებდნენ, რომ თავდამსხმელები "ალაჰ აგბარ"-ის ძახილით იწყებდნენ შეტევებს, რაც, რუსების აზრით, ჩეჩენი რადიკალი ისლამისტებისთვისაა დამახასიათებელი. თუმცა, ერთ-ერთი თვითმხილველი აცხადებს, რომ თითქმის ყველა თავდამსხმელი ინგუში იყო.

# ირანელ ქალებს ცხელი ზაფხული ელით



REUTERS

*ირანელი ქალბატონებისთვის მკაცრი ისლამური ტრადიციები არც XXI საუკუნეში იცვლება*

თეირანის პოლიციის შეფმა მურთაზ თალაიმ კიდევ ერთხელ გააფრთხილა ირანელი ქალბატონები, რომ არ დაუშვებს მკაცრი ისლამური ჩაცმულობის ტრადიციების დარღვევას, ხოლო ურჩები კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან. ისლამური ტრადიციის თანახმად, მუსლიმ ქალებს, სახის მცირეოდენი ნაწილის გარდა, სხეულის გამოჩენა სასტიკად ეკრძალებათ. თუმცა, თანამედროვე ირანელი ქალბატონების უმრავლესობა ამ წესებს არად დაგიდევთ, როცა სიცხე +40 ცელსიუს გრადუსს აღწევს.

ირანის მოსახლეობის ორ მესამედს ახალგაზრდები შეადგენენ. ქალთა სქესის წარმომადგენლები ირანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და, სხვა ისლამური ქვეყნების ქალებისგან განსხვავებით, მეტი უფლებებითა და თავისუფლებით სარგებლობენ. გენერალი თალაი, რომელიც ცნობილია თავისი კონსერვატორული შეხედულებებით, ამგვარ განცხადებებს ყოველწლიურად აკეთებდა, მაგრამ დღემდე ეს მხოლოდ სიტყვიერ გაფრთხილებად რჩებოდა. თებერვლის საპარლამენტო არჩევნებში კონსერვატორების გამარჯვების შემდეგ კი ხელისუფლება, ადრინდელისგან განსხვავებით, მხოლოდ განცხადებებსა და გაფრთხილებებს აღარ სჯერდება.

ირანული კანონების თანახმად, "საზოგადოების გარყვნაში" ბრალდებულებს ჯარიმა, ციხე ან წამება ემუქრებათ. უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში პოლიციელებმა უკვე ჩაატარეს სპეცოპერაციები ყავახანებში, სადაც ახალგაზრდობა იყრიდა თავს და ძველ ლიბერალურ ეპოქაში თავისუფლად საუბრისა და ფლირტის საშუალება ჰქონდათ ჭიქა კოკა-კოლასთან.

**ბიბისი**

# ვაშინგტონის სიმპათიები ბაქოს მიმართ გაიზარდა

*მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დასარეგულირებლად ვაშინგტონის დიპლომატია გააქტიურდა. თუმცა, დაპირისპირებულმა მხარეებმა შეთანხმებას ვერც ამჯერად მიაღწიეს. ამ ფონზე სომხური მედია აშშ-ს პროაზერბაიჯანულ პოლიტიკაზე ალაპარაკდა.*

რევაზ ბახტაძე

21 ივნისს პრაღაში ეუთო-ს მინსკის ჯგუფის ეგიდით სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა გაიმართა. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვართან ოსკანიანმა თავის კოლეგასთან გამართულ მოლაპარაკებებს "სასარგებლო" უწოდა.

"პროცესი მიმდინარეობს. ახლა მე არ შემიძლია ვთქვა, რომ რაიმე კონკრეტულ შეთანხმებას მივაღწიეთ, მაგრამ შეხვედრას პოზიტიურად ვაფასებ," - დიპლომატიურად განაცხადა ოსკანიანმა პრაღაში "რადიო თავისუფლების" კორესპონდენტთან საუბრისას.

ეუთო-ს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები შეერთებული შტატები, რუსეთი და საფრანგეთი არიან. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დასარეგულირებლად, ბაქოსა და ერევანს შორის შუამავლობას სწორედ ისინი ეწევიან.

პრაღაში მყოფმა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აზერბაიჯანელი კოლეგის ელმარ მამედიაროვის მიერ მანამდე გაკეთებული განცხადება დაადასტურა, რომ ორი მხარე კონფლიქტის დარეგულირების მათეული სტრატეგიების შეჯერებას აპირებს.

აზერბაიჯანი მხარს უჭერს კონფლიქტის "ნაბიჯ-ნაბიჯ" მოგვარებას, რაც სომხეთის კონტროლის ქვეშ მყოფი ზოგიერთი ტერიტორიების დაბრუნების სანაცვლოდ, ეკონომიკური ბლოკადის მოხსნასა და ერთობლივი სარეაბილიტაციო პროექტების განხორციელებას გულისხმობს. ამ გეგმის თანახმად, ყარაბაღის სტატუსის შეთანხმება მოგვიანებით უნდა მოხდეს. სომხეთი კი კონფლიქტის ერთიან მოგვარებას უჭერს მხარს. ერევნის პოზიცია ამგვარია: რეგიონის საბოლოო სტატუსი, უსაფრთხოების საკითხები და ლტოლვილების ბედი ერთდროულად უნდა განისაზღვროს.

პრაღაში მყოფმა ოსკანიანმა აღიარა, რომ ყარაბაღის მომავალი სტატუსის განსაზღვრა მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იქვე კიდევ ერთხელ უარყო გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ შეერთებული შტატების მთავრობა კონფლიქტის "ნაბიჯ-ნაბიჯ" დარეგულირებას უჭერს მხარს. "კონკრეტული წინადადებები არ არსებობს. მხოლოდ ზოგადი დისკუსიები მიმდინარეობს და არც ერთ მხარეს თავს არაფერს ახვევენ", - ხაზგასმით აღნიშნა ვართან ოსკანიანმა.

არადა, ამ მოლაპარაკებებს წინ უსწრებდა ამერიკელი დიპლომატების თვალსაჩინო აქტიურობა. 3 ივნისს ერევანს მოულოდნელად ეწვია ეუთო-ს მინსკის ჯგუფის ამერიკელი თანათავმჯდომარე სტივენ მანი, რომელიც მანამდე კასპიისპირეთის ენერგეტიკულ საკითხებში ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველი იყო. სტივენ მანის ამერიკის წარმომადგენლად დანიშვნამ თავის დროზე სომხეთში ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რადგან მას აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან მჭიდრო კავშირები აქვს.

3 ივნისს მანმა ისე დატოვა ერევანი, რომ კომენტარი არ გაუკეთებია. მაგრამ სომხეთის ოპოზიცია და მედია ალაპარაკდა, რომ ამერიკელმა დიპლომატმა ერევანს ყარაბაღის კონფლიქტის "ნაბიჯ-ნაბიჯ" მოგვარების კონკრეტული გეგმა და გრაფიკი შესთავაზა. ამ გეგმის თანახმად, სომხეთმა ყარაბაღის გარშემო ოკუპირებული 7 აზერბაიჯანული რაიონიდან სამი (ფიზული, ჯებრაილი და ზანგილანი) უნდა გაათავისუფლოს.

ამავე გეგმის შესახებ აზერბაიჯანული გამოცემა "ზერკალოც" წერს. "ზერკალოს" ინფორმაციით, ამ ტერიტორიების გათავისუფლების სანაცვლოდ, ვაშინგტონი სომხეთის მთავრობას დახმარების მკვეთრ გაზრდას ჰპირდება.

"რადიო თავისუფლების" სომხური ბიუროს ცნობით, პრეზიდენტმა კოჩარიანმა აღნიშნული გეგმა სამი პარტიისაგან (რესპუბლიკური პარტია, "დაშნაკციუტუნი" და "ორინაც იერკირი") შემდგარ მმართველ კოალიციასთანაც განიხილა.

თუმცა, სომხეთის რევოლუციური ფედერაციის - "დაშნაკციუტუნის" წევრმა, პარლამენტარმა ტიგრან ტოროსიანმა პრეზიდენტთან შეხვედრის ფაქტი საერთოდ უარყო და, შესაბამისად, ამგვარი შეთანხმების შესაძლებლობაც გამორიცხა. იგივე მოსაზრება გამოთქვა რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა, სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ანდრანიკ მარქარიანმა. "მე კატეგორიულად გამოვრიცხავ ოკუპირებული ტერიტორიების ცალკე განხილვის შესაძლებლობას", - განაცხადა მან.

სომეხი პოლიტიკოსების სიფრთხილე გასაგებია, რადგან მათ კარგად ახსოვთ წინა პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანის მაგალითი. 1997 წელს ყარაბაღის საკითხში დათმობის აუცილებლობაზე გაკეთებული განცხადება პრეზიდენტს თანამდებობის დატოვებად დაუჯდა.

სომეხი პოლიტიკოსების უარყოფის მიუხედავად, ფაქტია, რომ ვაშინგტონი ყარაბაღის მიმართულებით გააქტიურდა. 15 ივნისს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ამერიკას ეწვია და იქ სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელსა და პრეზიდენტის მრჩეველს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისს შეხვდა.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა ყოველდღიურ ბრიფინგზე სომხეთსა და ამერიკას შორის განსახილველ თემებს შორის, პირველ რიგში, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი დაასახელა.

17 ივნისს კი სომხეთში შეერთებული შტატების ელჩმა ჯონ ორდვეიმ ჟურნალისტებთან შეხვედრისას ირიბად მიანიშნა, რომ ვაშინგტონი ყარაბაღთან დაკავშირებით კონკრეტული გეგმის განხორციელებას ცდილობს.

აღსანიშნავია, რომ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აშშ-ში ვიზიტის დროს, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განჯის სამხედრო ნაწილიდან მუქარანარევი განცხადებები გააკეთა: "უახლოეს მომავალში ყარაბაღის კონფლიქტი საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პირობით გადაწყდება" ("ზერკალო", 15 ივნისი). მან იქვე დასძინა, რომ ოკუპირებული ტერიტორიებთან დაკავშირებით ბაქო არანაირ დათმობაზე არ წავა.

დიპლომატიური მოლაპარაკებების პარალელურად, სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე ვითარება მკვეთრად დაიძაბა. აზერბაიჯანისა და სომხეთის სამხედროებმა გასულ კვირას განაცხადეს, რომ სასაზღვრო რაიონებში მიმდინარე ორმხრივი სროლების დროს ორივე მხარეს დაღუპულები არიან.

პრაღაში მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, აზერბაიჯანული გამოცემა "ზერკალო" მოწინავე სტატიაში აღნიშნავს, რომ შეერთებულმა შტატებმა ამ პრობლემის დამოუკიდებლად, რუსეთის გვერდის ავლით გადაჭრა კიდევ ერთხელ გადაწყვიტა. ვითარება კი ასე იოლი არაა.

მართალია, პრაღის მოლაპარაკებებს კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები მაინც ბაქოს წარმატებად შეიძლება განვიხილოთ - სომხური დიასპორის ზეწოლის მიუხედავად, ვაშინგტონის პოზიცია აზერბაიჯანისას შესამჩნევად დაუახლოვდა.

ძვირფასო აბონენტებო!

ჯეოსელი გილოცავთ ზაფხულის დადგომას და შეგახსენებთ, რომ თუ საკრედიტო ან საავანსო სისტემის აბონენტი ბრძანდებით, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი ფასდაკლებებით:

ჯეოსელი





GEOCELL

-50% - ღამის საათებში (24:00-08:00) განხორციელებულ ლოკალურ ზარებზე

-10% - დღის საათებში (08:00-24:00) ჯეოსელსა და ლაი-ლაიზე განხორციელებულ ზარებზე

1 ივლისიდან ღამის ფასდაკლება გავრცელდება მხოლოდ ჯეოსელსა და ლაი-ლაი-ზე განხორციელებულ ზარებზე.

www.geocell.ge

# შპს "თბილწყალკანალის" ინფორმაცია შეღავათების შესახებ

მოხმარებული სასმელი წყლის საფასურის გადახდაზე 50 პროცენტიანი შეღავათით სარგებლობენ:

1. პერსონალური პენსიონერები და მათი ოჯახის შრომისუუნარო წევრები (შეღავათის გატარებისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს: პერსონალური პენსიონერის მოწმობა ან ცნობა სოცუზრუნველყოფიდან და პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ოჯახის წევრების შრომისუუნარობის დამადასტურებელი საბუთი);

2. ფსიქიატრიის დარგში მომუშავე პირები (უშუალოდ) (წარმოდგენილი უნდა იქნეს ცნობა სამსახურიდან და პირადობის დამადასტურებელი საბუთი);

3. ომის ვეტერანები:

ა) ომის მონაწილეები, მონაწილესთან გათანაბრებული პირები, მათთან მცხოვრები შრომისუუნარო წევრები, მეუღლე, რომელიც მეორედ არ დაქორწინებულა, შვილები 18 წლის ასაკამდე და ოჯახის სხვა შრომისუუნარო წევრები, რომლებიც იმყოფებოდნენ დაღუპული (გარდაცვლილი) პირის კმაყოფაზე (წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობა და პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ოჯახის წევრების შრომისუუნარობის დამადასტურებელი საბუთი);

ბ) სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების მონაწილეები და მათთან მცხოვრები პენსიონერები ან ოჯახის შრომისუუნარო წევრები (წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობა და პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ოჯახის წევრების შრომისუუნარობის დამადასტურებელი საბუთი);

გ) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების მონაწილეები და მათთან მცხოვრები პენსიონერები ან ოჯახის შრომისუუნარო წევრები (წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობა და პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ოჯახის წევრების შრომისუუნარობის დამადასტურებელი საბუთი).

4. ომში დაღუპულ მეომართა ოჯახის წევრები; შრომისუუნარო მშობლები, მიუხედავად მათი ასაკისა, მეუღლე, რომელიც მეორედ აღარ დაქორწინებულა, არასრულწლოვანი (18 წლამდე) შვილები და ოჯახის სხვა შრომისუუნარო წევრები, რომლებიც იმყოფებოდნენ დაღუპული (გარდაცვლილი) პირის კმაყოფაზე ან იღებენ მარჩენალის პენსიას (წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობა, ან ცნობა მასზე, რომ შეღავათის მქონე პირი ნამდვილად ეკუთვნის ამ კატეგორიას და პირადობის დამადასტურებელი საბუთი);

5. შეიარაღებული ძალების ვეტერანები და მათთან მცხოვრები შრომისუუნარო წევრები: ინვალიდები, პენსიონერები, 18 წლის ასაკამდე შვილები (წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობა და პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ოჯახის წევრების შრომისუუნარობის დამადასტურებელი საბუთი);

6. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებზე და მისი ოჯახის შრომისუუნარო ან საპენსიო ასაკს მიღწეულ მეუღლეებზე, მშობელსა და შვილებზე (ნაშვილებზე) (წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილება და პირადობის დამადასტურებელი საბუთი);

7. მარტოხელა პენსიონერები (წარმოდგენილი უნდა იქნეს მარტოხელა პენსიონერის დამადასტურებელი საბუთი);

8. ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულები: მიღებული ჭრილობების, კონტუზიის, დასახიჩრების ან ქიმიური ნივთიერებით მოწამვლის შედეგად დაზარალებული პირები (წარმოდგენილი უნდა იქნეს ცნობა სოციალური დაცვის საქართველოს საქველმოქმედო ფონდიდან "9 აპრილი" და პირადობის დამადასტურებელი საბუთი).

მოხმარებული სასმელი წყლის საფასურის გადახდაზე 100%-იანი შეღავათით სარგებლობენ:

1. ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულებიდან:

ა) დაღუპულთა ოჯახის წევრები (შრომისუუნარო მშობლები, მეუღლე, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა, არასრულწლოვანი შვილი);

ბ) დაინვალიდებული(წარმოდგენილი უნდა იქნეს ცნობა სოციალური დაცვის საქართველოს საქველმოქმედო ფონდიდან "9 აპრილი" და პირადობის დამადასტურებელი საბუთი);

2. ომის მონაწილეები, რომლებსაც შეუსრულდათ 70 წელი და მათთან მცხოვრები პენსიონერები, ინვალიდები და ოჯახის შრომისუუნარო წევრები (წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობა და პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ოჯახის წევრების შრომისუუნარობის დამადასტურებელი საბუთი);

3. ბირთვულ ობიექტებზე ავარიული შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეები და გარდაცვლილთა შრომისუუნარო წევრები: მშობლები, მეუღლე, არასრულწლოვანი და ინვალიდი შვილები (წარმოდგენილი უნდა იქნეს ცნობა სოცუზრუნველყოფიდან ან საპენსიო წიგნაკი და პირადობის დამადასტურებელი საბუთი);

4. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის დაღუპულ, უგზოუკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახები და მათთან მცხოვრები პენსიონერები, ინვალიდები, ან ოჯახის შრომისუუნარო წევრები, მეუღლე, რომელიც მეორედ არ დაქორწინებულა (წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობა ან ცნობა, რომ შეღავათის მქონე პირი ნამდვილად ეკუთვნის ამ კატეგორიას, ოჯახის წევრების შრომისუუნარობის დამადასტურებელი საბუთი და პირადობის დამადასტურებელი საბუთი);

5. ომის ინვალიდები:

ა) მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან მცხოვრები პენსიონერები, ინვალიდები ან ოჯახის შრომისუუნარო წევრები;

ბ) სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ინვალიდები და მათთან მცხოვრები შრომისუუნარო წევრები;

გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის საბრძოლო მოქმედებების მონაწილე ინვალიდები და მათთან მცხოვრები პენსიონერები, ინვალიდები, ან ოჯახის შრომისუუნარო წევრები (წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობა ან ცნობა, რომ შეღავათის მქონე პირი ნამდვილად ეკუთვნის ამ კატეგორიას, ოჯახის წევრების შრომისუუნარობის დამადასტურებელი საბუთი და პირადობის დამადასტურებელი საბუთი);

6.პირველი ჯგუფის ინვალიდები (მათ შორის უსინათლოები, შეღავათი ვრცელდება მხოლოდ მათზე) (წარმოდგენილი უნდა იქნეს ინვალიდობისა და პირადობის დამადასტურებელი საბუთი);

7. დედ-მამით ობოლი ბავშვები (წარმოდგენილი უნდა იქნეს ორივე მშობლის გარდაცვალების მოწმობები და პირადობის დამადასტურებელი საბუთი);

8. მრავალშვილიანი (სამი და მეტი) ოჯახები (18 წლამდე) (წარმოდგენილი უნდა იქნეს ცნობა სოცუზრუნველყოფიდან, ბავშვების დაბადების მოწმობები და მშობლების პირადობის დამადასტურებელი საბუთი);

9. ქ. თბილისის საპატიო მოქალაქეები, გარდაცვალების შემთხვევაში შეღავათები ვრცელდება მეუღლეებზე (წარმოდგენილი უნდა იქნეს საპატიო მოქალაქეობის მოწმობა და პირადობის დამადასტურებელი საბუთი).


**ქალაქ თბილისის მერის ინიციატივა**
**საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი**

**იწვევს მოხალისეებს**
სამეზობლო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობისათვის.

თქვენი დახმარებით და სახელმწიფო რესურსების მინიმალური გამოყენებით, მნიშვნელოვან ადგილობრივ პრობლემებს გადავჭრით.

ჩვენი მიზანია:

საზოგადოების ფართო ფენების ჩაბმა თბილისის მერიის მიერ განსახორციელებელ საქმიანობაში;
მოსახლეობისა და ქალაქის ადმინისტრაციის თანამშრომლობის განმტკიცება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას;
მოსახლეობის ჩართვა გადაწყვეტილებების მიღებაში;
სამეზობლო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა;

**გახდი თბილისის კორპუსის მოხალისე!**
**შექმენი ამხანაგობა, მიხედე შენს უბანს შენ თვითონ!**
დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 93-36-32
ელ-ფოსტა: tbilisi-corps@hotmail.com


# ქვიდან ნაშლილი საქართველო





*ტაო-კლარჯეთი, ოშკი, ბანა და ზარზმა, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, კვიპროსზე ღალიას ნანგრევები - საზღვარგარეთ არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მცირე ჩამონათვალია, რომელსაც საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ზრუნვა და პატრონობა ყოველთვის აკლდა. ნავსი გატყდა. საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის ინიციატივით, შეიქმნა საზღვარგარეთ არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი და ფონდი, რომლისთვის პირველი შემოწირულობა თავად მინისტრმა გაიღო.*

თამარ დვალი

2001 წლის 17 დეკემბრიდან 2002 წლის 1 აპრილამდე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ისრაელსა და პალესტინაში ქართველ მეცნიერთა ექსპედიცია მოეწყო, რომლის მიზანსაც ქართულ სიძველეთა მოძიება, კვლევა და ფიქსაცია წარმოადგენდა. ფილოლოგების, აღმოსავლეთმცოდნეების, ხელოვნებათმცოდნეების, ისტორიკოსებისა და არქეოლოგების ძალისხმევით, წაკითხულია და კალკაზე გადმოღებულია 50-მდე ქართული წარწერა, მათ შორის - 40-მდე უცნობი; დაფიქსირდა ქართველთა სახელთან დაკავშირებული 35 მონასტერი, საეკლესიო ნივთები და ხელნაწერი დოკუმენტები; აღინუსხა სხვადასხვა ეკლესიაში დაცული ქართულწარწერიანი ნივთები; აღიწერა წმიდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის ამსახველი ოსმალური და არაბული დოკუმენტები; პირველად მოხერხდა ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა მიერ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობის დათვალიერება, აღწერა და სამომავლო კვლევა-ძიების დასაწყებად საჭირო მასალის მომზადება; დაიგეგმა მონასტრის ხუროთმოძღვრული კომპლექსის შესწავლა.

როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელი თამილა მგალობლიშვილი იხსენებს, რომ არა მათი დაჟინებული მოთხოვნა და პრინციპულობა, იერუსალიმის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის ფასადზე ელენე კახთა დედოფლის მეჩვიდმეტე საუკუნის წარწერა სამუდამოდ გაქრებოდა. **"ექსპედიციის წევრებმა ელენე დედოფლის წარწერა მის დაზიანებამდე დააფიქსირეს და კალკაზე გადმოიტანეს, რის შემდეგაც აღმოვაჩინეთ, რომ წარწერა ვიღაცას საერთოდ მოუშლია. ქართველ მეცნიერთა დაჟინებული მოთხოვნით, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო ამ წარწერის პირვანდელ ადგილზე აღდგენას დასთანხმდა. ეს არის მაგალითი, თუ როგორ იშლება და ნადგურდება ქართული კერები საზღვარგარეთ. აქამდე არ არსებობდა სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც კულტურული მემკვიდრეოიბის შენარჩუნებასა და გადარჩენაზე იზრუნებდა, ახლა ეს საკითხი ქვეყნის პრიორიტეტად იქნა გამოცხადებული. სალომე ზურაბიშვილი ჩვენი ექსპედიციით ჯერ კიდევ მაშინ დაინტერესდა, სანამ მინისტრი გახდებოდა. იგი გაეცნო იმ პრობლემებს, რომელსაც ქართველი მეცნიერები ექსპედიციის დროს აწყდებოდნენ. საგარეო საქმეთა სამინისტროში მსგავსი ცენტრის დაარსება სახელმწიფო კურსის გამოხატვას ნიშნავს",** - აღნიშნა თამილა მგალობლიშვილმა, რომელიც ახლად შექმნილი ცენტრის აღმასრულებელი დირექტორია.

ვინ უხელმძღვანელებს საზღვარგარეთ არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდს, ჯერ გაურკვეველია. თუმცა, შემოწირულობა უკვე დაწყებულია. პირველმა შემომწირველმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა ფონდში 500 ლარი ჩარიცხა.

ცენტრის დაარსებასთან დაკავშირებით, საქართველოში ჩამოვიდა საზოგადოებრივი მოძრაობა "ფერისცვალების" ლიდერი, რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, დავით მორჩილაძე. სწორედ მისი ძალისხმევით, რამდენიმე წლის წინათ კვიპროსში საპატრიარქოს წარმომადგენელი მამა ზაქარია ჩავიდა, რომელიც კვიპროსზე ქართულ წირვა-ლოცვას აღავლენს. **"კვიპროსის მიწაზე მე ვნახე ქართული ტაძრის - "ღალიას" ნანგრევები, რომელსაც ადგილობრივები "ლიალიას" ეძახიან. მქონდა სურვილი, ეს ტერიტორია შემეძინა და იქ ქართული მონასტერი აღმედგინა, თუმცა ამ ადგილს რამდენიმე მფლობელი გამოუჩნდა და მისი შეძენა შეუძლებელი აღმოჩნდა. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, კვიპროსში სასულიერო კულტურული ცენტრი ჩამოვაყალიბეთ. ასე შეიძლება აღვადგინოთ და დავიცვათ ქართული მემკვიდრეობა საზღვრებს გარეთ. ყველა ნორმალურ ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვა სახელმწიფო დონეზეა აყვანილი. მიხარია, რომ ჩვენს ქვეყანაშიც დაფიქრდნენ ამ საკითხზე. მე დავუკავშირდი სხვა ბიზნესმენებსაც და ვიცი, რომ ისინიც მზად არიან ახლად შექმნილ ცენტრს დაეხმარონ",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას დავით მორჩილაძემ.

დეკანოზ ზაქარია ფერაძის თქმით, როდესაც იგი კვიპროსში ჩავიდა, იქაურები ქართველების შესახებ უარყოფით ინფორმაციას ფლობდნენ. საქართველოს გაცნობის მიზნით, მან ადგილობრივ მაცხოვრებლებს ქართული ჭედურობა, მინანქარი და ნაქარგები გააცნო. ასე გაჩნდა საქართველოს შესახებ პირველი ინფორმაცია, რასაც მონასტრებში ქართული წირვა-ლოცვის ჩატარება მოჰყვა. "ღალიას" ნანგრევები კვიპაროსის მთებშია და ის ერთადერთი ადგილია ამ კუთხეში, სადაც ტაძართან წყალი ახლოსაა.

მამა ზაქარია: **"ქართველებს არასოდეს ეშლებოდათ ტაძრების აგება. ხელნაწერებიდან ვგებულობთ, რომ "ღალია" მეათე საუკუნემდეა აგებული. ამჟამად კედლებია შემორჩენილი ფრესკებით. თქმულების თანახმად, თამარ მეფე სწორედ ამ ადგილებშია დაკრძალული. იქვე აღმოვაჩინეთ წმიდა ნიკოლოზის ნატაძრალიც. ახლახან მივაკვლიეთ გვირაბს და ვვარაუდობთ, რომ ეს არის სამარხები. ასე რომ, ბევრი რამეა კიდევ გასაკეთებელი და სანახავი. ამჟამად ლიმასოლში, მაფოსში და ნიქოზიაში არსებულ ბერძნულ ტაძრებში აღვავლენ წირვა-ლოცვას ქართულ ენაზე. იმ მხარეში საელჩო არ არის და, გარკვეულწილად, ჩვენ ვითავსებთ მათ ფუნქციებსაც. ბევრ პრობლემებს ვაწყდებით და, შეძლებისდაგვარად, ვწყვეტთ. მაგრამ, მაინც რჩება ისეთი საკითხები, რომელიც სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს".**

ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსმა მეუფე თეოდორემ ხანძთა, ოშკი, ზარზმა და ბანა რამდენჯერმე მოილოცა და იქ არსებულ პრობლემებსაც გაეცნო. **"საქართველოს დიდი კულტურული მემკვიდრეობა აქვს. უცხო ქვეყანაში ძნელია რამის გაკეთება, თუ არ იქნა სახელმწიფო ნება. სამწუხაროდ, თურქეთის ტერიტორიაზე მოხვედრილ ჩვენს ძეგლებს არ ეტყობათ, რომ სახელმწიფო მათზე ზრუნავს. ხანძთა არის პირველი ცენტრი, საიდანაც დაიწყო მთლიანად ტაო-კლარჯეთის აღმშენებლობა. დღეს ოშკი, ზარზმა, ბანა და სხვა მრავალი ცენტრი სახელმწიფოსაგან მფარველობას ელის. მიხარია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ საკითხით დაინტერესდა",** - აღნიშნა მეუფემ.

ცენტრის დაარსების ინიციატორი, საგარეო საქამეთა მინისტრი, სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ დაკარგული ძეგლების დაბრუნებაზე მუშაობა უკვე დაწყებულია.

**"ჩვენი მიზანია, საზღვარგარეთ არსებული კულტურული მემკვიდრეობის მოძიება, ფიქსაცია და მის დაცვასთან დაკავშირებული ერთიანი შეჯერებული პოზიციის შემუშავება; ასევე, კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე სემინარებისა და სიმპოზიუმების მოწყობა. როდესაც ოფიციალური დელეგაცია საზღვარგარეთ მიემგზავრება, მათ პროგრამაში კულტურული ძეგლების მონახულება ყოველთვის შედის, რაც ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია".**

# "დაგვეხმარეთ ექიმებს!"

თამარ ჭაჭანიძე

*"ბატონო ლადო, დაგვეხმარეთ ექიმებს"! "ჩვენც შეგვეხოს პრეზიდენტის დემოკრატიული კურსი"! "გათავისუფლდეს პოლიკლინიკა შევარდნაძის ნარჩენებისგან"! "ძირს ერეკლე ქიქოძის ბიუროკრატიული სააგენტო", - ასეთი პლაკატები დახვდა გუშინ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ლადო ჭიპაშვილს სამკურნალო დიაგნოსტიკურ ცენტრ "სიცოცხლეში", სადაც ექიმები, უკვე მეორე დღეა, შიმშილობენ. ისინი ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის გადაყენებასა და დირექტორის მოხსნას მოითხოვენ.*

**"სამეთვალყურეო საბჭოს გადაყენების დადგენილება ჯანდაცვის სამინისტრომ უკვე მიიღო, მაგრამ მისი იგნორირება სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს მხრიდან მოხდა. მან მიიჩნია, რომ საჭიროა, შეიქმნას სიტუაციის შემსწავლელი კომისია. ოთხი თვის განმავლობაში კომისია კომისიაზე მოდის, მაგრამ გადაწყვეტილებას ვერ იღებენ. ამასობაში ჩვენ გაუსაძლის პირობებში ვართ; გაურკვეველია გათავისუფლებული თანამშრომლების ბედი. დირექტორმა დერმატოლოგი კვეზერელი-კოპაძე მხოლოდ იმიტომ**



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*სამეთვალყურეო საბჭოს გადაყენების დადგენილება ჯანდაცვის სამინისტრომ უკვე მიიღო.*

**მოხსნა სამსახურიდან, რომ, მისივე განცხადებით, არ ესიმპათიურებოდა. შემდეგი რომელი არ მოვეწონებით არ ვიცით",** - აცხადებენ მედიკოსები.

სამკურნალო ცენტრ "სოცოცხლეს" თანამშრომლები ლადო ჭიპაშვილს მობილიზებულნი შეხვდნენ. მინისტრს საქმის ვითარება და თავიანთი მოთხოვნები გააცნეს. მინისტრს მიმართა ცენტრის დირექტორმა ლია დეკანოსიძემაც, მაგრამ მის გამოსვლას ექიმების მხრიდან დიდი ვნებათაღელვა ახლდა. ყოველ მის წინადადებას "სიცრუეა! სიცრუეას!" შეძახილი მოჰყვებოდა. საბოლოოდ მდგომარეობა მინისტრმა განმუხტა. ლადო ჭიპაშვილმა სინანული გამოთქვა, იმის გამო, რომ ანალოგიური სიტუაცია საქართველოს მრავალ სამედიცინო დაწესებულებაშია შექმნილი და სამკურნალო დაწესებულებების თვითმმართველობის პრინციპები კიდევ ერთხელ განუმარტა დამსწრეთ. მინისტრმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ კოლექტივმა უნდა იცოდეს, როგორ იხარჯება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფული; უნდა იცოდეს, რა პრინციპით რიგდება ხელფასები, რა პრინციპით ხდება სამუშაო მოცულობების განაწილება შრომით კოლექტივში და, შესაბამისად, გადაწყვეტილებების მიღებაში ექიმები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი.

**"ყველა იმ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც კოლექტივში ექიმებსა და მათ ხელმძღვანელებს შორის არის უნდობლობა, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი ხელახლა უნდა დაკომპლექტდეს, ოღონდ - ერთი პირობით - უნდა ამაღლდეს ექიმთა პასუხისმგებლობა, ისინი თავად უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი არა მხოლოდ სამკურნალო, არამედ სამეურნეო და ფინანსურ ოპერაციებზეც",** - განაცხადა ლადო ჭიპაშვილმა და მიიღო გადაწყვეტილება, დათხოვნილ იქნეს სამკურნალო დიაგნოსტიკურ ცენტრ "სიცოცხლეს" სამეთვალყურეო საბჭო. ახალი სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტება მოხდება მაშინ, როცა ექიმები შეწყვეტენ შიმშილობას და დაწესებულება მუშაობის ნორმალურ პირობებს დაუბრუნდება. რამდენიმე დღეში სამკაციანი სამეთვალყურეო საბჭოს ორ წევრს ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ თავად მინისტრი დაასახელებს, მესამე წევრს დაასახელებს სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი ერეკლე ქიქოძე. ეს პიროვნება ეკონომისტი იქნება და დაწესებულების ფინანსურ მხარეს მიხედავს. რაც შეეხება გათავისუფლებულ თანამშრომლებს, სამსახურში მათ დაბრუნებას სასამართლო გადაწყვეტილება დასჭირდება.

# "ჯუნიორ ეჩივმენტი" ქართველი მოსწავლეების ბიზნეს-განათლებაზე ზრუნავს

ლელა მარგიანი

*გუშინ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიან დარბაზში საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "ჯუნიორ ეჩივმენტი - საქართველოს" კომერციული და ეკონომიკური განათლების პროგრამების პრეზენტაცია შედგა. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია, საქარველოში ამერიკის ელჩის მეუღლე შერონ მაილსი, "ჯუნიორ ეჩივმენტის" წარმომადგენლები, პროექტის სპონსორი ცნობილი ქართველი ბიზნესმენები, მოსწავლეები და პედაგოგები.*

არასამთავრობო ორგანიზაცია "ჯუნიორ ეჩივმენტი - საქართველო" ოფიციალურად ერთი წლის წინათ, 2003 წლის გაზაფხულზე შეიქმნა, მაგრამ, არსებობის მცირე ხნის მიუხედავად, საკმაო წარმატებას მიაღწია. მისი წყალობით, საქართველოს 112 სკოლაში დაფუძნდა 90 კლუბი. მათში უკვე გაერთიანებულია 5300-ზე მეტი მოსწავლე, რომელთაც შეისწავლეს ეკონომიკისა და მეწარმეობის საფუძვლები.

"ჯუნიორ ეჩივმენტის" სახელმძღვანელომ და სწავლის მეთოდმა უდიდესი მოწონება დაიმსახურა როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს შორის.



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია, საქარველოში ამერიკის ელჩის მეუღლე შერონ მაილსი, "ჯუნიორ ეჩივმენტის" წარმომადგენლები.*

**"სწორედ ჩვენს პროგრამას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ეს ახალგაზრდები გაიზრდებიან ეკონომიკური ცოდნით შეიარაღებულები. მათ მიერ ბიზნესის სამყაროს კარგად შესწავლა ხომ ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის მეტად მნიშვნელოვანია. გვიხარია, რომ ამ მოძრაობამ ასეთი ძალა შეიძინა საქართველოში; რომ ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს წარმატებულმა ქართველმა ბიზნესმენებმა, რომელთაც დააფინანსეს ჩვენი პროექტი",** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში "ჯუნიორ ეჩივმენტი - საქართველოს" აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა გეგეშიძემ.

ორგანიზაციის საქმიანობით კმაყოფილი იყო გამგეობის თავმჯდომარე, ბატონი ლანსელოტ ფლეტჩერი, რომელმაც ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ **"ესაა ერთადერთი ორგანიზაცია საქართველოში, რომელსაც არ გაუხედავს საზღვარგარეთ. ხუთი ათასზე მეტი წიგნი, რომელიც გამოიცა, გადაეცემა განათლების მინისტრს და უფასოდ დარიგდება საქართველოს სკოლებში".** ბატონმა ლანსელოტმაც განსაკუთრებით აღნიშნა ქართველი ბიზნესმენების ღვაწლი პროგრამის წარმატებით განხორციელების საქმეში; თქვა, რომ პროგრამების განხორციელებაში თავისი წვლილი შეიტანეს "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ" და "გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა".

**"ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დღეს, როდესაც საქართველოში ეკონომიკური და ბიზნესგანათლება მწირია, ეს პროექტები ქართველი მეცენატების დახმარებით განხორციელდა. ესაა პირველი ნაბიჯი. ჩვენ ვფიქრობთ, მომავალშიც აქტიური მონაწილეობა მივიღოთ უმაღლესი სასწავლებლებისთვის ასეთი სახის ლიტერატურის გადაცემაში",** - გვითხრა პროექტის ერთ-ერთმა ძირითადმა სპონსორმა, "გაერთიანებული ქართული ბანკის" პრეზიდენტმა, ვანო ჩხარტიშვილმა.

თბილისური სიცხის მიუხედავად, საკმაო ხანს გაგრძელებული პრეზენტაცია პროგრამის მონაწილე საუკეთესო ტრენერების, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და სტუდენტების საზეიმო დაჯილდოებით დამთავრდა.

# გელაევის რეიდს პროკურატურა იძიებს

პირველი გვერდიდან

გოგა ხაინდრავას განცხადებას რეაგირება ერთი თვის თავზე მოჰყვა - გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლებმა გაერო-ს ვერტმფრენის აფეთქების თაობაზე წლების წინ შექმნილი, მაგრამ შემდეგ დახურული საქმე არქივიდან გამოიღეს და საქმის ხელახალი გამოძიება დაიწყეს.

ამ ფაქტის გამო სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა რამდენიმე დღის წინ გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს შეხვდა კიდეც.

**"მე განსაკუთრებული არაფერი მომითხოვია, მოვითხოვე ის, რაც წესით, წლების წინ უნდა გაკეთებულიყო. გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის გადაწყვეტილებით, საქმის გამოძიება დაიწყო და ცოტა ხანში შედეგიც იქნება. გაერო-ს ვერტმფრენის ჩამოგდების გამო, რამაც 11 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, საქართველო საერთაშორისო ტერორიზმთან კავშირში დაადანაშაულეს. ამიტომაც, ეს საქმე გამოძიებული უნდა იყოს, რადგან საუბარია სახელმწიფო დანაშაულზე. ყველა იმ პირმა, ვინც დაკავშირებული იყო გელაევისა და მისი რაზმის რეიდთან, სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულისთვის პასუხი უნდა აგოს. პირობას გაძლევთ, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, მათი პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად დადგება, ამაში ძალიან მალე დარწმუნდებით,"** - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

სახელმწიფო მინისტრის მიერ ერთი თვის წინ გაკეთებულ მოთხოვნას გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანიც, რომელიც გელაევის რაზმის რეიდის თაობაზე სოლიდურ ინფორმაციას ფლობს. პრეზიდენტის რწმუნებულმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ იგი აქტიურად ითანამშრომლებს პროკურატურასთან ჩეჩენ ბოევიკთა რაზმის გადაადგილების შესახებ მისთვის ცნობილ ფაქტებთან დაკავშირებით. ემზარ კვიციანი მიიჩნევს, რომ ჩეჩნური რაზმის ჯერ წალენჯიხის რაიონში, შემდეგ კი კოდორის ხეობაში მოხვედრა ეროვნული ინტერესების საზიანოდ, საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აქცია იყო. **"ჩეჩენ მებრძოლთა რაზმის პანკისის ხეობიდან ჯერ სამეგრელოში, ხოლო შემდეგ კოდორის ხეობაში გადასროლით რუსებმა ანტიქართული საქმე ქართველი მაღალჩინოსნების ხელით განახორციელეს,"** - აცხადებს ემზარ კვიციანი, რომლის თქმითაც, პროკურატურამ უნდა გამოიძიოს არა მარტო გელაევის რაზმის სამეგრელოში და კოდორის ხეობაში მოხვედრის ისტორია, არამედ ჩეჩენა შეიარაღებული რაზმების პანკისის ხეობაში გამოჩენასთან დაკავშირებული პროცესებიც. კვიციანი, რომელიც 2001 წლის შემოდგომაზე, ჩეჩენ მებრძოლთა რაზმის მსვლელობის მონაწილე იყო და რამდენჯერმე შეხვდა კიდეც რუსლან გელაევს, დარწმუნებულია - ჩეჩენმა საველე მეთაურმა **"არ იცოდა, რომ ქართველთა წინააღმდეგ მოქმედებდა და როგორც ეტყობა, ამ ნაბიჯის გადადგმა მას თავად ქართველმა მაღალჩინოსნებმა შესთავაზეს".**

რაც შეეხება გელაევის რაზმის რეიდში მის მონაწილეობას, კვიციანის განცხადებით, ჩეჩენთა რაზმის სამეგრელოში გამოჩენის შემდეგ, სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, მან, როგორც მეგზურმა, ხელისუფლების დავალება შეასრულა და **"დარწმუნებული იყო, რომ კოდორის გავლით გელაევის რაზმი ჩეჩნეთში გადავიდოდა".**

ემზარ კვიციანი მზადაა, პროკურატურასთან ითანამშრომლოს, მაგრამ "24 საათთან" თანამშრომლობაზე მან კატეგორიული უარი განაცხადა. **"მე ვთქვი, რომ ვითანამშრომლებ პროკურატურასთან და არა "24 საათთან", თქვენს კითხვებზე პასუხის გაცემა არ მსურს,"** - პრეზიდენტის რწმუნებულის ამ კატეგორიული ფრაზით დასრულდა ჩვენი მცდელობა, კომენტარი ჩაგვეწერა. თუმცა, გელაევის რაზმის მსვლელობასთან დაკავშირებით ინფორმირებულმა ემზარ კვიციანმა "24 საათს" ვრცელი ინტერვიუ ერთხელ უკვე მისცა.

**"როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვე, ეს იყო რუშაილოს და საქართველოს მაშინდელი შს მინისტრის კახა თარგამაძის საიდუმლოდ დაგეგმილი ოპერაცია, რომელიც თარგამაძემ და მისმა ზოგიერთმა კოლეგამ შეასრულა. ამ საქმეში სხვა უწყებების წარმომადგენლებიც ერივნენ, მაგრამ მათი დასახელება ჯერ არ მინდა. მაშინაც ვთქვი და ახლაც ვამბობ, რომ ეს თარგამაძის ჩაწყობილი კარტი იყო. დავალებებს კი რუშაილოსგან იღებდა... გელაევის რაზმი ჩუმად გადაიყვანეს ზუგდიდში და ისეთ ვითარებაში დატოვეს, რომ ომი რეალურად მოსალოდნელი იყო. სავსებით შესაძლებელი იყო, რომ რუსები და ჩეჩნები ერთმანეთს დაჯახებოდნენ და მთელი სამეგრელო დაებომბათ. სწორედ ასეთ ვითარებაში დამევალა მათი იქიდან გაყვანა, რაც შევასრულე კიდეც... გადავიყვანე მთებში და ისინი მერე თავის ათ - თარგამაძისთვის მიეტანათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად იმყოფებოდა გელაევის ჯგუფი. თარგმაძე ამას რუსეთის მხარეს, რუშაილოს გადასცემდა და ისინიც საბრძოლველად მზად იყვნენ. დაბომბავდნენ და ამოხოცავდნენ გელაევის ჯგუფს,"** - განაცხადა მაშინ ემზარ კვიციანმა.



ქართველი ბიჭები მოატყუეს, ვითომდა აფხაზეთის დასაბრუნებლად ომი იწყებოდა და ისინი ჩატარებული სამხედრო ოპერაციებისას ჩახოცეს.

მართალია, ქართველ სამართალდამცველებს 2001 წლის შემოდგომაზე გელაევის რაზმის სამხედრო ლაშქრობის თაობაზე ოფიციალური დასკვნა ჯერ არ გაუკეთებიათ, მაგრამ არსებული არაოფიციალური ინფორმაციით, ეს იყო რუსეთის მიერ დაგეგმილი პროვოკაცია. ფაქტობრივად, ასე ფიქრობს ემზარ კვიციანის მიერ ბრალდებული კახა თარგამაძე, თუმცა პროვოკაციის ავტორებად იგი ქართველ მაღალჩინოსნებს მიიჩნევს.

**"საქართველომ მაშინ თავიდან აიცილა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია, გელაევი და მისი რაზმი საქართველოდან გააძევა,** - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა შს ყოფილმა მინისტრმა კახა თარგამაძემ, - **ემზარ კვიციანმა რაც არ უნდა თქვას, ფაქტის წინაშე მაშინ დადგა, როცა აფხაზებმა და რუსებმა გელაევის რაზმის დევნა დაიწყეს. როცა ამ მსვლელობის შესახებ მივიღე ინფორმაცია, მთელი ამბავი ავტეხე. მაშინ განვითარებულ მოვლენებს აუცილებლად ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციები მოჰყვებოდა, მაგრამ უშიშროების საბჭოს დავალებით მოსკოვში გავემგზავრე, შევხვდი მაშინდელ შს მინისტრს ბორის გრიზლოვს, უშიშროების საბჭოს მდივანს ვლადიმირ რუშაილოს. ამ შეხვედრამ ის შედეგი გამოიღო, რომ საქართველოს, რომელიც საერთაშორისო ტერორიზის მფარველად გამოცხადდა, დიდ უბედურებას გადაურჩა - გელაევის რაზმი საქართველოდან გაიდევნა.**

**მათ ქართველი ბიჭები მოატყუეს, ვითომდა აფხაზეთის დასაბრუნებლად ომი იწყებოდა და ისინი ჩატარებული სამხედრო ოპერაციებისას ჩახოცეს. ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდა შსს-ს შინაგანი ჯარის ტყიბულის ბატალიონი, რომელთა დიდი ნაწილიც ჩატარებული ბრძოლებისას დაიღუპა. ამიტომაც, ემზარ კვიციანს სალაპარაკო არაფერი** აქვს, სხვებისთვის ბრალდებებისის წაყენების უფლება წაერთმოს ნამდვილი ფაქტები, რადგან სწორედ მან და მისმა სამეგობრომ შეასრულებინა ამ პროცესს კოდორიდან გელაევის რაზმი."

არადა, გელაევის რეიდთან დაკავშირებით ნუგზარ ფანგანის მიერ დასახელებული ვერსიები მართლაც ემთხვევა იმ ვერსიებს, რომლებიც საქართველოს სპეცსამსახურებს მოეპოვებათ და რომელთა გამოძიებაც ახლა გენერალურ პროკურატურას მოუწევს. ერთ-ერთი ასეთი ვერსიით, გელაევის რაზმის სამხედრო ლაშქრობა და აფხაზეთში დაწყებული საომარი მოქმედებები ნარკობიზნესმა გამოიწვია. არსებული მონაცემებით, ჩეჩნეთის ომის დროს გროზნოში დანგრეული ორი ფარმაცევტული ქარხნიდან, ერთი ქარხანა, სადაც ჰეროინს აწარმოებდნენ (არსებული ინფორმაციით, მას შამილ ბასაევის ძმა მართავდა), თითქოს პანკისში გადმოიტანეს, ფინანსური წყაროს შესავსებად. ამ ვერსიით, ასეთი ქარხანა ფუნქციონირებდა აფხაზეთში და მას აკა არძინბა მფარველობდა. არსებული ვერსიით, სოხუმური წარმოების ჰეროინი, იაფი ღირებულების გამო, კონკურენციას უწევდა პანკისის ხეობისას. ამ ვერსიის მიხედვით, ჩეჩენთა ინტერესი (რომლებიც შემოსულ "ნარკოფულს" სამხედრო შეიარაღებას ახმარდნენ) და ზოგიერთ ქართველ მაღალჩინოსანთა ინტერესი, რომელიც ასევე ფინანსებთან იყო დაკავშირებული, ერთმანეთს დაემთხვა. "სამხედრო შტურმიც" სწორედ სოხუმის ნარკოტიკების დამამზადებელი ქარხნის განადგურებისთვის დაიგეგმა და სისრულეშიც მოვიდა. ჩვენი ინფორმაციით, დაზვერვის დეპარტამენტში დღესაც ინახება საიდუმლო ცნობა, რომელიც წლების წინ არის შედგენილი და რომელშიც საუბარია 2001 წლის შემოდგომაზე გელაევის რაზმის მიერ განხორციელებული სამხედრო შტურმისას, სოხუმში მდებარე ნარკოტიკების დამამზადებელი ქარხნის აფეთქებაზე.

სხვა ვერსია ტერორიზმთანაა დაკავშირებული. კერძოდ, ჩეჩენი საველე მეთაურის ჯგუფი რუსეთის პრეზიდენტ პუტინზე თავდასხმას გეგმავდა. ეს გეგმა 2001 წლის შემოდგომაზე, სოჭში, პუტინის საზაფხულო რეზიდენციაში უნდა განხორციელებულიყო. ამავე ვერსიით, გეგმა ვერ განხორციელდა, რადგან გელაევის რაზმმა აფხაზეთის "გარღვევა" და ამ გზით სოჭში შესვლა ვერ მოახერხა. იმავე მიზეზით ჩაიშალა მორიგი ტერორისტული მცდელობაც - შეტევა კრემლზე. ჩვენი ინფორმაციით, ქართველ სამართალდამცველებს ამ ვერსიის თაობაზეც მოეპოვებათ საიდუმლო ცნობა. სხვათა შორის, გელაევის რაზმის ეს გეგმა მოგვიანებით გაიშიფრა და ამის შესახებ რუსეთის საინფორმაციო საშუალებებიც იუწყებოდნენ.

გელაევის რაზმის რეიდს, რომელიც მოგვიანებით, აფხაზეთში გამართული საომარი მოქმედებების გამო, "გულრიფშის ომად" მოინათლა, საქართველოსთვის ის შედეგი მოჰყვა, რომ კოდორის ხეობას რამდენჯერმე გადაუფრინეს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა. რუსეთის სამხედრო უწყების მიერ ჩატარებული საჰაერო ოპერაციის შედეგად, კოდორის ხეობაში რამდენჯერმე ჩამოიყარა ბომბები. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქართველ კოლეგებს ოფიციალური ნოტაც კი გამოუგზავნა, რომლითაც რუსეთი "საქართველოში მყოფი ტერორისტებისა და შეიარაღებული დამნაშავეების გადაცემას" მოითხოვდა. გელაევის რაზმის ლაშქრობისა და მათი მფარველი საქართველოს ხელისუფლების თაობაზე რუსეთის მიერ ატეხილმა საერთაშორისო სკანდალმა ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკის ყურადღებაც მიიპყრო. გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის ვერტმფრენის "მი-8"-ს ჩამოგდების შემდეგ, საქართველოს ირგვლივ ატეხილი საერთაშორისო სკანდალი კიდევ უფრო გამძაფრდა და ტერორისტულ პროვოკაციაში საქართველო კიდევ ერთხელ დაადანაშაულეს.

29 სექტემბერს მოსკოვში, საქართველო-რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის გამართულ შეხვედრებს საბოლოოდ ის შედეგი მოჰყვა, რომ გელაევის რაზმს აფხაზეთის დაბრუნების მიზნით შეერთებული ქართველი პარტიზანები და შინაგანი ჯარის დანაყოფები ჩამოშორდნენ, ჩრდილოკავკასიელებმა ჩრდილოეთით, ყაბარდო-ბალყარეთისა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის საზღვრისკენ გადაინაცვლეს და საქართველოს ტერიტორია დატოვეს - რუსეთში ბილიკებით გადავიდნენ.

საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რომელმაც გელაევის რეიდის საქმე უნდა გამოიძიოს, ყველა დასახელებულ ვერსიაზე მოუწევს პასუხის გაცემა. როგორც საქმის აღძვრის ინიციატორი, სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა ირწმუნება, აუცილებლად დადგინდება, ვინ და რა ინტერესების გამო მფარველობდა ჩეჩენი საველე მეთაურის რაზმის რეიდს საქართველოში.

„ცენტრ პოინტი" ყველგან და ყველასთვის

მენაშენეთა ერთ-ერთი ლიდერი ცენტრ პოინტი

დაბალი ფასი, უმაღლესი ხარისხი, ზეთანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიები




„ცენტრ პოინტი"

საუკეთესო არჩევანი!

თქვენ ეს დაიმსახურეთ!

სათაო ოფისი: თბილისი, ჭავჭავაძის 66, ტელ. 253216, 253217
www.centerpoint.ge cp@centerpoint.ge 232260

## პანკისის ხეობაში ნარკობარონი ძმები დააკავეს

ხათუნა ჯანგირაშვილი

*როგორც ჩანს, პანკისის ხეობა ნარკობიზნესის პრობლემასთან დაკავშირებით კვლავ აქტუალური რჩება. მიუხედავად იმისა, რომ აქამდე ხეობაში პერიოდულად ჩატარებული სპეცოპერაციების შედეგად ნარკობარონების საკმაოდ დიდი რიცხვი მოხვდა ძალოვანი სტრუქტურების ხელში, ნარკოპრობლემა იქ ბოლომდე მოგვარებული ჯერ კიდევ არ არის. ხეობაში კვლავ რჩებიან ნარკოტიკებით მოვაჭრე გავლენიანი ადამიანები, რომლებიც, როგორც ამბობენ, თბილისელი ნარკომანების საკმაოდ დიდ პროცენტს ოსეთიდან, ჩეჩნეთიდან და ინგუშეთიდან სხვადასხვა გზებით ხეობაში შეტანილი ნარკოტიკებით ამარაგებენ.*

გუშინწინ საღამოს, პანკისის ხეობის ერთ-ერთ სოფელში - ბირკიანში - მოულოდნელად უშიშროების სამსახურის სპეცრაზმის წევრები გამოჩნდნენ. სპეცრაზმელების ალყაში ერთდროულად მოექცა ცალ-ცალკე მცხოვრები პანკისელი ძმების ცაფიაშვილების საცხოვრებელი სახლები. სპეცოპერაციის შედეგად, ხუთი ძმიდან სამი - ზაალ, ზაურ და ზვიად ცაფიაშვილები დააკავეს. ძმებმა წინააღმდეგობის გაწევა და გაქცევა ვერ მოასწრეს. დაკავებულები გუშინვე გადაიყვანეს კახეთის სამხარეო უშიშროების წინასწარი დაკავების საკნებში.

როგორც ჩვენთან საუბარში კახეთის სამხარეო უშიშროების სამსახურის უფროსმა ზაზა გელაშვილმა განაცხადა, ადრე ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონტრაბანდისთვის გასამართლებული ზაალ ცაფიაშვილის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკისას 200 გრამი ჰეროინი და "მაკაროვის" სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი იპოვეს. ასევე, ამოიღეს სპეცოპერაციამდე რამდენიმე წუთით ადრე გაყიდულ ჰეროინში გადახდილი 1500 დოლარი და 600 ლარი. ჩხრეკისას ნარკოტიკული ნივთიერება აღმოჩნდა ზაალ ცაფიაშვილის ორი ძმის სახლშიც. რაც შეეხება დანარჩენ ორ ძმას, რომლებიც არ დაუკავებიათ, როგორც ზაზა გელაშვილი ამბობს, მათ ნარკოდანაშაულთან არანაირი შეხება არ აქვთ.

**"ეს ანტიკრიმინალური სპეცოპერაცია დაახლოებით თვენახევრის განმავლობაში იგეგმებოდა. ზაალ ცაფიაშვილი პანკისის ხეობაში მსხვილი ნარკოგამსაღებელია, მასთან ერთად დაკავებული მეორე ძმა - ზაურ ცაფიაშვილი კი ნარკოტიკის შემომტანი. პანკისის ხეობაში ამჯერად მხოლოდ ცაფიაშვილების ნარკოტიკი ტრიალებდა. პირობას გაძლევთ, ამ სპეცოპარაციის შემდეგ, კარგა ხნის განმავლობაში ხეობაში ნარკოტიკის გასაღებას ვერავინ გაბედავს. მსგავსი ანტიკრიმინალური სპეცოპერაციები სისტემატურად გაგრძელდება. პანკისის ხეობა, ბოლოს და ბოლოს, სამუდამოდ უნდა გაიწმინდოს ნარკოტიკისგან",** - აცხადებს კახეთის სამხარეო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი.

## ორი სიტყვით

**თბილის.** საგზაო პოლიციამ დედაქალაქში რეიდები დაიწყო. 22 ივნისიდან თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსის ზურაბ მიქაძის უშუალო ხელმძღვანელობით საგზაო პოლიციის დანაყოფებმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევ მძღოლთა გამოვლენა დაიწყეს. საგზაო პოლიცია მსგავს რეიდებს ყველა რაიონში ჩაატარებს. უახლოეს დღეებში საგზაო პოლიციაში საკადრო რეორგანიზაცია დაიწყება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში მოქმედი, მძარცველთა სხვადასხვა ჯგუფის შვიდი წევრი სასტუმრო "აჭარისა" და "დინამოს" სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს. პოლიციის შს მთავარი სამმართველოს განცხადებით, მძარცველთა ასაკი 20-30 წლამდე მერყეობს. ყველა მათგანი პოლიციის წინასწარი დაკავების საკნებში არიან გადაყვანილნი. ღონისძიებას თავად თბილისის შს მთავარი სამმართველოს უფროსი ირაკლი კლდიაშვილი ხელმძღვანელობდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** გუშინ მდინარე ენგურის ცენტრალური საავტომობილო ხიდი გადაიკეტა. აქციას 16 ივნისს გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღებში აფხაზური მილიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლული ქართველის ზვიად ხურცილავას ოჯახის წევრები და ახლობლები ატარებენ. ისინი აფხაზური მხარისგან ხურცილავას ცხედრის დაბრუნებას კატეგორიულად მოითხოვენ. ოჯახის წევრების და ნათესავების განმარტებით, მათთვის ზვიად ხურცილავას გვამი აფხაზურ მხარეს ამავე ოპერაციის დროს მოკლული აფხაზური მილიციის უფროსის სერგო საბეკიას დასაფლავების შემდეგ უნდა გადმოეცა. აქციის მონაწილეები გალისა და ზუგდიდის მიმართულებით არ ატარებდნენ რუსეთის სამშვიდობო ძალების და გაერო-ს კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებს. ისინი აქციის გაგრძელებით და გამწვავებით იმუქრებიან, თუ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება. წინასწარი ინფორმაციით, ზვიად ხურცილავას ცხედარი აფხაზურმა მხარემ უკვე დაწვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გორში, შიდა ქართლის პოლიციის თანამშრომლებმა ერთ-ერთი კრიმინალური დაჯგუფების ხელმძღვანელი გ. ქანაშვილი გაქცევის მცდელობისას დააკავეს. ქანაშვილს "აკს"-ის სისტემის ავტომატური იარაღი აღმოაჩნდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს სამტრედიაში მცხოვრები მალხაზ ბურკაძე, რომლის ეზოდან ამოიღეს სამი ძირი 52.3 გრამი კანაფი. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა კი გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში დააკავეს იმავე სოფელში მცხოვრები, 68 წლის გივი მენაბდიშვილი, რომლის ეზოდან ამოიღეს 15 ძირი 2 კილოგრამი კანაფი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი, სამტრედიაში მცხოვრები იუსტინე თევზაძე, რომლისგანაც ამოიღეს 1.1 მილილიტრი ჰეროინის ხსნარი. **მედია-ნიუსი**

# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

ცხოვრებისეული ისტორიები

## ლაშა

გამარჯობათ, მე ვარ ლაშა. ჩემს შესახებ ძალიან ცოტა რამის თქმა შემიძლია. ვარ ცამეტი წლის და აფხაზეთში დავიბადე. როდესაც პატარა ვიყავი, მამა ომში გაიწვიეს. მას მერე მამა აღარ მინახავს. მე და დედამ დავტოვეთ სოხუმი და თბილისში ჩამოვედით. ამით მე დედამ გადამარჩინა, მაგრამ იძულებული იყო, ბავშვთა სახლში დავეტოვებინე, რადგან ძალიან გვიჭირდა.

ბავშვთა სახლში "გლახად" მექცეოდნენ, საჭმელს ნორმალურად არ მაჭმევდნენ, "შლანგს" მირტყამდნენ და ჩემი აზრის გამოთქმის საშუალება არ მქონდა. ამიტომ, ერთ დღეს, როდესაც ბავშვთა სახლის ეზოში "ნაგვის მანქანა" შემოვიდა, მას გავყევი და გამოვიპარე...

ვზივარ ქუჩაში დამწუხრებული ჩემთვის და დავინახე ქალი, რომელიც მაღაზიიდან გამოვიდა მძიმე ჩანთებით ხელში. მას უჭირდა ტვირთის ტარება, ამიტომ მე მივეხმარე და ჩანთები სახლში ავატანინე. მერე ჩემს შესახებ ვუამბე, მან თავისი შვილიშვილის ტანსაცმელი გამომიტანა და პირველ სართულზე პატარა ოთახი მომიჩინა.

მე ხატვა ძალიან მიყვარს, ბევრს ვხატავ. განსაკუთრებით მიყვარს ეკლესიების ხატვა. ხატვით მე ფულს ვშოულობ. ეკლესიაშიც დავდივარ.

ხანდახან ჩემი ტოლი ბიჭები დამცინიან, მეჩხუბებიან და ზოგჯერ ხატვით ნაშოვნ ფულსაც მართმევენ. მაგრამ მე რა უნდა ვქნა?!

ჩემთვის ვარ, ჩუმად და ისევ ვხატავ...

დღეს მხოლოდ ორი ლარი მაქვს ნაშოვნი. კატია ბებოს ლიმონათი და ბულკი უნდა ვუყიდო.

მე იმედი მაქვს, რომ აფხაზეთში დავბრუნდებით და სხვა ბავშვებივით მეც კარგად ვიცხოვრებ.

*რუბრიკას უძღვება*
**ლელა მარგიანი**

*შეგიძლიათ, გამოგვიგზავნოთ თქვენი "ცხოვრებისეული ისტორიები", რომლებშიც მოიგონებთ აფხაზეთს, იქაურ მეგობრებსა და მეზობლებს, საინტერესო ამბებს. დაგვირეკეთ: 20 00 24, ელ-ფოსტა: lmargiani@24hours.ge მოგვწერეთ: თბილისი, ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი", პროექტი "თქვენი აფხაზეთი", რუბრიკა "ცხოვრებისეული ისტორიები".*

### რადიო "მწვანე ტალღა"

**ამიერიდან ყოველ ორშაბათს 11.00-დან 12.00 საათამდე პროექტი "თქვენი აფხაზეთი" რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში წარმოგიდგენთ დიალოგს, პირდაპირ ჩართვებს, კითხვა-პასუხს.**

*FM 107,4*

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

## ღია წერილი აფხაზ ხალხს და მის პარლამენტს

*ეს წერილი ამერიკაში მცხოვრები აფხაზური დიასპორის სახელით გამოაგზავნა "აფხაზური ალიანსის" პრეზიდენტმა, ჩვენთვის კარგად ცნობილმა დოქტორმა ინალ კაზანმა, რომელიც სოხუმის ხელისუფლებას დემოკრატიული პრინციპების დაცვისაკენ მოუწოდებს.*

აფხაზეთის პარლამენტის წევრებო! 2004 წლის 28 მაისს თქვენმა პარლამენტმა მიიღო საარჩევნო კანონი, რომლის თანახმად აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა ეკრძალება აფხაზურ დიასპორას. ეს არის ალიყური იმ აფხაზებისთვის, რომლებიც ცარიზმისა და ბოლშევიზმის დროს იძულებულნი იყვნენ, დაეტოვებინათ სამშობლო. ამ საკანონმდებლო აქტით შეურაცხყოფილია მთელი ჩვენი აფხაზური დიასპორა.

ბოლო 10 წლის განმავლობაში არძინბას რეჟიმი სისტემატურად გვთხოვდა დახმარებას და ჩვენც ვეხმარებოდით. ამ დროს კი ჩვენი კანონმდებლობა ისე გვექცევა, თითქოს მეორეხარისხოვანი აფხაზები ვიყოთ. როგორც ჩანს, როცა გიჭირთ, მაშინ გჭირდებით, არჩევნებში კი ჩვენი ხმა არ გჭირდებათ. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ არჩევნებში ქართველ დევნილთა მონაწილეობის უფლებაც და ამისი არ უნდა გვეშინოდეს. ნუთუ ისინი აფხაზურ დიასპორასთან ერთად თანაბარუფლებიანობას არ იმსახურებენ? თუ ყველა აფხაზი მიიღებს საარჩევნო უფლებას, აფხაზეთზე კონტროლი ჩვენი იქნება და არჩევნებიც დემოკრატიულად ჩატარდება, რასაც საერთაშორისო საზოგადოებრიობაც აღიარებს.



*აფხაზური დიასპორა ნიუ-იორკში. შუაში ინალ კაზანი.*

საკანონმდებლო ინტრიგის მიუხედავად, თქვენ კიდევ გაქვთ შესაძლებლობა, გადახედოთ ამ აქტს და კვლავ დაიბრუნოთ კეთილგანწყობა თქვენს მიმართ. დიასპორისთვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭება და ქართველი დევნილებისთვის უფლებების აღიარება ჩვენს სამშობლოში დემოკრატიის დამყარების აუცილებელი პირობაა. აფხაზთა უმრავლესობის მხარდაჭერის გარეშე არჩევნები უკანონო იქნება. დემოკრატია არ უნდა დავამახინჯოთ.

სოხუმის დღევანდელი ხელმძღვანელობის მიერ აფხაზი ხალხის გახლეჩვის მიუხედავად, ჩვენ არ მიგატოვებთ. ჩვენ შემოვინახეთ აფხაზური კულტურა, ენა და ტრადიციები. ამიტომ ვერავითარი საკანონდებლო აქტი ვერ ჩამოგვართმევს სამშობლოში დაბრუნების უფლებას. ვიმეორებ, ახალი აფხაზური სახელმწიფოს მშენებლობაში დიასპორის აქტიური მონაწილეობის გარეშე აფხაზეთი იქნება მხოლოდ ადგილი მსოფლიო რუკაზე.

საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა კი საქმეს სხვაგვარად მიუდგა და თურქეთში მცხოვრებ დიასპორას ორმაგი მოქალაქეობა მიანიჭა, რასაც თურქეთის ხელისუფლებაც დაეთანხმა. საქართველოს ხელისუფლება მიხვდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დიასპორის სამშობლოში დაბრუნებას, ნაციის აღორძინების თვალსაზრისით.

ამიტომ თუ აფხაზეთის მთავრობასა და პარლამენტს არ გააჩნია ვაჟკაცობა და შორსმჭვრეტელობა, მაშინ აფხაზური დიასპორა მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას და მას სთხოვს ორმაგ მოქალაქეობას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, დავბრუნდეთ სამშობლოში, კონფლიქტის ზონაში სოხუმის ხელისუფლების დაუკითხავად. გაიღვიძე აფხაზეთის პარლამენტო! საერთაშორისო სამართლით ცნობილია საქართველო და არა აფხაზეთი.

2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში განწირულია ჩასაშლელად. დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა იყოს კანდიდატთა და აზრთა სხვადასხვაობა, რაც აფხაზეთში არ არის. ამიტომ აფხაზეთში დემოკრატია არ არის. თუ თქვენს საქმიანობას ასევე უპასუხისმგებლოდ გააგრძელებთ, სავსებით შესაძლებელია, ჩატარდეს სხვა არჩევნებიც, რომელიც სიცრუეს ფარდას ახდის. ეს არჩევნები ჩატარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობის ქვეშ და მოიცავს ყველა აფხაზ ამომრჩეველს. აქვე მოიაზრება ქართველი დევნილები, რომლებსაც აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. წარსულში დაშვებულ ცოდვებს გამოსწორება უნდა და სულ არა აქვს მნიშვნელობა, როდის იყო ეს ჩადენილი - 10 წლის წინათ, თუ 100 წლის წინათ.

აფხაზეთის პარლამენტის წმიდათაწმიდა მოვალეობაა სამართლიანობა უზრუნველყოს ყველა აფხაზისათვის და არა მცირე ნაწილისათვის. ამიტომ იმ საკანონმდებლო აქტით, რომელიც არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ანიჭებს მხოლოდ აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზებს, პარლამენტი ჩვენი ხალხის, კულტურისა და მემკვიდრეობის წინააღმდეგ მიდის. ჩვენს საერთო წინაპარს შერცხვებოდა აფხაზეთის ისტორიის ამ უღირსი ფურცლის გამო.

***დოქტორი ინალ კაზანი,***
***"აფხაზური ალიანსის" პრეზიდენტი***

## მეექვსე ერთობლივი შეხვედრა დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში

*2004 წლის 18-28 მაისს, დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში ჩატარდა ერთობლივი, ქართულ-აფხაზური სასწავლო-გაცნობითი ხასიათის მეექვსე შეხვედრა. ერთობლივი ჯგუფი შედგებოდა ორივე მხარის წარმომადგენელი ქალბატონებისგან. ქართული დელეგაციის ერთ-ერთი წევრი გახლდათ აფხაზეთის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, ქალბატონი როზა კუხალაშვილი.*

ლელა მარგიანი

**როზა კუხალაშვილი:** ლონდონსა და ბელფასტში ჩატარებული გაცნობითი ხასიათის შეხვედრის ორგანიზატორი იყო ბრიტანული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "შერიგების რესურსები", რომელიც აქტიურად არის ჩართული ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში. მათ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ორივე მხარის წარმომადგენელმა თოთხმეტმა ქალბატონმა. შეხვედრის მონაწილე დელეგაციები საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. დელეგაციის წევრები იყვნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები:მასწავლებლები, ექიმები, მეწარმე ქალები, არასამთავრობო სექტორისა და თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები.

აფხაზური დელეგაციის წევრები იყვნენ ქალბატონები-ნათელა აკაბა (აფხაზეთის ქალთა ასოციაცია), საიდა ალანია (აფხაზეთის დედები მშვიდობისა და სოციალური თანასწორობისთვის), ციზა გუმბა (ნაციონალური რესურსები), ნონა თარბა (გალის რაიონის ქვედა ზონის-ნაბაკევის "ქალთა ასოციაცია"), მერი თხაგუშევა (აფხაზეთის ქალთა ასოციაციის გუდაუთის განყოფილება) და იზაბელა ტურცევა (აფხაზეთის ქალთა ასოციაცია). ქართულ დელეგაციაში ვიყავით: მარინა ელბაქიძე (მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი), ალა გამახარია (კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი "სოხუმი"), მერი გელაშვილი (ქალ-მეწარმეთა ფონდი), ციცინო გრძელიშვილი (ქალთა ასოციაცია "თანხმობა"), მარინა ფალავა (კავკასიის ქალთა ლიგა), ნანული რამიშვილი (პედაგოგთა კავშირი) და თქვენი მონა-მორჩილი.

ოთხი დღე ვიყავით ლონდონში და ხუთი დღე ბელფასტში. ყველგან ძალიან საინტერესო შეხვედრები გვქონდა.

**- კერძოდ, ვის შეხვდით ცხრა დღის მანძილზე?**

- ლონდონში შევხვდით ვესტმისტერის პარლამენტის დეპუტატებს, ასევე იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ვინც ლობირებს ქალთა წარმომადგენობის გაზრდას პოლიტიკაში.

საინტერესო შეხვედრა გვქონდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე "შეხედულებები ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე". შეხვედრაზე მოვისმინეთ ინფორმაციები საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის, დევნილთა და აფხაზეთის პრობლემების შესახებ. გაკეთდა მოკლე ინფორმაციები როგორც ჩვენი, ასევე აფხაზური დელეგაციის მხრიდან. ინფორმაციების შემდეგ გაიმართა დებატები. შეხვედრას ესწრებოდა ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ვინც კავკასიაში კონფლიქტების მოგვარებაზე მუშაობს.

უნდა აღვნიშნო, რომ ვესტმისტერის პარლამენტში შეხვედრაზე თითოეული დეპუტატისგან იგრძნობოდა კეთილგანწყობა საქართველოსადმი. ჩვენ ვიგრძენით დიდი მხარდაჭერა და გვერდში დგომის სურვილი ჩვენთან განვითარებული მოვლენების გამო.

**- ვის შეხვდით ჩრდილოეთ ირლანდიაში?**

- ბელფასტში შეხვედრები გვქონდა პოლიტიკოსებთან და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებთან. შევხვდით ორი ძირითადი პარტიის წარმომადგენლებს. რა თქმა უნდა, საუბრების ძირითადი თემა იყო ის კონფლიქტი, რომელიც ოცდაათ წელზე მეტია გრძელდება ადგილობრივ პროტესტანტებსა და კათოლიკებს შორის. თუმცა, 1998 წელს დადებული ბელფასტის ხელშეკრულების საფუძველზე ფაქტობრივად მოხდა კონფლიქტის ტრანსფორმაცია.

**- რას გულისხმობს კონფლიქტის ტრანსფორმაცია?**

- იქ ორი დაპირისპირებული საზოგადოება შეთანხმდა გარკვეულ საკითხებში. დაპირისპირების მიუხედავად ისინი მაინც ახერხებენ, დასხდნენ პარლამენტში და იმსჯელონ იმ საკითხებზე, რომლებიც საერთოა ორივე მხარისთვის. ეს უკვე მიღწევაა. იქ, დაპირისპირებული საზოგადოებები ყოველთვის ცდილობენ, არ თქვან ისეთი რამ, რაც მეორე მხარისთვის საწყენი, მიუღებელი იქნება. ისინი ერთად მუშაობენ და უფრთხილდებიან ერთმანეთს. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

**- თქვენ იქაური კონფლიქტი მოგვარებულად მიგაჩნიათ?**

- ნამდვილად არა, თუმცა ინგლისში სხვაგვარად ფიქრობენ. მათ მიაჩნიათ, რომ ეს წინგადადგმული ნაბიჯია. მე კი შემძრა იმ ოთხ-ხუთ მეტრიანმა კედლებმა, რომლებითაც გაყოფილია ეს ორი საზოგადოება. იქ ისეა მოწყობილი, რომ პროტესტანტებისა და კათოლიკების რაიონები არის ერთმანეთისგან განცალკევებული და მათ, ფაქტობრივად, შეხების წერტილები აქვთ მხოლოდ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

**- თქვენი აზრით, კონფლიქტის მოგვარების ასეთი მოდელი ჩვენს შემთხვევაში მისაღებია?**

- ჩვენს შემთხვევაში ასეთი რამ წარმოუდგენლად მიმაჩნია. იმიტომ, რომ იქ თაობები იზრდებიან განცალკევებულად, იზოლირებულად და თაობიდან თაობას გადაეცემა დაპირისპირება, რომ კედელს მიღმა "სხვა" ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები საერთო აქვთ და მათ შორის არსებობს "გარიგება", რომ არავითარ შემთხვევაში დაპირისპირება არ მოხდეს, ჩვენთან ასეთი რამ წარმოუდგენელია.

**- იმის გათვალისწინებით, რომ თქვენთვის მიუღებელი აღმოჩნდა კონფლიქტის მოგვარების ეს მოდელი, შეხვედრამ აზრი ხომ არ დაკარგა?**

- აზრი ყველა შეხვედრას აქვს. მით უმეტეს, როცა ორი დაპირისპირებული მხარის წარმომადგენლები ერთობლივად ეცნობიან სხვა ქვეყნის გამოცდილებას, უფიქრდები შენს საკუთარ პრობლემებს და ალბათ, რაღაც გადაწყვეტილებებს ძალაუნებურად იღებ. აფხაზური საზოგადოებისაგან განსხვავებით ჩვენ უფრო დიდი საქმეების საკეთებლად ვართ მზად, რაც, სამწუხაროდ, ყველა შეხვედრისას იგრძნობა, მაგრამ შეხვედრები, რა თქმა უნდა, უნდა გაგრძელდეს. იმიტომ, რომ ამ შეხვედრაზეც გამოიკვეთა საკითხები, რომლებზეც ერთობლივი თანამშრომლობის სურვილი გამოითქვა.

## გაუცხოების დასაწყისი: აფხაზეთი, 1917-1920

*ამ წერილის ავტორი ჩვენთვის უცნობია. როგორც ტექსტიდან ჩანს, იგი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი ყოფილა და კარგად სცოდნია აფხაზეთის ცოცხალი ყოფა, აფხაზი ხალხის სულიერი მდგომარეობა. წერილი პირველად 1931 წელს დაბეჭდილა გერმანიაში ქართველ ემიგრანტთა ორგანიზაციის "თეთრი გიორგის" გაზეთში ფსევდონიმით "მეგობარი" (სტილი დაცულია).*

გაგრძელება,
დასაწყისი იხილეთ "თქვენი აფხაზეთის" წინა ნომერში

რუსების დაგებულ მახეში ადვილად გაება ალექსანდრე შარვაშიძე. მამა მისი, გრიგოლ შარვაშიძე თავის დროზე დიდი კაცი იყო. აფხაზებს დიდად არ უყვარდათ ეს ოჯახი, რადგან გრიგოლი მთავრის ღალატისათვის და რუსების დიდი მომხრეობისათვის ღენერლობით და მენდლებით იყო დაჯილდოებული; მაგრამ ალექსანდრეს ერთგვარი პატივისცემა მაინც ჰქონდა, აფხაზებზედ გავლენა კი გაცილებით უფრო სუსტი, ვიდრე რუსებში და ადმინისტრაციაში; ამასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან მთავრობასთან განწყობილებით, თუმცა ბევრი არ შეეძლო რა, მაგრამ იარაღის ტარების ნებართვის აღება, თავდებობა და სხვ. ასეთი წვრილმანი რამე მაინც შეეძლო და ამისათვის პატივსა სცემდნენ. მას თავზედ ხელს უსვამდა პრინცი ოლდენბურგი, რომელმაც გაგრაში აგარაკი მოაწყო და უღირალ ფასების გაცემით მთელი არე-მარე ხელში ჩაიგდო. ესეც რუსული საქმე იყო. ალექსანდრე შარვაშიძე მცირე რათიმე კმაყოფილდებოდა და ფართი-ფურთობდა, რაღაც ეგონა თავისი თავი, ქართველებიც მოეფერენ, სოხუმის ქალაქის-თავად აირჩიეს. მაგრამ არაფერს არ აკეთებდა, არც ავსა და არც კარგს, რათგან ამისთვის არც ცოდნა და არც უნარი არ ჰქონდა. რუსოფილი იყო, რადგან 1905 წლის რევოლუცია და საზოგადოდ რევოლუცია, სოციალიზმი და სხვა ასეთები ქართველების გამოგონილი და მოწყობილი ეგონა.

მე ძლიერ კარგა ვიცნობდი ალექსანდრე შარვაშიძეს. სრულიად უვიცი კაცი იყო და ძალზედ დამახინჯებული: არც აფხაზი, არც რუსი, არც ქართველი, თანაც ბევრს ჩემულობდა და არაფერი გამოსდიოდა, რადგან თვითონაც არ იცოდა, რა სწადდა, რა უნდოდა. 1917 წელს მან მოისურვა ბატონ მიხეილ წერეთელთან ბაასი. ბ. წერეთელმა ჰკითხა რა გნებავსთო, ბატონო, აფხაზებს, გვიბრძანეთო. გაიწურა ოფლში, რას არ მოედვა, და ბოლოს სთქვა, მეჩეთი მინდა ავაშენო სოხუმშიო! ბ-მა წერეთელმა უპასუხა: კარგი და კეთილი, ვინ გიშლითო? ამან განცვიფრებაში მოიყვანა და მერე სულ ამბობდა, კარგი კაცი ყოფილა ის წერეთელი, მაგრამ იმისთანებს არარას ჰკითხავენ და აბა რა უნდა ჰქმნაო! ერთი სიტყვით, ამ კაცს უნდოდა როლის თამაში, ისე როგორც, სამწუხაროდ, ჩვენში ბევრს უყვარს, თუნდაც ისეთისა, როგორიც რუსების დროს ჰქონდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოეხერხებინა ეს. ხან აქ ეცა, ხან იქ და ბევრი ვნება მოუტანა აფხაზეთსაც და საქართველოსაც. მას ძალიან ცოტა მომხრეები ჰყავდა - სულ ორიოდე კაცი, მაგრამ მაინც შეიტანა თავისი ცუდი წვლილი ქართველ-აფხაზთა ურთიერთობაში. იყო სხვა ხალხიც, სხვა აფხაზები, რომელთაც, მიუხედავად ქართველებით უკმაყოფილებისა, რუსები მაინც არ უნდოდათ. ასეთ პირთა შორის საჭიროა ვახსენოთ ტატაში მარშანია. მე მას ძლიერ კარგად ვიცნობდი. ჩემი პირადი მეგობარიც იყო და გადაჭრით შემიძლია ვსთქვა, რომ იგი იყო დიდი კეთილის მოსურნე საქართველოსი და აფხაზეთის (ეგ უნდა გვახსოვდეს), სულით და გულით საქართველოსთან ერთობისა და მჭიდრო კავშირის მომხრე, თანაც დიდი მოძულე რუსებისა. ეს კარგად იცოდა თვით რუსების მთავრობამ და განზედ უყურებდა. მას დიდი გავლენა ჰქონდა აფხაზეთში და ამიტომ მისი რიდი ჰქონდათ. მას სწამდა საქართველო და უყვარდა აფხაზეთი. სურდა აფხაზების რუსებისაგან განთავისუფლება საქართველოს საშუალებით. ის აფხაზეთის ხსნას საქართველოთგან მოელოდა. მას უნდოდა საქართველოს თავისუფლებასთან ერთად დამტკბარიყო მისი საყვარელი აფხაზეთის თავისუფლებით, მაგრამ როდესაც ხსნისა და შველის მაგიერად საქართველოთგან მოევლინა რუსებზედ უფრო შემაწუხებელი მდევნელი ძალა, დაჰკარგა წონასწორობა გრძნობისა, გონებით კი ძნელი იყო მისთვის მარქსიზმის გაგება და ამ უცნაური მცნებისათვის მისთვის ძვირფასი აფხაზეთის შეწირვა. ის მაინც საქართველოს მომხრე იყო და თანამოზიარეებიც ბევრი ჰყავდა, აგრეთვე გავლენით და მოქმედებით იყო ალექსანდრე შარვაშიძეზედ უძლიერესი, და ამისთვის ის კაცი იყო ჩვენთვის საჭირო და სასარგებლო, მაგრამ სამწუხაროდ მას ხელი ვკარით და გადავჩეხეთ უფსკრულში. ალექსანდრე შარვაშიძის ფართი-ფურთს ის ყურადღებას არ აქცევდა; პირიქით, იგი უყვავებდა მას, არ ებრძოდა და წინააღმდეგობას აშკარად არ უწევდა. არც იყო ეს საჭირო, მან კარგად იცოდა, რა ჟამს რა უნდა ექმნა, იგი კარგ განწყობილებაში იყო მთავართან.

ღრმად განათლებული კაცი იყო, კარგი მცოდნე ევროპიული ენებისა. მისი პოემები და შვენიერი ლექსები მეტად გავრცელებული იყვნენ მის თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში. საერთოდ კი ვერ გავრცელდენ, რათგან გამოქვეყნება არ ეღირსათ. მთელი მისი ნაწერები ბოლშევიკების შემოსევის გამო დაეკარგა, სხვა ქონებასთან ერთად, მის ერთ მეზობელ-ნათესავს.

აფხაზებს მეტად უყვარდათ გიორგი შარვაშიძე და მეფურ პატივსა სცემდენ მას, თუმცა მას უკანასკნელ ხანამდე უფლება არ ჰქონდა აფხაზეთში ცხოვრებისა. მხოლოდ ხან და ხან მოკლე დროით ჩადიოდა. მთელი აფხაზეთი გაჰყვებოდა, სადაც იგი მოისურვებდა და ურჩევდა, მაგრამ მას მშვენივრად ესმოდა, თუ რა მავნებელი იყო სამოქალაქო ომი, რაზომ შეუწყნარებელი, და ისე, როგორც მთელი პატრიოტული საქართველო, უკეთესი მომავლის მოლოდინში თან სდევდა დროს.

1917 წლის რევოლუცია დატრიალდა! რუსეთი დაინგრა! ომი წაგებულია. და იგი დაიშლება, დაინგრევა. იმას, რასაც ვოცნებობდი სიჭაბუკითგან, რასაც ვნატრობდი, ვეღირსე, მოვესწარი. ახლა კი ეშველება საქართველოს, განთავისუფლდება იგი ამ მონობისაგან... მაგრამ... განთავისუფლდება კი? ვინ, ან როგორ იზრუნებს ამაზედ? დამოუკიდებლობის კომიტეტი საზღვარ-გარეთ? თავისუფლება გარეთგან შემოიჭრება; თუ საქართველო იზრუნებს თავის თავზედ? რა გზას დაადგება სოც. დემოკრატიული პარტია, ბატონ-პატრონი მდგომარეობისა, ყველაფერი ამაზედაა დამოკიდებული, შესცვლის გეზს თუ განაგრძობს საქართველოს უარყოფას? ტბილისს უნდა მივაშურო, იქ არის ყველაფერი, იქ გაიგებ ყველაფერს. იქნებ იქ დავიმშვიდო აფორიაქებული გონება...

ამ აზრებით და ათასი სხვა მწარე და მწვავე ფიქრებით მივდიოდი აფხაზეთში, სადაც გადაუდებელი საქმე მქონდა და თანაც იქნებ რამე გამეგო იქაური და ტბილისში ჩამეტანა ამ კუთხის ამბავი. მივდიოდი ცხენით. რევოლუციის პირველი დღეები იყო და მიუხედავად ამისა, ყველგან სიჩუმე და მყუდროება მეფობდა, ყველაფერი რიგზედ იყო, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. მზე გადახრაზედ იყო. გზის პირს სოფლის სამმართველოს წინ რამოდენიმე კაცს მოეყარა თავი. აივანზედ წამომჯდარიყო ჩემი კარგი ნაცნობი, ადგილობრივი მკვიდრი, თავადი მ.გ. - განათლებული კაცი, პატივცემული აფხაზეთში. დამინახა იმანაც, მიცნო და კიბისკენ წამოვიდა. მივხვდი, ჩემის მიზეზით დაიძრა, და მეც დავაყენე ცხენი, ჩამოვხდი, მომეგება; მივესალმეთ ურთი-ერთს და შემდგომად ასეთს შემთხვევაში ჩვეულებრივის მოკითხვისა, დავიწყეთ ბაასი. მე ძალიან მინდოდა მისი აზრები გამეგო, რადგან კარგად ვიცოდი, რომ ის ძალიან დატანჯული ჰყავდათ პროპაგანდისტებს, რეაქციონერად, შავრაზმელად და ჯაშუშად გამოცხადებული. ჯაშუშად ყველას, ვინც ოდნავ წინააღმდეგობას გაუწევდა სოც. დემ-ებს, იმას გამოაცხადებენ ხოლმე და ის უკვე განწირული იყო მოსაკლავად, მაგრამ ამ პირს მოკვლა ვერ გაუბედეს, თითონაც ძლიერ ყოჩაღი კაცი იყო - ერთი პროპაგანდისტი კიდეც გაასილაქა, და თანაც შვილები ჰყავდა ლომივით ვაჟკაცები. ძალიან ფრთხილად იყო და არც რუსო-ფილებს ეკედლებოდა და არც სხვა არავის. იყო მყუდროდ და თავს უფრთხილდებოდა.

- მოგეხსენება, შენი ნახვა ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ ახლა ძლიერ მეამა, რადგანაც ამბები გეცოდინება. მართლა დაიწყო რევოლუცია? მეფე ჩამოაგდეს? მართლა დაიქცა ქვეყანა და დავიღუპეთ? მკითხა დაბალის ხმით, თითქოს ვიღაცას უმალავდა ჩვენს საუბარს.

- დიახ, ბატონო, მეფე გადადგა, რევოლუციაა, მაგრამ რად ეძახით ამას უბედურებას და რად გგონიათ რომ დავიღუპეთ? პირიქით, თუ გვეშველება, ახლა გვეშველება და განვთავისუფლდებით რუსეთის კლანჭებითგან-მეთქი, - ვუპასუხე. შევატყვე, არ ეამა, მაგრამ თავაზიანი აფხაზი ცდილობდა უკმაყოფილება შეეჩერებინა.

- ვინ განთავისუფლდება? - განაგრძო მან - შენ ჯვარი გწერია და ჩვენ კი ამოგვწყვეტენ, დაგვხოცავენ. ამას ქადაგობენ აგერ ოცი წელიწადია და ახლა ვინ არის დამშლელი? დაგვხოცავენ, ამოგვწყვეტენ!

- არა, ბატონო, თქვენში ეს არა მგონია ვინმემ ჩაიდინოს და არც ჩვენში. იქნებ აგერ-აგერ, როგორც რევოლუციას სჩვევია, მოხდეს რამე, მაგრამ ეგზომ საერთო მოვლენა არ იქნება. ჩვენც უნდა შევიგნოთ მდგომარეობა. მივყვეთ მას და საერთო ძალებით უკეთ მოვუვლით საქმეს. საქართველო განთავისუფლდება და ამოვისუნთქავთ. განა ვერ შევძლებთ ჩვენი თავის მოვლასა, - ვუპასუხე მე.

- თქვენშიო, რომ მიბრძანე, აბა აფხაზი როგორ დამიშავებს რამეს. მაგრამ ჩვენ ვინ რას გვკითხავს, კაცი კრინტს დაგვაძვრევინებს და თქვენებური ბიჭ-ბუჭები გაგვჟლეტენ... თანაც საქართველოზედ არავინ ზრუნავს და სანამ რასმე მოვესწრებოდე, მოგახსენებ, დაგვხოცავენ მეთქი! ღმერთს ექმნას, მაგრამ კარგი საქმე არ მოგვივა, თუ ვინმე არ ალმოჩნდენ სხვა კაცები, სხვა აზრებით და სხვა საქმით, - ნაღვლიანად სთქვა, ხელი ჩაიქნია, ჩამოდგა და მთხოვა, ღამე მასთან გამეთია, მაგრამ ბევრი ხვეწნა მისი უარვყავი, არ ხერხდებოდა დარჩენა. დავშორდით ერთიერთს, გულს რაღაც მატლი, ჭია მიღრნიდა, ყოველს საიმედო აზრს მიწამლავდა რაღაც ბოროტი ეჭვი: ვაი, თუ ბევრი სიმართლეა ამ ადამიანის აზრში, ვაი, თუ სოც-დემ-ები დარჩენ ძველ პოზიციებზედ, საქართველოს უარყოფაზედ?.. - არა, ეგ არ მოხდება, საქართველო ახლა უნდა განთავისუფლდეს. ახლა სულ მალე უნდა მოხდეს ეს საქმე... გული ძგერდა სიამით, იჭვით, იმედით და ისევ იჭვით.

ჩავედით სოხუმში. მეორე დღეს ვეახელი ბ. გიორგი შარვაშიძეს. ძალიან ეამა ჩემი, ახალი ამბებით დატვირთული კაცის ნახვა, კითხვა ზედ მომაყარა, და თანაც მამცნო, რომ მეორე დღეს აფხაზთა ყრილობა იყო მოწვეული.

- რამდენად ძლიერია შენი ეროვნ-დემოკრ. პარტია? - მკითხა მოხუცმა.

მე გულახდილად მოვახსენე, რომ ჯერჯერობით სუსტია და დღითიდღე კი იზრდება და მაგრდება-მეთქი.

ჩაფიქრდა... ცოტა ხნის შემდეგ ისევ განაგრძო:

- ძალიან სამწუხაროა... სოც. დემოკრატებს არ სწამთ საქართველო... სხვა აღარავინ არის შესაფერისად მომზადებული ამ მომენტისათვის... ცუდად არის საქმე... დაიღუპება საქართველო და ასეთი დრო ვინ იცის კიდევ როდის დაუდგება მას. აქაც ცუდადაა საქმეები. მდგომარეობა მწვავდება, ალექსანდრე (შარვაშიძე) გაგიჟდება. აფხაზეთის ავტონომია რუსეთის ფარგლებში უნდა. შავრაზმელი რუსეთის წინააღმდეგ სოც. დემოკრატებიც ამხადრებული არიან და ესეც კარგია. საერთოდ ძნელია რისამე თქმა... ვნახოთ! ეგ კია, რომ ვინც ჩვენი სამშობლო დაანგრია, იმის დანგრევას მოვესწარი, ღმერთმა მიაგო მაგიერი, მე ამ მოხუცებულობის დროს ესეც მეყოფა სანუგეშოდ და მომავლის შექმნა ყმაწვილების საქმეაო...

ცოტა არ იყოს გული გამიკეთდა. ვიცოდი ბ. გიორგის გავლენა ტატაშიზედ და საზოგადოდ აფხაზებზედ, მაგრამ შევეკითხე:

- კონფლიქტი რომ მოხდეს ალექსანდრესთან?

- შეიძლება, - მივიღე პასუხად - მაგრამ ალექსანდრე უჯერებს ხანდახან ჯოტოს და ასტამურს, და ან დააშოშმინებენ მას, ანდა ბრძოლა ბრძოლაა და მე დარწმუნებული ვარ, ალექსანდრე დამარცხდება. ახლა იბადება საკითხი, რომლის პასუხი მე არა მაქვს. ალექსანდრეს დამარცხების შემდეგ სოც. დემოკრატებმა რომ მოისურვონ, ხომ ამ მეორე ძალასაც დაამარცხებენ და მაშინ ბურთი და მოედანი მტრებს დარჩება - რუსეთის სოც.დემ.პარტიას.

ამით გათავდა ჩვენი ბაასი, გამოვემშვიდობე და წამოვედი. შევხვდი ჯოტოს და ასტამურს. მათაც იგივე მითხრეს, რასაც თითქმის ყველა ამბობდა და გრძნობდა. უნდა ითქვას, რომ ჯოტო შარვაშიძემ და განსვენებულმა ასტამურ ინალიფამ (დახვრიტეს ბოლშევიკებმა) დიდი ღვაწლი დასდვეს და დიდი სამსახური გაუწიეს ქართველთა და აფხაზთა შორის არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

***მეგობარი***

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## ელექტრონული ინტერვიუ ელექტრო-მუსიკოსთან



კიდევ ერთი ქართველი მუსიკოსი, საქართველოს გარეთ.

B3

## "შუმის" სამოთხე და ჯოჯოხეთი



რალფ შუმახერის მანქანა ბორდიურს 300 კმ/სთ სიჩქარით შეეჯახა.

B5

## ორიგინალურები



საერთოდ, კარგია, როდესაც ქვეყანაში ნოვატორი ადამიანები გამოჩნდებიან და რაღაც ახლის შექმნას ცდილობენ.

B7

ნომრის სტუმარი

# ჩვენ თაობათა ცვლის კი არა, ფულის პრობლემა გვაქვს!

*1970-86 წლებში იგი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი და მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. 1971 წელს შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო 1978 წელს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოვდა. 1988 წელს გამოკვლევათა ციკლისათვის -"ახალი კვანტური რიცხვი" - ლენინის პრემია მიიღო. 1999 წელს კი რომის პაპმა იოანე-პავლე II-მ გადასცა სამახსოვრო მედალი მეცნიერთა საერთაშორისო ფედერაციაში აქტიური მონაწილეობისათვის. ეს იმ ჯილდოთა და წარმატებათა მცირე ჩამონათვალია, რასაც ალბერტ თავხელიძემ თავისი ცხოვრების მანძილზე მიაღწია. დღეს იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტია და, შესაბამისად, არსებული დაპირისპირებების ფონზე - აკადემიის პოზიციების აქტიური დამცველი.*

ის, რაც ერთ ინსტიტუტზე საშუალოდ ერთ თვეში იხარჯება, უცხოელი პროფესორის ერთი თვის ჯამაგირია.

მეცნიერებისთვის რამე რომ ეკითხათ, ჩვენ ენერგეტიკაში ის მდგომარეობა გვექნებოდა, რაც ახლა გვაქვს?

დღეს მეცნიერების "დაბერების" ბუნებრივი პროცესი კატასტროფულ ხასიათს იღებს. წლების მანძილზე მეცნიერთა შრომის ფაქტობრივმა აუნაზღაურებლობამ, აკადემიისათვის თავსმოხვეულმა მრავალგზის შემცირებებმა მეცნიერული მუშაობა არაპოპულარული გახადა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*საბჭოთა კავშირის დროს, ბატონებო, საქართველოსაც კი ჰყავდა პარლამენტი, მაგრამ იმას არაფერი შეეძლო. გარკვეული სტრუქტურა არსებობდა მაშინაც და დღესაც, მაგრამ, მთავარია, ამ სტრუქტურას რისი უფლება აქვს.*

ნინო ცინცაძე

**- კარგა ხანია მეცნიერებათა აკადემიის შესახებ როგორც სამეცნიერო, ისე სამთავრობო წრეებში ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებები კეთდება.**

- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ბოლო დროს შექმნილი დაძაბულობა გამოიწვია გახმაურებულმა კანონპროექტმა, რომელიც ფინანსთა სამინისტროში მომზადდა და, ფაქტობრივად, აკადემიის დაშლას გულისხმობს. დაძაბულობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც აკადემიის გაფართოებული პრეზიდიუმის სხდომაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ეს კანონპროექტი თითქმის დამტკიცებულად გამოაცხადა და აკადემიის დაშლაც გადაწყვეტილად მიიჩნია, ხოლო ფინანსთა მინისტრის ერთ-ერთმა მოადგილემ ისიც კი თქვა, რომ, თითქოსდა, ეს დოკუმენტი აკადემიასთან იყო შეთანხმებული. ბუნებრივია, იბადება კითხვა, ვის აზრს ეყრდნობა განათლებისა და მეცნიერების მინისტრი და ფინანსთა მინისტრის მოადგილე, როდესაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია დაბეჯითებით აცხადებს, რომ მან ამ დოკუმენტის არსებობის შესახებ არაფერი იცის?

დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს რეალური დემოკრატიული გარდაქმნები და საქართველომ განაცხადი გააკეთა ევროკავშირსა და ნატო-ში შესასვლელად, სწორედ ამ დროს სჭირდება ქვეყანას მაღალგანვითარებული მეცნიერება. მის საფუძველს კი წარმოადგენს ფუნდამენტური მეცნიერება, რომლის პრიორიტეტული განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი უნდა იყოს. ფუნდამენტური მეცნიერება საფუძველია, რომელსაც ემყარება მეცნიერების ძირითადი პრაქტიკული შედეგები. მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში ამ ზრუნვას მოკლებული მეცნიერება მსოფლიო აღიარებას პოულობს, მთავრობის სხდომაზე ერთ-ერთი სახელმწიფო მინისტრი მეცნიერებს ბიუჯეტზე დასმულ წურბელებს უწოდებს, ხოლო განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, რომელსაც მეცნიერების განვითარება მხოლოდ პროგრამული დაფინანსებით წარმოუდგენია, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდების გამოყენებით, დაშლით ემუქრება მეცნიერებათა აკადემიას, რომელმაც, ბოლო წლების საშინელი სიძნელეების მიუხედავად, თავისი პოტენციალი შეინარჩუნა.

**- საზოგადოებისათვის ცნობილია ის მიღწევები, რაც ამ ბოლო პერიოდში აკადემიის სისტემაში მომუშავე მეცნიერებს აქვთ, იქნება ეს დმანისის აღმოჩენა, სინას მთაზე ალბანური ძეგლების აღმოჩენა, იდენტიფიკაცია და გაშიფვრა, მიღწევები ტექნიკურ დარგებში თუ სხვა, მაგრამ, რამდენად მიუძღვის წვლილი ამ წარმატებებში აკადემიის დღევანდელ სისტემას? ეს მიღწევები უფრო ერთეულ მეცნიერთა და მათ მიერ უცხოელ პარტნიორებთან დამყარებული კონტაქტების შედეგი ხომ არ არის, ვიდრე მეცნიერებათა აკადემიის გამართული და ეფექტური მუშაობისა?**

- პირველ რიგში, აკადემიისათვის დამახასიათებელია კომპლექსური კვლევები. ავიღოთ, მაგალითად, ცნობილი დმანისის აღმოჩენა. მე თქვენ გეტყვით, რომ ეს აღმოჩენა შეუძლებელი გახდებოდა კომპლექსური მეცნიერების გარეშე. თანაც, შესაძლოა, ეს აღმოჩენა საქართველოს კი არა, გერმანელებს მიკუთვნებოდათ. აღმოჩენის შემდეგ, უკვე საჭირონი გახდნენ პალეონტოლოგები, ფიზიკოსები, ბიოლოგები, ფიზიოლოგები და ა.შ. სწორედ აკადემიური მეცნიერების დამსახურება იყო ის, რომ ასეთი აღმოჩენა საქართველოში დარჩა. უცხოელებთან თანამშრომლობა სხვადასხვაგვარად შეიძლება. შეიძლება, წახვიდე საზღვარგარეთ და იქ ითანამშრომლო მათთან. აი, ფეხბურთში, მაგალითად, ჩვენ კარგი ლეგიონერები გვყავს, მაგრამ, სხვაგან თამაშობენ. თუ გვინდა, რომ აქ ითამაშონ, აქ უნდა იყოს კარგი გუნდი.

**- საბჭოთა სისტემის ნგრევის შემდეგ, რა შეიცვალა აკადემიის სისტემაში სტრუქტურულად?**

- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიქმნა მთელი საკანონმდებლო ბაზა აკადემიისა, მანამდე ეს არ შეიძლებოდა. მთელ საბჭოთა სისტემაში ერთი სტრუქტურული ერთეული არსებობდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას მაშინ არ ჰქონდა უფლება, დამოუკიდებლად დაემყარებინა კავშირები უცხო ქვეყნის აკადემიებთან, ახლა მას ეს შეუძლია, ეს ხომ უკვე ძირეული ცვლილებაა? საბჭოთა კავშირის დროს, ბატონებო, საქართველოსაც კი ჰყავდა პარლამენტი, მაგრამ იმას არაფერი შეეძლო. გარკვეული სტრუქტურა არსებობდა მაშინაც და დღესაც, მაგრამ, მთავარია, ამ სტრუქტურას რისი უფლება აქვს.

**- აკადემიაში მომუშავე ადამიანთა რიცხვი საკმაოდ დიდია, როგორ ფიქრობთ, ამ ადამიანების რამდენი პროცენტი მუშაობს რეალურად და ეფექტურად?**

- ახლა მოდით, ეს კითხვა შემოვაბრუნოთ. ის, რაც ერთ ინსტიტუტზე საშუალოდ ერთ თვეში იხარჯება, უცხოელი პროფესორის ერთი თვის ჯამაგირია. მე არ მინდა განსაკუთრებით ფიზიკოსები გამოვყო, მაგრამ თქვენ რომ აიღოთ, მაგალითად, დუბნაში ჩვენი მეცნიერები, ისინი არა მხოლოდ შემსრულებლები არიან, არამედ უკვე თავად არიან მსხვილი პროექტების ხელმძღვანელები. უნდა ნახოთ, რამხელა დანადგარები შექმნეს ქართველმა ფიზიკოსებმა ცერნში (შვეიცარია). ანალოგიური მდგომარეობაა ფიზიოლოგიაში და ბევრ სხვა დარგში. მაგრამ საქმე იცით რაშია, აკადემიას სახელმწიფო, ფაქტობრივად, არაფერს ავალებს. როგორ, ჩვენ ენერგეტიკაში ის მდგომარეობა გვექნებოდა, რაც ახლა გვაქვს, მეცნიერებისთვის რამე რომ ეკითხათ? აკადემიას არ მიუღია მთავრობიდან გრანტი, რომელიც მას რაიმე კონკრეტული საქმის გაკეთებას დაავალებდა, მთელი ჩვენი მოღვაწეობა - ეს არის თავად მეცნიერის შინაგანი მოთხოვნილება იმუშაოს მეცნიერებაში. ბაქო-ჯეიჰანის პროექტისას, მე რამდენჯერმე მივმართე მთავრობას, რომ მისი ექსპერტიზა გაგვეკეთებინა. ჩვენს გეოლოგებზე, სოფლის მეურნეობის მუშაკებსა და ბიოლოგებზე უკეთ ვინ ჩაატარებდა ამ ექსპერტიზას? ბოლოს მიგვაკარეს. შემდეგ აღმოჩნდა, რომ იმ დასკვნებით, რომელიც ჩვენი აკადემიის კომისიამ შეიმუშავა, უცხოელები სარგებლობდნენ.

**- თქვენ ახსენეთ, რომ მეცნიერთა ხელფასი ძალიან დაბალია, კატასტროფულად დაბალია ზოგადად მეცნიერების დაფინანსებაც. მაგრამ, ისიც ცხადია, რომ სახელმწიფოს ფული არა აქვს და ყველა დარგის ჯეროვნად დაფინანსებას ვერ უზრუნველყოფს. ასეთ შემთხვევაში, როგორი უნდა იყოს მეცნიერების დაფინანსება, პროგრამული, თუ ისევ ის სისტემა უნდა დარჩეს, რაც აქამდე არსებობდა?**

- როდესაც საერთაშორისო, ან რაიმე სხვა გრანტის აღება გინდა, პირველ რიგში, გეკითხებიან არა მხოლოდ იმის შესახებ, თუ რა ინტელექტუალური შესაძლებლობები გაქვს, არამედ იმის შესახებაც, თუ რა ექსპერიმენტული შესაძლებლობები გაგაჩნია. იმისათვის, რომ რამე მოიპოვო, რაიმე პროგრამაში ჩაჯდე, ბაზაც უნდა გქონდეს. ამისათვის კი ბაზისური დაფინანსებაა საჭირო. მსოფლიოში არ არსებობს აკადემიური მეცნიერება ბაზისური დაფინანსების გარეშე.

**- აკადემიას ხშირად ედავებიან, რომ 97 პრიორიტეტული დარგი აქვს დასახელებული.**

- ეს არის შეცდომა. რეალურად სულ შვიდი დარგია, სადაც ჩვენ შეგვიძლია ვიმუშაოთ. ამ შვიდი დარგიდან გამორჩეული იყო ოცდაშვიდი მიმართულება. შემდეგ ჩამოთვლილი იყო ამ ოცდაშვიდ მიმართულებაში, რა შეიძლება გაკეთდეს ძირითადად. ერთად ეს ყველაფერი 97 გამოვიდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ 97 პრიორიტეტი გვაქვს. უბრალოდ, სწორად არ წაიკითხეს.

**- ჩვენისთანა ღარიბი ქვეყნისთვის ოცდაშვიდიც ბევრი ხომ არ არის?**

- როდესაც ახალი მთავრობა პრიორიტეტებს დაადგენს და ჩვენს შესაძლებლობებსაც ნახავს, ამაზე მერე ვილაპარაკოთ.

**- ახლა რაც შეეხება ატესტაციას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განსაკუთრებით უსვამენ ხაზს იმას, რომ ატესტაცია თქვენი მეცნიერების შემუშავებული გეგმით უნდა ჩატარდეს. მაგრამ ატესტაციის ამ ფორმას ბევრი მოწინააღმდეგე თავად აკადემიის სისტემაში ჰყავს. ზოგი მიიჩნევს, რომ იგი ზედმეტად რთულია, ზოგი კი ფიქრობს, რომ იგი ბუნდოვანია და მასში დარგობრივი ნიუანსები გათვალისწინებული არ არის.**

- რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ატესტაცია იმის მერე, საერთოდ არ ჩატარებულა. კუპონების დრო იყო და რა ატესტაცია უნდა ჩაგვეტარებინა? როგორც კი ცოტა სული მოვითქვით, ეს პროცესიც დაიწყო. მთელი საქართველოს მეცნიერების ატესტაცია ხორციელდება და მასში ისეთი გადაულახავი არაფერი არ არის. თუ ადამიანმა რაიმე მიმართულებით ვერ გამოიჩინა თავი, სხვა ბევრი მიმართულებაც რჩება. პრინციპულად მთავარი ის არის, რომ ატესტაცია დაიწყო და ინსტიტუტები ამისათვის ემზადებიან. მნიშვნელოვანია, რომ საატესტაციო კომისიის შემადგენლობა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა დაამტკიცა. ბევრი რამე მუშაობის პროცესში დაიხვეწება. მე მრავალწლიანი ორგანიზატორული გამოცდილების მქონე ადამიანი ვარ და მშვენივრად ვიცი, დეტალები მუშაობის პროცესში უნდა დაზუსტდეს.

მაგრამ, ყველაზე მთავარი ის არის, რომ ატესტაციის ჩატარება წარმოუდგენელია სოციალური დაცვის გარეშე. ადამიანმა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ამ საქმეს შეალია, უნდა იცოდეს, რომ შემდეგ სოციალურად დაცული იქნება. და მეორე: არავითარი ატესტაცია არ შეიძლება, თუ არ განისაზღვრა ინსტიტუტების სტატუსი. ატესტაციის შემდეგ კი ინსტიტუტების სტრუქტურაზეც დავიწყებთ ფიქრს და პრეზიდიუმის სტრუქტურაზეც.

**- სწორედ პრეზიდიუმის სტრუქტურაზე უნდა დამესვა შემდეგი შეკითხვა...**

- ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ზომის მეცნიერება გვექნება. თუ ჩვენ ვნახეთ, რომ ინსტიტუტების რაოდენობა შემცირდა, შესაბამის ცვლილებებს ჩვენც გავატარებთ. გვინდა წესად შემოვიღოთ, რომ ორ ვადაზე მეტად არ ავირჩიოთ არც პრეზიდენტი, არც პრეზიდიუმის წევრები. დემოკრატიული თვალსაზრისით, მე არავითარი ცვლილება არ მესახება. ეს ყველაზე დემოკრატიული სტრუქტურაა. ჩვენს ინსტიტუტებშიც და პრეზიდიუმშიც მთლიანად არჩევითი სისტემა მოქმედებს. როგორც პარლამენტია მიღებული მსოფლიოში, ისეა აკადემიაც და მისი პრეზიდიუმიც. ასე რომ, იგი არც ლენინურია, არც სტალინური და არც ბერიული.

დღეს მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში ცოდნა სასაქონლო ღირებულებას იძენს. შესაბამისად ყალიბდება ცოდნის საზოგადოება, მისთვის დამახასიათებელი ცოდნის ეკონომიკით. პირველად ცოდნის ეკონომიკაზე დაფუძნებული უდიდესი ფირმები აშშ-ში შეიქმნა. ევროკავშირმა, ამერიკასთან სამეცნიერო წონასწორობის აღსადგენად, ერთიანი სამეცნიერო სივრცე შექმნა, რომელიც მასში შემავალი ქვეყნების საუნივერსიტეტო, აკადემიურ და აკადემიის ანალოგიურ მრავალპროფილიან ინსტიტუტებზეა დაფუძნებული. ევროკავშირი დიდი ძალისხმევით ზრუნავს ამ სივრცის როგორც ბაზისური, ასევე პროგრამული სინქრონული დაფინანსების გაძლიერებასა და ეფექტურობაზე, რათა კონკურენტუნარიანი გახდეს ამერიკასთან პაექრობაში. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც დღეს ევროკავშირის წევრები არიან და რომლებმაც მეცნიერებათა აკადემიები შეინარჩუნეს, ბუნებრივად და უმტკივნეულოდ შეერწყნენ ევროკავშირის ერთიან სამეცნიერო სივრცეს. მთელი ევროპის აკადემიათა (ALLE) ყოველწლიურ შეკრებაზე, რომელშიც რეგულარულად იწვევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, როგორც მის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და მუდმივ წევრს, განიხილება ევროკავშირის სამეცნიერო ერთიანი სივრცის ეფექტურად მუშაობის საკითხი, კერძოდ, ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარება. მეცნიერებათა აკადემია წარმოადგენს მეცნიერების ორგანიზაციის აღიარებულ სახელმწიფო ფორმას, რომლის ძირითადი მოვალეობაა ქვეყანაში ფუნდამენტურ კვლევათა განვითარება და კოორდინაცია.

**- ქართულ მეცნიერებაში ახალგაზრდების დეფიციტი რომ არსებობს, ეს ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებულ მეცნიერთა შეხვედრაზეც ჩანდა: უზარმაზარ, გადაჭედილ დარბაზში ახალგაზრდა სახეს თითქმის ვერ იპოვიდი.**

- დღეს მეცნიერების "დაბერების" ბუნებრივი პროცესი კატასტროფულ ხასიათს იღებს. წლების მანძილზე მეცნიერთა შრომის ფაქტობრივმა აუნაზღაურებლობამ, აკადემიისათვის თავსმოხვეულმა მრავალგზის შემცირებებმა მეცნიერული მუშაობა არაპოპულარული გახადა. ახალგაზრდა მეცნიერთა ინტელექტუალური ნალები კერძო სტრუქტურებს მიეძალა, ხოლო მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში მიედინება. იმედს იძლევა ის, რომ ისინი არ წყვეტენ კავშირს აკადემიასთან და, მუშაობის მინიმალური პირობების შექმნის შემთხვევაში, დაბრუნდებიან საქართველოში, რაც დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის მეცნიერების შემდგომ განვითარებას. საერთოდ კი, უნდა შეიქმნას და განხორციელდეს მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, რის შესახებაც ყურადღება ქვეყნის პრეზიდენტმაც გაამახვილა. კაცმა რომ თქვას, ჩვენ თაობათა ცვლის პრობლემა კი არა, ფულის პრობლემა გვაქვს.

**- არსებობენ ქვეყნები, სადაც მეცნიერება მხოლოდ უნივერსიტეტების ფარგლებში ვითარდება. როგორი უნდა იყოს აკადემიის კავშირი უმაღლეს სასწავლებლებთან?**

- მეცნიერებათა აკადემიამ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებთან მჭიდრო კონტაქტში, ევროკავშირისა და ნატო-ს ხელშეწყობით, ინტერნეტის ქსელი შექმნა, რომლითაც წლების მანძილზე უფასოდ სარგებლობენ აკადემიის ინსტიტუტები. აკადემიის წევრები და წამყვან მეცნიერთა უმრავლესობა, როგორც წესი, თანამშრომლობენ ქვეყნის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან. მეცნიერებათა აკადემია და უმაღლესი სკოლა ერთმანეთის შემავსებელი ერთიანი სამეცნიერო ორგანიზმია. აქედან გამომდინარე, უმაღლესი განათლების რეფორმა, ისევე როგორც აკადემიის რეფორმირების საკითხები, უნდა განიხილებოდეს სინქრონულად, მეცნიერთა ფართო მასების მონაწილეობით.

**- ბევრს და სხვადასხვაგვარად საუბრობენ აკადემიის ქონებაზეც...**

- ამ საკითხზე ცოტა დაწვრილებით მომიწევს შეჩერება, რადგან საზოგადოებას არ გააჩნია სათანადო ინფორმაცია და აკადემიის ქონების "გასხვისების" თაობაზე ზოგჯერ არასწორი ინფორმაცია ვრცელდება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ კანონში ხაზგასმულია, რომ "აკადემიის მფლობელობასა და უსასყიდლო სარგებლობაში იმყოფება მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები..." და ა.შ. "აკადემია სახელმწიფოს ქონებას ფლობს უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით და იყენებს მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესით; მიღებული შემოსავლები, გარდა იჯარით მიღებული შემოსავლისა, მოხმარდება უშუალოდ მეცნიერების განვითარებას და მეცნიერ თანამშრომელთა სოციალურ უზრუნველყოფას" და შემდეგ - "...აკადემიისათვის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემული მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები პრივატიზაციას არ ექვემდებარება". როგორც აღნიშნულიდან ნათელია, აკადემიას კიდეც რომ მოენდომებინა, ვერც მიწის ნაკვეთებს და ვერც შენობა-ნაგებობებს ვერ გაასხვისებდა.

რაც შეეხება აკადემიის მიერ "აკადემქალაქის" "გასხვისებულ" ტერიტორიებს, აქ, სინამდვილეში, შემდეგი მდგომარეობაა. ამ ტერიტორიაზე დღესაც ცხოვრობს დაახლოებით 700-მდე ოჯახი. მათ მოქმედმა კანონმდებლობამ თავიანთ მფლობელობაში არსებული ტერიტორიების დაკანონების საშუალება მისცა სასამართლოების და მოქმედი სამოქალაქო კოდექსების მეშვეობით. 2000 წლის ზაფხულში თბილისის მერის, პრემიერისა და "აკადემქალაქის" მოსახლეობის კოლექტიური თხოვნის საფუძველზე, ამ ტერიტორიაზე განლაგებული აკადემიის ინსტიტუტების ხელმძღვანელებთან კონსულტაციებით, აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, თანხმობა მიეცა მიწის იჯარით გადაცემას, რომლიდანაც შემოსული თანხა მთლიანად მიდის სახელმწიფო ბიუჯეტში. ნებართვა გაიცა იჯარაზე და არა გაყიდვის შესახებ, ქალაქის შესაბამის სტრუქტურებთან შეთანხმებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვის საფუძველზე, საცხოვრებელი კორპუსების ასაშენებლად. შეთანხმების საფუძველზე აკადემიას ქველმოქმედების სახით გადაეცა 120 ათასი ლარი, ხოლო მის 30-მდე თანამშრომლის ოჯახს მიეცა საშუალება ფასდაკლებით აეშენებინა ბინები, მშენებლობის საერთო ფართობის 7%-ის ფარგლებში.

პრეზიდიუმის მეორე გადაწყვეტილებით, 1994 წელს თანხმობა მიეცა ხელოვანთა ერთ ჯგუფს, აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე, სახელოსნოს აშენების შესახებ. მაგრამ, აქ სახელოსნოს ნაცვლად 7 სართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა, რომელზეც კონტროლი აკადემიის უფლებებში აღარ შედიოდა.

პრეზიდიუმის მესამე დადგენილება კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებულ აკადემიის თანამშრომლებს შეეხება. აკადემიაში ასეთი 200-ზე მეტი თანამშრომელია. როგორც ცნობილია, მათი ვალი აღიარებულია სახელმწიფოს შიდა ვალად. აკადემიის პრეზიდიუმმა "აკადემქალაქის" ტერიტორიაზე კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებული მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლების დასაკმაყოფილებლად და მათი სახელმწიფო შიდა ვალის გასტუმრების მიზნით, გამოყო მიწის ნაკვეთი, რომელზეც, ინვესტორის მეშვეობით, გათვალისწინებულია საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რითაც მოხდება დაახლოებით 300 ათასი აშშ დოლარის სახელმწიფო შიდა ვალის გასტუმრება. რაც შეეხება "აკადემქალაქის" დასახლებულ ტერიტორიაზე მიმდინარე სხვა მშენებლობებს, აკადემიას მასთან არავითარი კავშირი არ აქვს, რადგან იგი მოსახლეთა კუთვნილებაა.

კიდევ ერთ საკითხზე მინდა შევჩერდე, რომელიც აკადემიის ინსტიტუტების შენობების ფართობების ნაწილის გაქირავებას ეხება. აკადემია, როგორც ადრე აღვნიშნე, სახელმწიფო ქონებას უსასყიდლო უზუფრუქტით ფლობს. კანონი მეცნიერებათა აკადემიის შესახებ ქირავნობით მიღებული შემოსავლების აკადემიის საჭიროებისათვის გამოყენების საშუალებას იძლევა. შემოსული თანხები ინსტიტუტებში ნაწილდება სპეციალური კომისიების მიერ. შენობის გაქირავება იძულებითი ქმედებაა, რადგანაც ქირავნობიდან მიღებული თანხები, ძირითადად, იხარჯება კომუნალური გადასახადების დასაფარავად, შენობა-ნაგებობების ავარიული შეკეთებისათვის, სახურავების მიმდინარე რემონტისათვის, რათა ისინი ნგრევას გადაურჩნენ და სხვა.

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 მეცნიერება და ტექნიკა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
მილერი
"ყველა ჩემი შვილია"
რეჟისორი: ლეო ანთაძე
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**"ამირანი"**
"ჰარი პოტერი 3"
დას: 14:00; 17:00 სთ.

"მოკალი ბილი 2"
დას: 20:00; 22:30 სთ.

## გამოფენები

**"ორიენტი"**
ცნობილი და მივიწყებული სახელები

**TMS**
ვახტანგ კაკულიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
არქიტექტორ გერა ხეჩინაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**"ქარვასლა"**
ნოდარ მალაზონიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**"ჰობი"**
თანამედროვე მხატვრების ნამუშევრების გამოფენა "ჩვენი პალიტრა"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# პოეტები აბრეშუმის გზაზე

*"პოეზიის აბრეშუმის გზა", - ასე ჰქვია პოეტურ ფესტივალს, რომელიც 21 ივნისს ოდესაში დაიწყო, 24 და 25 ივნისს კი ფოთსა და ბათუმში გაგრძელდება. საქართველოს სანაპიროზე ერთმანეთს ქართველი, რუსი და უკრაინელი ლიტერატორები შეხვდებიან; ღონისძიების ინიციატორები არიან: რუსული ლიტერატურული ჟურნალის "ოქტომბერის" მთავარი რედაქტორი ირინა ბარმეტოვა და შემოქმედებითი სახელოსნოს, "აღმოსავლეთ-დასავლეთის" ხელმძღვანელი, ოდესელი პოეტი და კომპოზიტორი ელენა პალაშეკი. ფესტივალის მხადამჭერია საქართველის კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.*

ახალი "აბრეშუმის გზა" დღეისათვის არ შემოიფარგლება ძველი საქარავნო მარშრუტებით, ის ფორმირებულია როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სივრცე გადაჭიმული იაპონიის კუნძულებიდან დასავლეთ ევროპამდე. ამ სივრცეში ერთმანეთს ხვდებიან მატერიალური და საინფორმაციო რესურსები - ესაა ტექნოლოგიების გაცვლა, დიალოგი და ურთიერთგამდიდრებული კულტურები. შავი ზღვა ამ შემთხვევაში "დიდი აბრეშუმის გზის" საზღვაო ნაწილია, რომლის აღორძინებაზეც უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში ბევრი ევროპული და აზიური სახელმწიფო მუშაობს. ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს კომპანია "უკრფერი", რომელიც აქტიურად მონაწილეობს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის კულტურულ, ტურისტულ და სოციალურ თანამშრომლობაში. კომპანია არსებობის პირველივე დღეებიდან აქტიურად ეხმარება უკრაინაში ხელოვნებისა და კულტურის განვითარებას. 2002 წელს "უკრფერიმ" შექმნა პირობები, რომ ოდესის ნაციონალურ ორკესტრს მონაწილეობა მიეღო საერთაშორისო ფესტივალზე ვარნში. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ პოეტური ფესტივალის იდეაც სწორედ ამ კომპანიას ეკუთვნის. ფესტივალის მიზანია წარმართოსს დიალოგი რამდენიმე ქვეყნის - ამ შემთხვევაში, უკრაინის, რუსეთისა და საქართველოს ახალ შემოქმედებით თაობებს შორის. იდეის ავტორები ამ პროექტში ხედავენ შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების თანამშრომლობისა და გაერთიანების პერსპექტივას; "ჩვენს ქვეყნებს არა მხოლოდ ზღვა აქვთ საერთო, არამედ მაღალი კულტურული სივრცეც, რომელსაც ფესვები მდიდარ წარსულში გაუდგამს", - ნათქვამია კომპანიის საინფორმაციო რელიზში, რომელიც "პოეზიის აბრეშუმის გზას" ეძღვნება.

ფესტივალმა სტარტი აიღო ოდესაში; ქალაქში, რომელიც ფესტივალის მონაწილე ქვეყნების საერთო ისტორიის მემატიანეა. თავის მხრივ, უკრაინაში საქართველოს ელჩმა გრიგოლ ქათამაძემ ძალისხმევა არ დაიშურა, რომ ფესტივალი საქართველოს სანაპიროზე გაგრძელებულიყო. ფესტივალის საქართველოს სანაპიროებზე გამართვა შესაძლებელი გახდა ასევე აჭარაში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ლევან ვარშალომიძის, ფოთის მერის ვახტანგ ალანიასა და ფოთის პორტის გენერალური დირექტორის ჯემალ ინაიშვილის ოფიციალური მხარდაჭერით.

ფოთსა და ბათუმში გამოვლენ რუსი და უკრაინელი პოეტები და ლიტერატორები, გაიმართება შეხვედრები ლიტერატურისა და პოეზიის ქართველ თაყვანისმცემლებთან; ქართულ მხარეს "პოეზიის აბრეშუმის გზაზე", ძირითადად, "პენ-მარათონის" მონაწილეები წარმოადგენენ. სტუმრებს შორის კი იქნებიან: მიხეილ ჟვანეცკი; ახალგაზრდა რუსი პოეტები: ვიტალი ნაუმენკო, ელენა ისაევა, მაქსიმ ამელინი, ინგა კუზნეცოვა; ოდესელი პოეტები და ბარდები: ოლგა ილინიცკაია, ვალერი ხაიტი, ანა სონი, ელენა პალაშეკი, ალექსანდრე ბებეხი, ვანელტინ კუბა და ვალენტინ ლანდა. ფოთსა და ბათუმში მასტერ-კლასებს გაუძღვებიან: დიმიტრი ვედენიაპინი, ირინა ერმაკოვა, იგორ ირტენიევი, ანატოლი ნაიმანი; რუსი და უკრაინელი პოეტები საქართველოს ნაპირს ხვალ მოადგებიან.

*კითხვარი*

# საქართველოს ბანკის თბილისის ჯაზ-ფესტივალი

**1. თქვენი აზრით, ეს ფესტივალი საქართველოს კულტურული ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა თუ უფრო გასართობი დატვირთვა აქვს?**
**2. ყველაზე მეტად რომელი ფესტივალი დაგამახსოვრდათ?**
**3. თუ გამოარჩევდით წლევანდელი ფესტივალის ფავორიტებს?**



**თამაზ ყურაშვილი**
*მუსიკოსი*

**1.** უდავოდ დიდი კულტურული მნიშვნელობა აქვს. ისეთი ინფორმაცია ჩამოდის ამ დროს ჩვენთან, არათუ ევროპაში, ამერიკაშიც იშვიათია. ერთდროულად ამდენი ვირტუოზი ჯაზმენი იკრიბება თბილისში, ესაა შესანიშნავი თაიგული ჯაზის მოყვარულებისთვის. პრინციპში ფესტივალს ვეძახით, თორემ ეს ფესტივალი არ არის. ძალიან კარგად ვიცნობ ჯაზ-ფესტივალების პრინციპებს, პროგრამებს; რა თქმა უნდა, თბილისის ფესტივალი ის არ არის, ესაა უბრალოდ, ოთხი შემსრულებლის შესანიშნავი კონცერტები. ჯაზ-ფესტივალებს ცოტა სხვაგვარი სტრუქტურა აქვთ. ჰააგაში იმართება ევროპაში საუკეთესო ფესტივალი თავისი მასშტაბით. იქ დღეში 16-18 სცენაა დაკავებული ერთდროულად; 5-5 წუთი რომ დაუთმო სათითაოდ, ყველა გამომსვლელს ალბათ მაინც ვერ ნახავ; აი, კლუბებში თუ მოუსმენ ყველა მონაწილეს. ეს ფაქტორი საგულისხმო უნდა იყოს ჩვენი ფესტივალის ორგანიზატორებისთვის; იმედია, სამომავლოდ გაითვალისწინებს ქალაქის მუნიციპალიტეტი, კულტურის სამინისტრო და რასაკვირველია, "ისთერნ პრომოუშენი".

**2.** მაგრად დამამახსოვრდა 1989 წლის. ათდღიანი ფესტივალი იყო და აქედან ცხრა დღე საუკეთესო ანსამბლებსა და შემსრულებლებს დაეთმო; მაშინდელი ფესტივალი არტ ბლეიკის საიუბილეო თარიღსაც დაემთხვა, მახსოვს...

**3.** რა თქმა უნდა, ბობი მაქფერინი. ეს არის საოცარი შესაძლებლობების პიროვნება; მაკლაფინი ვირტუოზია; მაიკლ ფრენქსი თბილი და სასიამოვნო ბენდით ჩამოდის; კარგი მუსიკოსები ჩამოჰყავს; ასევე ვირტუოზია თავის საქმეში კრის ბოტი.



**დათო საყვარელიძე**
*რეჟისორი*

**1.** საერთოდ, მგონია, რომ ეს ადამიანები, რომლებიც ჩამოვიდნენ საქართველოში - ზავინული, მინცერი, Take 6, მაკლაფინი, არა მარტო ჩვენთვის, ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით მათი სტუმრობა კულტურული მოვლენაა; ასეთმა მუსიკოსებმა მნიშვნელოვანი ეტაპები შეიტანეს მუსიკის განვითარებაში; ეს მუსიკის ის მიმდინარეობაა, რაც კლასიკად შეიძლება ჩაითვალოს; ესენი დიდი ფიგურები არიან, რომელთაც განავითარეს მუსიკალური ხელოვნება. ჯონ მაკლაფინი იმ კულტურას ითვისებს, რომელსაც მე ქართულ ზღაპრებს ვუკავშირებ; მარტო ჯაზად ვერ აღვიქვამ ამ მუსიკას, გართობად - ხომ, საერთოდ... წლევანდელი სტუმრები ძალიან მაღალი დონის მუსიკოსები არიან; მათ დიდი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის მუსიკალურად განვითარებაში. მათი მუსიკა სულიერი საზრდოა.

**2.** ყველაში იყო საკმაოდ საინტერესო. საერთოდ, ძალიან კარგად ანაწილებს "ისთერნ პრომოუშენი" მუსიკოსებს; რას ვგულისხმობ: ყველა სტუმარი საინტერესოა, მაგრამ მათ შორის ერთი მაინც განსაკუთრებულია, ჩემთვის მნიშვნელოვანი სამყაროა. ამიტომ განსაკუთრებით ვერ გამოვყოფ რომელიმეს; განსაკუთრებით გამახსენდება ის ფესტივალი, რომელშიც ჩემთვის საინტერესო მუსიკოსები არ მიიღებენ მონაწილეობას. "ისთერნ პრომოუშენის" ასეთი პოლიტიკით კმაყოფილი ვარ.

**3.** ალბათ, მაკლაფინი. ის ისეთი ხარისხის მუსიკოსია, რომლის დარი არ ყოფილა საქართველოში. მაკლაფინი, ჩემი აზრით, გემოვნების გვირგვინია. დახვეწილია ძალიან. ერთადერთი, ვისი ჩამოსვლაც ძალიან მინდა ეს ჰერბი ჰენკოკია, სხვა დანარჩენი ყველა იყო ჩვენთან. ჰენკოკის სტუმრობა საქართველოს მსოფლიო მუსიკალური საზოგადოების ყურადღების ეპიცენტრში მოაქცევს.

# ცოტა რამ ახალი ინსტიტუტის პროექტის შესახებ

თამარ მურვანიძე

როგორც გავიგეთ, საშემოდგომოდ თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე ქართულ-ფრანგული ინსტიტუტი შეიქმნება. ამ პროექტის ავტორი ახალგაზრდა პოეტი, მთარგმნელი და მოჭადრაკე ბაჩუკი ჩაბრაძეა. ქართულ-ფრანგული ინსტიტუტის პროექტი მან გოჩა ჩოგოვაძის ხელმძღვანელობით შეადგინა.

ბაჩუკი ჩაბრაძე - მოკლე ბიოგრაფიული ცნობები: ქართველი მკითხველი მას ლექსებითა და თარგმანებით იცნობს. საფრანგეთში მას ასე მოიხსენიებენ - "საუკეთესო დესპანი ცივილიზებული ევროპის წინაშე" (ეს სახელი მისთვის ჟაკ შირაკს უწოდებია, 2001 წლის ოქტომბერში, როდესაც პარიზში იუნესკოს 31-ე გენერალური კონფერენციის ახალგაზრდული ფორუმი ჩატარდა - ბაჩუკი ჩაბრაძე სწორედ ამ ფორუმის დელეგატი გახლდათ). თარგმნის პოლ ვერლენს, არტურ რემბოს, შარლ ბოდლერს, თეოფილ გოტიეს... ფრანგულად ნათარგმნი აქვს გალაკტიონის ლექსები, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჟურნალებშია გამოქვეყნებული. ბაჩუკი ჩაბრაძეს ეკუთვნის ორი პოეტური კრებული - "ნაცრისფერი სამყარო" და "მთვარის სიმთვრალე". მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. 13 წლის იყო, მისი პირველი კრებული რომ გამოიცა. მეორე წიგნი 1996 წელს გამოვიდა. არის პრეზიდენტის გრანტის მფლობელი და პრეზიდენტის სტიპენდიანტი.

ბაჩუკი ჩაბრაძე უკვე ექვსი წელია საფრანგეთში, ქალაქ ნანტში ცხოვრობს. ამჟამად სწავლობს ასპირანტურაში, ნანტის უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე, თან ლექციებს კითხულობს ამავე უნივერსიტეტში. არის ფიდეს ოსტატი ჭადრაკში, საერთაშორისო ფესტივალებისა და ტურნირების პრიზიორი, ქალაქ სოტრონის ჭადრაკის კლუბის წევრი 1998 წლიდან. ახლა უკვე ჭადრაკში თავისი მოწაფეებიც ჰყავს. მალე ბაჩუკი ჩაბრაძე პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისშიც გააგრძელებს, სწორედ ზემოხსენებულ ქართულ-ფრანგულ ინსტიტუტში.



*ბაჩანა ბოთლით ხელში და მისი ბრაზილიელი მეგობარი ქალაქ ნანტში.*

ქართულ-ფრანგული ინსტიტუტის პროექტზე საუბარი კარგა ხნის წინ დაიწყო, ჯერ კიდევ 1997 წლის ოქტომბერში, როდესაც თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტს ეწვივნენ უნივერსიტეტ "პარიზი 8"-ის პრეზიდენტი რენო ფაბრი და ამავე უნივერსიტეტის საპატიო პრეზიდენტი ირენ სოკოლოგორსკი. სწორედ მაშინ, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორთან, თამაზ ხუროძესთან და საქართველოს ელჩთან საფრანგეთში გოჩა ჩოგოვაძესთან ერთობლივი მოლაპარაკებების შემდეგ, შეიქმნა ამ ორი უნივერსიტეტის თანამშრომლობის პროექტი. ამას მოჰყვა "პარიზი 8-ს" პროფესორის, ინფორმატიკის სპეციალისტის - ჰარალდ ვერცის ჩამოსვლა თბილისში, მერე კი უკვე ქართველი მეცნიერებიც ეწვივნენ პარიზის უნივერსიტეტს და თანდათანობით სხვა პარტნიორებიც გამოჩნდნენ: INALCO, ვერსალის უნივერსიტეტი "სენ კანტენი", ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო, იონის დეპარტამენტი, დიჟონის აკადემია და კლერმონ-ფერანის უნივერსიტეტი.

ფრანგულ-ქართული ინსტიტუტი ეკონომიკისა და ინფორმატიკის სპეციალობებს მიანიჭებს პრიორიტეტს; ამასთან, ამ ინსტიტუტში სტუდენტები დაეუფლებიან სპეციალობას - Langues apploquees (ფრანგული ენის სპეციალისტი ეკონომიკის, ინფორმატიკისა და სამართლის დარგში).

პროექტი ორივე მხარის (ფრანგული და ქართული მხარეების მიერ) მოწონებულია და სავარაუდოდ სექტემბერში განხორციელდება.

და კიდევ ერთი სიახლე: საფრანგეთში იბეჭდება გალაკტიონის რჩეული, თარგმანი ბაჩუკი ჩაბრაძეს ეკუთვნის. კრებულში 25-მდე ლექსია შესული.

# რეკორდული აუქციონი

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სოთბის უმსხვილეს სააუქციონო სახლში იმპრესიონისტებისა და თანამედროვე მხატვართა 60 ნამუშევარი იქნა წარმოდგენილი, ნავაჭრმა 111 მილიონი დოლარი შეადგინა.

ყველაზე ძვირი აღმოჩნდა ამედეო მოდილიანის ტილო "ბიჭი ცისფერ პიჯაკში", რომელიც მან 1918 წელს დახატა. ნახატი 11,2 მილიონ დოლარად, შეფასებულზე თითქმის ორჯერ მეტ ფასად გაიყიდა.

ამას გარდა, აუქციონზე წარმოდგენილი იყო პიკასოს, რენუარის, მონესა და ვან გოგის შედევრები.

ვან გოგის ნახატი "ორი კიბორჩხალა" 9,4 მილიონ დოლარად შეისყიდეს. მოდილიანის ტილოს შემდეგ, ვან გოგის "ორი კიბორჩხალა", ყველაზე ძვირადღირებული აღმოჩნდა. გერმანელი ეგონა შილეს "შეყვარებული წყვილმა", რომელიც მან 1913 წელს დახატა, რეკორდი დაამყარა არა ტილოზე, არამედ ქაღალდზე შესრულებულ ნამუშევრებში. იგი 3,5 მილიონად გაიყიდა.



*მოდილიანის ნახატი ორმაგ ფასში გაიყიდა.*

აუქციონზე წარმოდგენილ ყველა ნამუშევარს ასე ნამდვილად არ გამართლებია. რენუარის ნახატი "რაფი მეტრის პორტრეტი", რომელიც 1871 წლით თარიღდება, აუქციონიდან საერთოდ მოიხსნა. 11 მილიონად შეფასებული ნახატის ყიდვის მსურველი არ აღმოჩნდა.

"აუქციონის შედეგი ბაზრობის ახალ ტენდენციებზე და ამავე დროს, წარმოდგენილი ნამუშევრების უნიკალურ ხარისხზე მიუთითებს", - განაცხადა სოთბის ევროპული განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ მელანი კლორმა.

აუქციონი ლონდონში მიმდინარე ორკვირიანი ხელოვნების ფესტივალის ჩარჩოებში მიმდინარეობდა.

სამშაბათს ბრიტანეთის დედაქალაქში, კიდევ ერთი ორდღიანი, ამჯერად სხვა ცნობილი სახლის - კრისტის აუქციონი გაიმართება.

# ელექტრონული ინტერვიუ ელექტრო-მუსიკოსთან

## კიდევ ერთი ქართველი მუსიკოსი, საქართველოს გარეთ

ნინო ხონელი



ტუსჲ უკვე ორი თვეა გერმანიისკენ გაემგზავრა და ევროპის კიდევ რამდენიმე ქვეყანაში გამართა კონცერტი.

დაახლოებით ერთი წლის წინ გერმანიაში ქართველი მუსიკოსის ტუსჲ ბერიძის დისკი გამოვიდა სახელწოდებით "ტბა". ტუსჲ რიგით მესამე ელექტრო-მუსიკოსია, რომელსაც საქართველოს გარეთ უსმენენ. დანარჩენია ორი - ნიკა მაჩაიძე და გოგი ძოძუაშვილია. შეგახსენებთ, მაგრამ აღარ დავიწყებ იმის მოყოლას, რომ თბილისში არსებობს მეგობარ-ხელოვანთა შემოქმედებითი გაერთაინება, რომელსაც "გოსლაბი" ჰქვია. მართალი გითხრათ, ეს სახელი და საერთოდ ამდაგვარი გაერთიანებები, ჩემში რაღაც სეპარატისტულ-კლანურ ასოციაციებს იწვევს და ამიტომ მასზე ყურადღებას არ შევაჩერებ. ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ მეტ-ნაკლებად ყოველი მათგანის შემოქმედებას ვიცნობ, ჩემთვის საინტერესო უფრო მათი ცალკეული ნამუშევრებია - კინოში, მხატვრობაში, მუსიკაში, თანამედროვე ვიზუალურ არტში და სხვა - ვიდრე მათი გაერთიანება, საერთო სახელწოდება თუ ერთობლივი ნამუშევრები.

საინტერესო ის არის, რომ უკვე სამი ქართველი მუსიკოსი საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმატებულად იყიდება, მაგრამ საქართველოში მათ შესახებ მხოლოდ მათივე მეგობრებმა იციან. იციან მხოლოდ მათ, ვინაიდან თავად მუსიკოსები არ იხდიან ცოტა თუ ბევრ ფულს საკუთარი სახელის პოპულარიზაციისათვის და არ აკეთებენ იმას, რასაც დღეს ქართველი "მუსიკოსების" უმეტესობა აკეთებს. ერთადერთი გამონაკლისი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არის სერგი გვარჯალაძე, რომელიც საქართველოში მათი სახელის პოპულარიზაციას ცდილობს. რაც გამოიხატება მის მიერ ორგანიზებულ კონცერტში "აჭარა მიუზიქ ჰოლში", ინფორმაცია მათ შესახებ ინტერნეტში "კომუნას" ვებ გვერდზე და მათი მუსიკა რადიოში "ფორტუნა+". ის რომ მათი სახელები ყველასათვის ცნობილი არ არის, ეს ბუნებრივია, არა მხოლოდ მუსიკოსების თავმდაბლობით აიხსნება. ელექტრონული მუსიკა, თუ გნებავთ კომპიუტერული მუსიკა დავარქვათ, საქართველოში თავისთავად არ არის პოპულარული. თუმცა, ტუსჲ ბერიძე, ვიდრე მუსიკის წერას დაიწყებდა ვიდეოფილმებსაც იღებდა და, სხვათა შორის, მისმა ერთ-ერთმა ნამუშევარმა 2001 წელს, ობერჰაუზენის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალზე, ფილმისათვის Game ("თამაში") ერთ-ერთი მთავარი ჯილდო მიიღო. არც ამის შესახებ იცის ბევრმა. არა და ობერჰაუზენის კინოფესტივალი მოკლემეტრაჟიანი ფილმების ყველაზე პრესტიჟული კონკურსია, როგორც, მაგალითად, სრულმეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი კანში. მაგრამ, ეს უკვე სამი წლის წინ იყო და ვისაუბროთ იმაზე, რაც დღეს არის.

ასეა თუ ისე, პირადად მე ძალიან მიხარია, რომ ტუსჲ ბერიძე მუშაობს და შემდეგ მისი ნაშრომი მოწონთ და აფასებენ. აქვე ისიც მინდა მოგახსენოთ, რომ ტუსჲ უკვე ორი თვეა გერმანიისკენ გაემგზავრა და ევროპის კიდევ რამდენიმე ქვეყანაში გამართა კონცერტი. ტუსჲს მუსიკას უკვე თავისი მსმენელი ჰყავს და, ასევე, კრიტიკოსი. მაგალითად შემიძლია მოვიყვანო ერთ-ერთი ინგლისელი კრიტიკოსის ციტატა - "ის ნაცნობი, რასაც მუსიკოსი გვთავაზობს, ბავშვობისა და ბავშვის მიერ აღქმული სამყაროს ნაცნობი შეგრძნებებია. ბავშვი, რომელიც თითქოს ყველასგან მივიწყებული ქვიშის მოედანზე საკუთარ სამყაროს აშენებდა და შიგადაშიგ გარესამყაროში მომხდარ მოვლენებზე ფრთხილად რეაგირებდა". ასე, პოეტურად ახასიათებს ინგლისელი კრიტიკოსი ტუსჲ ბერიძის კომპიუტერულ მუსიკას.

ახლა ტუსჲ კიოლნშია. პატარა ელექტროინტერვიუ ელექტრო-მუსიკოსთან.

**- რა საქმეზე წახვედი ბოლოს გერმანიაში?**

- კონცერტები მქონდა და ჩამოსვლამდე კიდევ ორი კონცერტი უნდა მქონდეს.

**- სად გქონდა და უნდა გქონდეს კონცერეტები?**

- იტალიაში, საბერძნეთში, შვეიცარიაში და პორტუგალიაში. იტალიაში პირველად ტურინში დავუკარი, ძალიან მაგარი ადგილია. ეს არის ინდუსტრიული კომპლექსი, სადაც მუსიკოსებს სტუდიები აქვთ. ტურინში ამ ტიპის კონცერტები ძირითადად იქ ტარდება. რომში ერთ-ერთი თეატრის სცენაზე დავუკარი, სადაც მაყურებელი სკამზე ზის, არის დიდი სცენა, ვიდეოპროექტორი და ბევრი ხალხი. სცენაზე, რომ გავედი შიშისგან სუნთქვა კინაღამ შემეკრა და მუხლები ჩამეკეცა. მაგრამ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მერე საბერძნეთში, ათენში იყო ასეთი ფესტივალი სახელწოდებით synch (ხმის და გამოსახულების სინთეზი), რომელიც კიდევ უფრო საპასუხისმგებლო იყო იმიტომ რომ ვინც კი ელექტრო-მუსიკოსი ვიცი, ყველა იქ უკრავდა. ულამაზესი ადგილი იყო, ათენის გარეთ, ზღვის პირას, ძველი მეშახტეების ქალაქივით, სადაც სპეციალურად ამ ფესტივალისთვის აშენებული იყო სცენები, ტენტები, სახლები და ა.შ. მე ვუკრავდი ექსპერიმენტულ დარბაზში. ჩემ წინ ვლადისლავ დილეი და რიოჯი იკედა უკრავდნენ. აქაც ბევრი ვინერვიულე და ერთი-ორი ჭიქა დავლიე სცენაზე გასვლამდე. მგონი, აქაც ყველაფერმა კარგად ჩაიარა, უბრალოდ, ცოტა მიკროფონმა მიმტყუნა. ახლა შვეიცარიაში და პორტუგალიაში მივდივარ. ლისაბონში, როგორც ამბობენ, ძალიან კარგ კლუბში დავუკრავ და პორტუში კი გემზე. პორტუგალიაში, მგონი, ფეხბურთის ფინალსაც დავესწრები.

**- ვინ უკეთებს ორგანიზებას შენს მოგზაურობას?**

- ფინანსდება ყოველთვის ასე: ის ადამიანები, ანუ პრომოუტერები, ვინც დაინტერესებულნი არიან შენით, უკავშირდებიან ლეიბლს. თუ არის შენი და ლეიბლის თანხმობა, თქვენ გითანხმებენ ავანსს, გიღებენ ბილეთს, გიხდიან სასტუმროს, ტრანსპორტირებას და სასმელს. მოკლედ, მაქსიმალურად ზრუნავენ შენს "კეთილმოწყობაზე". ხან უკეთესად არის, ხან უარესად, ზოგ ადგილას თავზე არავინ გყვება, მაგრამ ბილეთს და ავანსს ყველა იხდის.

**- შენ თვითონ, როგორ აფასებ თუ ახასიათებ შენს კონცერტებს?**

- ჯერჯერობით კონცერტებისგან დიდ სიამოვნებას ვერ ვიღებ. რადგან ჯერ სულ არა მაქვს თავში დაჯერებულობის და ე.წ. სუვერენიტეტის განცდის მომენტი. ჩემთვის ბევრად უფრო დიდი სიამოვნებაა სახლში ჯდომა და კომპიუტერთან მუსიკის კეთება. და მგონი, ეს მდგომარეობა ტალღასავით გადაეცემა აუდიტორიას. თუ ჩაკეტილი ხარ, არც შენგან და არც შენსკენ, დიდი არაფერი მოდის. მიუხედავად იმისა რომ, ყველა ეს კონცერტი ზოგადად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო იყო, ყველაზე მეტად მაინც "აჭარა მიუზიქ ჰოლში" ჩატარებულ კონცერტზე ვინერვიულე. ჩემი ყველაზე დიდი სურვილია, ასეთი კონცერტების ტრადიცია საქართველოში დაინერგოს და ეს არ იყოს თითზე ჩამოსათვლელი გამონაკლისები, არამედ იყოს თუნდაც ვიწრო მასშტაბის - ორგანიზებული ტრადიცია. ვინაიდან, რაც არ უნდა მოედო ყველაფერს, ჩემთვის საწყისი მაინც საქართველოა და, რაც ყველაზე მთავარია, ჩემს მუსიკაში, არის ის ატმოსფერო, რომელშიც გავიზარდე და რომელთან იდენტიფიკაციაც ბოლომდე გამყვება. (ალბათ, ეს ყველაფერი იმიტომ დავწერე, რომ ძალიან მენატრება მაქაურობა).

ევროპელ მუსიკოსებში ყველაზე მომხიბვლელი მათი თავმდაბლობაა, გეგონება რიგითი მუშაკები არიან და ბეჯითად ასრულებენ სამუშაოს. როდესაც ათენის ფესტივალზე მივდიოდი, სულ ვფიქრობდი, რომ ჩემთვის საინტერესო და ცნობილ მუსიკოსებს გავიცნობდი. ისინი მართლაც გავიცანი, მაგრამ სანამ საშვზე არ ამოიკითხავ მათ სახელს და გვარს, ისე ვერ მიხვდები, ვინ ვინ არის. ისინი სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდნენ, არც ქცევით და არც გარეგნულად. ამან ძალიან მომხიბლა. ის, რომ ქართულ ამბიციას ცოტა დამიწება სჭირდება, ამ თვალსაზრისით, ეს საუკეთესო მაგალითი იყო.

ამის გარდა, ათენში ძალიან კარგ მუსიკას ვისმენდი. ბევრი ახალი არ არის, მაგრამ რაც არის - კარგია. ათენში ეს ფესტივალი შეიძლება კარგი მაგალითი იყოს საქართველოსთვის. ფესტივალის ორგანიზება მხოლოდ ერთმა, ჩემი ასაკის ბიჭმა გააკეთა; მან იშოვა დაფინანსებაც და ყველა სხვა საორგანიზაციო საქმეც თვითონ მოაგვარა. ასეთი დიდი მაშტაბის ფესტივალი პირველად საბერძნეთში მოეწყო, და საკმაოდ რთულ პირობებში, ვინაიდან ეს მუსიკა არც საბერძნეთშია პოპულარული, ისევე როგორც საქართველოში. მაგრამ ყველაფერი დიდი სურვილით და ძალისხმევით ძალიან წარმატებით ჩატარდა. მუსიკოსები გაოცებულები ამბობდნენ, რომ ეს ფესტივალი არ ჩამოუვარდება არც სონარის ფესტივალს ბარსელონაში და არც მუტეკის ფესტივალს კანადაში. მოკლედ, იქნებ, აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი იყოს ჩვენი.

# იქ, იმ სახლში

თამარ ამაშუკელი



ხარფუხი, თბილისის უძველესი უბანი, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებს მიუყვები და უცნაური სიმშვიდე გეუფლება. აქ ამ დაგრეხილ ორღობეებსა და მიბრეცილ-მობრეცილ პატარა სახლებს შორის დრო სხვანაირად მიდის და ეპოქაც სადღაც იპარება. მერე ვიღაცათა ნარდის თამაშს - თელეთის ქუჩას ვერ მიმასწავლით? - ვწყვეტ და პასუხს მრავალენოვანი გადალაპარაკების შემდეგ მიღებული კონსენსუსის შედეგად ვღებულობ.

თელეთის ქუჩა ისეთივეა, როგორც მთელი ხარფუხი, ზემოთ მიმართული, მოკირწყლული და ახვლედიანის სურათების მსგავსი. ყურადღებას მხოლოდ ერთი შენობა იქცევს, აშკარად საბჭოურ პერიოდში აშენებული, ნაცრისფერი სახლი დიდი ფანჯრებით, საბჭოურ აქტავიზმთან დისონირებული და გარემოსთან სინთეზურად შერწყმული აგურის გალავნითა და ულამაზესი რკინის ჭიშკრით. აქ ამ სახლის ერთ ფლიგელში კერამიკოს ოთარ ვეფხვაძესა და მის მეუღლეს, ია გიგოშვილს ზღაპარი რელობად უქცევიათ და ოთხ სართულზე განუთავსებიათ. სახლის ვიწრო კიბეებს ხარფუხის ქუჩებივით ზემოთ მიუყვები და თითოეულ სართულზე ნანახით განცვიფრებული ფიქრობ, რომ ამაზე უკეთესი არაფერი შეიძლება იყოს. სულ ზემოთ, მეოთხე სართულზე განთავსებული ხარფუხის ცა და მთელი ხარფუხი სიმშვიდეს გგვრის და ფიქრობ, რომ, ალბათ, ეს არის სამოთხე.

მოთხოვნილება დიზაინსა და დიზაინერზე ჩვენს რეალობაში არც თუ დიდი ხანია გაჩნდა. მაშინ, როცა ყველა " თანასწორუფლებიანი" იყო, ყველას ერთნაირი ავეჯი ედგა, მგავსი სამოსი ეცვა და იდენტურ დანა-ჩანგალსაც კი ხმარობდა, მაშინ, როცა სტუმრად მისული საკუთარ სახლში გრძნობდი თავს და თვალდახუჭული აგნებდი აბაზანის ჩამრთველ-გამომრთველს, დიზაინი და დიზაინერი არავის სჭირდებოდა. მერე ყველაფერი აირია და ახლის, განსხვავებულის ყიდვის შესაძლებლობისაგან თავბრუდახვეულებმა ყველაფერი ძველი გადავყარეთ და ახლით, განსხვავებულით, თუმცა ისევ სერიულით, დაშტამპულით და ხშირად უხარისხოთიც კი შევცვალეთ.

იქ, იმ სახლში კი არავის ძველი არ გადაუყრია, ევროპულ ბაზარზე ცნობილი ავეჯის მწარმოებელთა სახელებით არავინ მოხიბლულა და ფანტაზიისა და ნიჭის მეშვეობით ისეთი რამ შეუქმნიათ, რაც, ალბათ, არსად, არასდროს განმეორდება.

იქ, სადაც ლამპიონები ოთახს ანათებენ, ნაცნობი ნივთები ახალ სიცოცხლეს იძენენ და თავიანთი "მეორედ მოსვლით" გვაოცებენ.





იქ, იმ სახლში კი არავის ძველი არ გადაუყრია, ევროპულ ბაზარზე ცნობილი ავეჭის მწარმოებელთა სახელებით არავინ მოხიბლულა და ფანტაზიისა და ნიჭის მეშვეობით ისეთი რამ შეუქმნიათ, რაც, ალბათ, არსად, არასდროს განმეორდება.

იქ ხშირად ფიქრობ თუ ნანობ იმაზე, რომ შენ არ მოგაფიქრდა ის, რაც მოაფიქრდათ ამ სახლის პატრონებს. შენც ხომ დაგიტოვა ბებიამ ძველი სკივრი, რომელიც რკინის ლოგინთან ერთად დიდი ხანია ნაგავში მოისროლე და რომლისგან თურმე მშვენიერი დივანი გამოდის. აი იქ, იმ კუთხეში კი "ზინგერის" საკერავი მანქანის ფეხზე კერამიკის ფიგურა ისე მოხერხებულად წამოგორებულა, ვერც კი იფიქრებს კაცი, რომ ეს ფეხი თუ სადგამი მისთვის არ შეუქმნიათ.

ის სახლი სკივრს ჰგავს, რომელშიც ქექვა სიამოვნებას განიჭებს. ცოტათი დაბნეული და აჟიტირებული კუთხე-კუთხე, კედელ-კედელ დადიხარ და მხოლოდ იმაზე ფიქრობ, აქ რომ ცხოვრობდე არაფერს შეცვლიდი. მათ კი ეს ყოველივე თავისთვის შეუქმნიათ და თავიანთი მოთხოვნილებებისთვის, გემოვნებისთვის მოურგიათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, იქ თითქოს ყველაფერი შენც ისევე გეკუთვნის როგორც მათ.

დიზაინი ძალზედ სპეციფიკური დარგია. დიზაინერი, რომელიც ქმნის ინტერიერს ყოველთვის ითვალისწინებს დამკვეთის ხასიათს, გემოვნებას. ყოველი ადამიანი ხომ დამოუკიდებელი, განსხვავებული ინდივიდია და ეს ყველაზე კარგად მის ოთახში ჩანს. ამ სახლის ინტერიერი ორმა შემოქმედმა ოთარ ვეფხვაძემ და ია გიგოშვილმა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საკუთარი შეხედულებების, გემოვნების გათვალისწინებით შექმნეს, მაგრამ იქ შესულ ადამიანს, რაოდენ პრადოქსულადაც არ უნა ჟღერდეს ეს, სტუმრის შეგრძნება ეკარგება და ეს სულაც არ ხდება იმიტომ, რომ იქ ყოველივე ისეთივეა, როგორც ჩემთან და შენთან, როგორც ეს საბჭოეთში ხდებოდა. არა, უბრალოდ მათ ყველაფერი მოიფიქრეს და გააკეთეს ისე, როგორც ამას გავაკეთებდი მე და, ალბათ, თქვენც, თუმცა ვერ გავაკეთეთ, რადგან არ ვიცით, როგორ უნდა გავაკეთოთ და არც ის ვიცოდით, რა უნდა გაგვეკეთებინა, სანამ არ ვნახეთ ის. მოკლედ კი ერთი მომღერლის სიტყვებით რომ ვთქვათ: "ვიღაცამ იცის, როგორ იმღეროს, მაგრამ არ იცის, რა იმღეროს, მეორემ იცის რა იმღეროს, მაგრამ არ იცის, როგორ იმღეროს". მათ კი კარგად იციან რა და როგორ. მათი პირადული ჩემი და შენიც ხდება, ანუ გარკვეულწილად სუბიექტურის ობიექტივიზაციასთან გვაქვს საქმე, რაც მხოლოდ ჭეშმარიტი ხელოვნების ხვედრია.

იქ, იმ სახლში ყველაფერი ხელოვნების ნიმუშია, იქნება ეს "მკვდრეთით აღმდგარი" ძველი ნივთები თუ სრულიად გამაოგნებელი, ოთარ ვეფხვაძის კერამიკული ქანდაკებები, რომელთაც სადღაც საბერძნეთში მივყავართ. იქ იმ სახლში კარადები იტალიას გვაგონებს, საპირფარეშო კი საფრანგეთს. იქ ქოთნებში მოთავსებული ყვავილებიც კი სხვანაირია, თუმცა ძნელია ამ ქოთანს უწოდო უბრალოდ ქოთანი, ისინი ხომ ხელოვნების ნიმუშებია, თავიანთ დაგრეხილ სადგამებთან და ყველასათვის ნაცნობ ყვავილებთან ერთად, იქ სარკეებიც სხვანაირი, თითქოს ჯადოსნურია, მათი მეშვეობით კედელი ირღვევა და სივრცეში გადიხარ. იქ იმ სახლში დადიხარ მოხატულ კედლებსა და კერამიკულ ქანდაკებებს შორის და თავი მუზეუმში გგონია. იქ ნაცნობი ნივთები დგას და თავი სახლში გგონია იქ იმ სახლში ყველაფერი დიდია და თანაც საოცრად კამერული, რკინის ავეჯი მასიურია და თანაც ისეთი მსუბუქი, დატალღული თუ მიხვეულ-მოხვეული, როგორც ხარფუხის ქუჩები.

გარეთ კი სიმშვიდე და სიმყუდროვეა. ძველი თბილისი მთელი თავისი სილამაზით წარმოგვიდგება. მწვანეში ჩაფლული თბილისი კი იმ წუთას ისე გიყვარს, როგორც არასდროს.

თბილისი თავისი კოლორიტით, ქუჩებით ყოველთვის გვკარნახობს დიზაინსაც, მოდასაც და მუსიკასაც. თუმცა, ახლა რატომღაც ვცდილობთ ეს ყოველივე რაღაც სხვად, უფრო ევროპულად გადავაქციოთ; ძველი უბნები მაღალსართულიან დასახლებებად ვაქციოთ, სახლები ძვირადღირებული ევროპული ავეჯით მოვრთოთ, მუსიკა კი გავარეპოთ თუ გავაევროპულოთ.

იქ, იმ სახლში არავინ აქცევს ყურადღებას მოდას, სტილს, ევროპულს თუ ამერიკულს, იქ აკეთებენ იმას, რაც სურთ, აკეთებენ იმას, რასაც მათ ინტუიცია და ფანტაზია და კიდევ ვერანდიდან ძველი თბილისი კარნახობს. იქ ვერ ნახავთ დოქებს, ფიალებს, ხანჯლებს თუ ქალაქურ პეიზაჟებს, მაგრამ ყველაფერში იგრძნობა მათი წარმომავლობა, თუმცა ისინი არასოდეს ფიქრობენ ამაზე, ისინი უბრალოდ ქმნიან ხელოვნებას, ხელოვნებას, რომელიც ერთდროულად გაგონებს საბერძნეთს, საფრანგეთს და საქართველოს და კიდევ ზღაპარს.

"ქართველები ერთ-ერთი ყველაზე გემოვნებიანი ერი ვართ" - ამბობს ია გიგოშვილი. კითხვაზე, მოსწონთ თუ არ თქვენი სახლი, მპასუხობს - ყოველთვის. მოსწონთ ე.ი. ხედავენ, ხედავენ ე.ი. აფასებენ, აფასებენ ე.ი. არის მოთხოვნილება ნამდვილ ხელოვნებაზე ეს კი იმის გარანტია, რომ საქართველოში ყოველთვის იყო, არის და იქნება ისეთი კულტურა, რომლითაც შეგვიძლია ვიამაყოთ, ყოველთვის იქნება ხელოვნება, რომელიც დაგვანახებს, რომ ვართ დიდი ტრადიციებისა და მომავლის ერი და ამას გვაგრძნობინებს ჩვენი ხელოვნება და არა მარტო ის, რომ ვართ ევროპელები.

EURO 2004

# მეოთხედფინალში შვედეთი და დანია ითამაშებენ











## TV-სპორტი

**ოთხშაბათი. 23 ივნისი**

**НТВ+ФУТБОЛ**

07:00 WNBA-ს ჩემპიონატი. "SEATTLE STORM" - "HOUSTON COMETS". პირდაპირი ტრანსლაცია
09:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ათწლეულის ყველა ვარსკვლავთა გუნდები
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "მალაგა" - "ბარსელონა"
15:00 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
15:30 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. "რეალი" - "ბაიერი"
17:15 თავისუფალი დარტყმა
17:30 განვლილი სეზონის გახსენება. პორტუგალიის ჩემპიონატი. "ბენფიკა" - "ბოავიშტა"
19:15 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "ჩელსი" - "ნიუკასლი"
21:00 თავისუფალი დარტყმა
21:15 სახვალიო ტელეპროგრამა
21:20 "დარტყმა გოლისთვის"
21:35 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. "ანდერლეხტი" - "დინამო" (უკრაინა)
23:55 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "ბორუსია"
01:05 განვლილი სეზონის გახსენება. ჰოლანდიის ჩემპიონატი. "ფეიენოორდი" - "უტრეხტი"
02:50 02:50-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV - დღიური
04:30 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
05:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1998. ფინალი. "UTAH JAZZ" - "CHICAGO BULLS". მე-6 მატჩი მატჩი

**НТВ+СПОРТ**

11:00, 14:00, 16:40, 22:30 პრესცენტრი
11:20, 22:45 "ოლიმპის შვილები"
11:25, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"
11:45 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი
14:35 ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი ლიბიაში
15:05 ბილიარდი. რუსეთის ჩემპიონატი. მოსკოვური პირამიდა
16:05 "ნადირობის სეზონი"
16:55 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 "ათენის გზაზე"
22:00 "სპორტული გლობუსი" - "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
22:50 სახვალიო ტელეპროგრამა
23:00 ბოულინგი. PBA Tour ბელვილში. აშშ
00:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. შესვენებისას (01:00) - ახალი ამბები
02:15 02:15-დან 05:40-მდე შესვენება
05:40 ფეხბურთი. ბრაზილიის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

10:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
10:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
11:30 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
12:00 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
12:15 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:45 მულტისპორტი
13:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო სერიის ეტაპი შვეიცარიაში
13:30 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
14:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
15:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
15:30 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა
15:45 მძლეოსნობა. ევროპის თასი პოლონეთში
17:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
18:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების კლასიკა
19:30 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
20:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
21:00 კრივი
22:45 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
23:15 ფეხბურთის სიახლენი
23:30 ცხენოსნობა. ნაციის თასი სამსუნგი ჰოლანდიაში
00:30 გოლფი. ევროპული ტური საფრანგეთში
01:00 აფროსნობა
01:30 მულტისპორტი ოთხშაბათობით
01:45 თავგადასავალი. ექსტრემალურ თავგადასავალთა სერია
02:15 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
02:45 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
03:15 ახალი ამბები
03:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
04:00 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
04:30 ახალი ამბები

# გარდაიცვალა ინგლისელი გულშემატკივარი

პორტუგალიაში, ევროპის ჩემპიონატზე, პირველი გულშემატკივარი გარდაიცვალა. ინგლის-ხორვატიის მატჩის შემდეგ ლისაბონში ერთ-ერთმა უკრაინელმა დანით მოკლა ინგლისელი გულშემატკივარი.

ევროპის ჩემპიონატის ორგანიზატორები ტყუილად არ შიშობდნენ აგრესიული ინგლისელი ფანების მოზღვავების გამო. ერთ-ერთი ინგლისელი ფანი მაინც აღმოჩნდა ტრაგიკული მოვლენების ეპიცენტრში. თუმცა, 27 ბრიტანელი თვითონ გახდა ტრაგიკული შემთხვევის მსხვერპლი.

ორშაბათს, ღამით, ხორვატებთან მატჩში ინგლისის ნაკრების დამაჯერებელი გამარჯვების (4:2) შემდეგ ინგლისელი ფანები, რომლებიც კმაყოფილი იყვნენ გუნდის მეოთხედფინალში გასვლით, გადაწყვიტეს, ეს ამბავი ლისაბონის ცენტრში, როსიუს მოედანზე აღენიშნათ. ლხინი დიდხანს გაგრძელდა. ტრაგედია კი დილის 4 საათზე მოხდა. დანით მიყენებული ჭრილობების შედეგად "სან ჟოზეს" საავადმყოფოში გარდაიცვალა ბრიტანელი გულშემატკივარი.

ბუნებრივია, მკვლელობის უმთავრეს ვერსიად ადგილობრივმა პოლიციამ, რომელიც, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ეჭვმიტანილისა და დაზარალებულის გვარებს არ ასახელებს, დაასახელა რამდენიმე საათის წინათ დასრულებული მატჩი ინგლისისა და ხორვატიის ნაკრებ გუნდებს შორის.



REUTERS

*27 წლის ინგლისელი ფანის გარდაცვალების ადგილი ყვავილებით შეამკეს.*

თავიდან მთავარ ეჭვმიტანილად გამოაცხადეს დაპირისპირებული ბანაკის წარმომადგენელი ხორვატი. თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ გაირკვა, რომ ის სულაც არ არის ხორვატი, ის უკრაინის მოქალაქეა.

მეტიც, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი იუწყება, მკვლელობის მიზეზი სულაც არ იყო ფეხბურთი. უკრაინელმა, უბრალოდ, გადაწყვიტა, ინგლისელი გაეძარცვა. ინგლისელი კი, როგორც ჩანს, ასე ადვილად არ დათანხმდა ქონებასთან განშორებას, რისთვისაც მოკლეს კიდეც. გამოძიება, აგრეთვე, ხორვატიისა და ინგლისის მხარეები არ ჩქარობენ ამ საქმის ახალი დეტალების გამომზეურებას. "ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ დანით მიყენებული ჭრილობების შედეგად ლისაბონში გარდაიცვალა ინგლისელი გულშემატკივარი", - განაცხადა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, - "ტრაგედია დილით ადრე მოხდა".

ეს პირველი ინციდენტი არ არის, რომელიც პორტუგალიის ევროპის ჩემპიონატზე მოხდა, თუმცა, აქამდე არც ერთი შემთხვევა მკვლელობით არ დასრულებულა.

ერთი კვირის წინათ, პოლიციისა და ინგლისელი ფანების შეტაკების შედეგად, 20 გულშემატკივარი დააპატიმრეს. პორტუგალიის პოლიციის სპეცდანაყოფის ოფიცრები ცდილობდნენ, გასწორებოდნენ 400-მდე ინგლისელ ფანს, რომლებიც სამართალდამცავებს ბოთლებს უშენდნენ.

არეულობები მოხდა პორტუგალიის ზღვისპირა ქალაქ ალბუფეირაში, სადაც ინგლისელი გულშემატკივრები ეროვნული ნაკრების საქომაგოდ შეიყარნენ. ამას წინათ კი იმავე ქალაქში პოლიციასთან შეტაკებაში ჩაება 200-მდე ინგლისელი გულშემატკივარი. პოლიციის სპეციალური დანაყოფები შეეცადნენ, გაეფანტათ და დაემშვიდებინათ აგრესიული ბრბო, რომელიც ამჯერად პოლიციელებს ბოთლებთან ერთად სკამებსაც უშენდა. შეტაკების შედეგად ექვსი გულშემატკივარი დაშავდა, 12 დააკავეს და ისინი სასამართლო განჩინებას ელოდებიან. ამას გარდა, დაკავებულია ერთი პორტუგალიელი და ერთი რუსი გულშემატკივარი.

უეფამ, თავის მხრივ, ინგლისის ნაკრები გააფრთხილა, რომ თუ ბრიტანელი გულშემატკივრები ხულიგნურ გამოხდომებს გააგრძელებენ, ინგლისის ნაკრები შეიძლება დროზე ადრე გამოეთხოვოს ევროპის ჩემპიონატს.

ჩოგბურთი

# "უიმბლდონი" - ჩოგბურთის მექა

სანდრო ნავერიანი



REUTERS

პირველ წრეში მარატ საფინმა თანამემამულე დმიტრი ტურსუნოვი დაამარცხა.

ევროპა სპორტულმა ბატალიებმა მოიცვა: პორტუგალიაში კონტინენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირი ტარდება ფეხბურთში, ხოლო ინგლისში - მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირი ჩოგბურთში. ლონდონში დიდი სლემის რიგით მესამე ტურნირი მიმდინარეობს.

"უიმბლდონის" ისტორია 1877 წლიდან იღებს სათავეს და უკვე 128-ე წელიწადია, ტრადიციულად ტარდება. ეს ტურნირი ყველა ჩოგბურთელისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ალბათ, გახსოვთ ჩეხი ივან ლენდლი, რომელსაც "უიმბლდონის" გარდა, დიდი სლემის ყველა ტურნირი ჰქონდა მოგებული. მისი სიტყვებია: "უიმბლდონს" თუ მოიგებ, შეგიძლია, ჩათვალო, რომ ჩოგბურთში ყველაფერს მიაღწიე. და თუ ვერასოდეს მოიგებ, მაშინ, რაც არ უნდა მოიგო, შენი მიღწევები არაფერს ნიშნავს. თუმცა, ეს სიტყვები მან მანამდე წარმოთქვა, სანამ ჩოგბურთს თავს დაანებებდა. რომ სცოდნოდა, ვერასოდეს მოიგებდა "უიმბლდონს", არა მგონია, ასეთი სიტყვები ეთქვა. მოკლედ, რაც არ უნდა ეთქვა ივან ლენდლს, ერთი რამ ცხადია: "უიმბლდონი" ჩოგბურთის მექაა და არა დიდი სლემის მორიგი ტურნირი. "უიმბლდონს" ხომ თავად ინგლისის დედოფალი ესწრება.

შარშანდელი გათამაშება ძალიან საინტერესოდ წარიმართა და, არა მგონია, წლევანდელი რამით ჩამოუვარდეს. შარშან ფედერერ- ფილიპუსისის ფინალურ მატჩს მეც დავესწარი. მართალი გითხრათ, იმდენად გაოცებული ვიყავი შექმნილი ატმოსფეროთი, რომ დღეს ძნელად ვიხსენებ მატჩის ამა თუ იმ მომენტს.

შვეიცარიელმა როჟე ფედერერმა, რომელიც პირველ ნომრად არის განთესილი, უკვე ჩაატარა თავისი შეხვედრა და გაიმარჯვა კიდეც. მისი მეტოქე ბრიტანელი ალექს ბოგდანოვიჩი იყო. ბოგდანოვიჩმა მთელი შეხვედრის განმავლობაში მხოლოდ ექვსი გეიმი მოიგო და მატჩი 3:6, 3:6, 0:6 დათმო. ფედერერი ძალიან კარგ ფორმაშია და, როგორც თვითონ ამბობს, მზადაა, ტიტული დაიცვას. ერთ დროს უძლიერესმა გორან ივანიშევიჩმა, როგორც იქნა, გადალახა პირველი ეტაპი. "როგორც იქნა", იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც ივანიშევიჩმა "უიმბლდონი" მოიგო, ვერც ერთი ასე თუ ისე ხელშესახები წარმატებით ვერ დაიკვეხნის. იუგოსლავიელის მეტოქე რუსი მიხაილ იუჟნი იყო. ივანიშევიჩმა იოლად დაამარცხა რუსი - 6:3, 7:6, 6:2. აღსანიშნავია ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტის გამარჯვება. მან ავსტრიელი იურგენ მელცერი დაამარცხა - 6:2, 6:4, 6:2. საკმაოდ უსიამოვნო ფაქტის წინაშე დგას ჩოგბურთის ქართველი გულშემატკივარი: ირაკლი ლაბაძე პირველ წრეში ბელგიელ კრისტოფ ვლიგენს დაუპირისპირდება. გამარჯვების შემთხვევაში მეორე წრეში მისი მეტოქე იქნება ლეიტონ ჰიუიტი, რომელსაც ბალახის კორტზე თამაში ძალიან კარგად გამოსდის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 2002 წლის "უიმბლდონის" გამარჯვებულია.

იმ დროს, როდესაც პორტუგალიის საფეხბურთო მინდვრებზე საფრანგეთის ეროვნული ნაკრები შვეიცარიის გუნდს აპარტახებდა, "უიმბლდონის" კორტზე ორი ფრანგი დაეჯახა ერთმანეთს. სებასტიან გროსჟანი და ტიერი ასკინე პირველივე წრეში შეხვდნენ. გროსჟანმა იოლად დაამარცხა თანამემამულე - 6:4, 6:2, 6:4. გაიმარჯვა ესპანელმა ხუან კარლოს ფერერომაც, რომელიც შარშანდელი "როლან გაროსის" მოგების შემდეგ ვერა და ვერ ახერხებს მაღალი კლასის ტურნირის მოგებას. ესპანელმა ფრანგი ჟულიენ ბუტე დაამარცხა - 6:4, 7:6, 6:3. ფერერო ბალახზე საერთოდ ვერ თამაშობს და სპეციალისტებმა მისი გამარჯვება სენსაციად არა, მაგრამ მოულოდნელობად კი ჩათვალეს. ტაილანდელმა პარადორნ შრიჩაპხანმა ხორვატ ივო კარლოვიჩთან დათმო. შარშან ტაილანდელი ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელად ითვლებოდა, მაგრამ "უიმბლდონის" შემდეგ ძალიან ცუდად ასპარეზობს. ზოგი ფიქრობს, რომ მან უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები და დროა, სხვა საქმეს მოკიდოს ხელი. ყველაზე საინტერესო გამოდგა შვედ ტომას იოჰანსონისა და გერმანელ ნიკოლას კიფერის მატჩი. ამ შეხვედრაში ხუთივე სეტი ჩატარდა და შვედის გამარჯვებით დასრულდა. იოჰანსონმა პირველი ორი სეტი წააგო, მაგრამ ძალების მობილიზება შეძლო და მატჩში გარდატეხა შეიტანა, რაც მისთვის სასურველ შედეგამდე მიიყვანა. რუსმა მარატ საფინმა თავისი თანამემამულე ტურსუნოვი დაამარცხა. თუ სპეციალისტებს დავუჯერებთ, მარატ საფინი ყველაზე მოულოდნელი შედეგების ავტორი უნდა გახდეს წლევანდელ "უიმბლდონზე". პირველი წრის დარჩენილი შეხვედრები დღეს და ხვალ გაიმართება.

კალათბურთი

# ბექდების მბრძანებლები ისვენებენ, "ლეიკერსი" ინგრევა

სანდრო ნავერიანი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დასრულების შემდეგ კალათბურთელების გაცვლა-გამოცვლა დაიწყო. ორშაბათიდან ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ხმა დაირხა, ტრეისი მაკგრეიდი სტივ ფრენსისზე იცვლებაო. თუ "ორლანდო მეჯიქისა" და "ჰიუსტონ როქეთსის" ხელმძღვანელობას ვენდობით, მაშინ ტიმაკი (ტრეისი მაკგრეიდის მეტსახელია.-რედ.), ჯუვეინ ჰოვარდი და ტაირონ ლიუ სტივ ფრენსისზე, კატინო მობლიზე და კელვინ კატოზე გაიცვლებიან. მაგრამ, ლიგის კანონების გათვალისწინებით, ამ გაცვლას ივლისის ბოლომდე ვერ ვიხილავთ (თუ საერთოდ მოხდა ეს საკალათბურთო ბარტერი). "ტიმაკმა გუნდის დატოვების სურვილი გამოთქვა. ამიტომ ჩვენ ვცდილობთ, მისი გუნდიდან წასვლით რაც შეიძლება მეტი სარგებელი ვნახოთ", - განაცხადა "ორლანდო მეჯიქის" ერთ-ერთმა მენეჯერმა პეტ უილიამსმა. ამასობაში "შარლოტ ბობქეთსი" (ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ახალი, 30-ე გუნდი. ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია მომავალი სეზონიდან ახალი ფორმატით ჩატარდება, ლიგაში ერთი გუნდი დაემატათ.-რედ.) ახლოს არის ცენტრის, ჯაჰიდ უაითის შეძენასთან.

რაც შეეხება "ლოს-ანჯელეს ლეიკერსს", წარუმატებელი სეზონის და ფილ ჯექსონის წასვლის შემდეგ შაკილ ო`ნილმაც გამოთქვა სხვა გუნდში თამაშის სურვილი, თუმცა, ასტრონომიული ჰონორარის გადახდა, რომელსაც შაკი ითხოვს, ძალიან ცოტა კლუბს თუ შეუძლია. "მოგეხსენებათ, მე და შაკი ვცდილობთ, "დალას მავერიქსში" ამოვყოთ თავი, მაგრამ, როგორც დალასური გუნდის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, მათ ჯერ არ დაუწყიათ "ლეიკერსთან" მოლაპარაკება, თუმცა, ვფიქრობ, ისინი ამას გააკეთებენ", - განაცხადა ტრეისი მაკგრეიდიმ. "ლეიკერსი", თავის მხრივ, შაკის სანაცვლოდ დირკ ნოვიცკის მოითხოვს, მაგრამ დალასელები ამჯობინებენ, კალიფორნიაში ანტუან უოკერი და მაიკლ ფინლი გაუშვან. "ნოვიცკი ხელშეუხებელია. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ დირკი "დალასში" დარჩება", - განაცხადა მარკ კუბანმა. ასეთი განცხადებები არაერთხელ გვსმენია და არა მარტო კალათბურთში, მაგრამ მერე ყველაფერს ისევ და ისევ ფული წყვეტს. შესთავაზონ დირკ ნოვიცკიში დიდი ფული და, ვნახავ, თუ არ გაუშვებენ გუნდიდან.

ახლა კი თავად ფილ ჯექსონზე გეტყვით ორიოდე სიტყვას. როგორც ჩანს, "ლეიკერსის" ვარსკვლავური ეპოქა დასასრულს უახლოვდება. ჯექსონმა "დეტროიტთან" მარცხის შემდეგ განაცხადა, რომ ტოვებს კალიფორნიულ კლუბს და საერთოდ დაფიქრებას აპირებს: ღირს კი მწვრთნელის კარიერის გაგრძელება? კაცმა, რომელსაც ასე კარგად გამოსდის თავისი საყვარელი საქმე, ჩემი აზრით, არ უნდა დაანებოს მწვრთნელობას თავი. ეს, ალბათ, ასეც მოხდება. რატომ? ჯექსონს არაერთხელ გამოუაშკარავებია თავისი ამბიციები და უთქვამს: ჩემი ცხოვრების მიზანია, არნოლდ "რედ" აუერბახის რეკორდი გავიმეორო. აუერბახის რეკორდი კი ჩემპიონის თორმეტი ბეჭედია. აქედან ორი, როგორც მენეჯერმა, ისე მიიღო, დანარჩენი ათი კი - მწვრთნელის რანგში. ის ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელია. სწორად მის ხელში განიცადა "ბოსტონ სელტიქსმა" რენესანსის ხანა. მოკლედ, ფილ ჯექსონი წავიდა, მაგრამ დიდი შანსია, რომ მომავალი სეზონიდან რომელიმე სხვა კლუბში ვიხილოთ.

არდადეგებს ყველაზე წყნარად ატარებს "დეტროიტ პისტონსი". ისინი წლეულს ბეჭდების მბრძანებლები გახდნენ. მოგებული სუპერფინალის შემდეგ ლარი ბრაუნი და კომპანია ერთად ისვენებენ. რიპერმა (რიჩარდ ჰამილტონის მეტსახელი.-რედ.) "რკინის ნიღაბი" მოიხსნა და ფიჯის მზეს მიეფიცხა, თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, გაირუჯოს (ჰამილტონი ზანგია). მოკლედ, დეტროიტელები ისვენებენ და, ყველა ტრანსფერთან და გაცვლა-გამოცვლასთან ერთად, ხვალ ნიუ-იორკში, "მედისონ სკვერ გარდენში", შედგება 2004 წლის დრაფტი, რომელზეც 1986 წელს დაბადებული ვიქტორ სანიკიძეც იქნება წარდგენილი. "ორლანდო მეჯიქი" კი, ალბათ, ემეკა ოკაფორს აირჩევს და მომავალი წლიდან, ალბათ, სწორად მისი ფინტების ხილვა მოგვიწევს.

ფორმულა 1

# "შუმის" სამოთხე და ჯოჯოხეთი

გიგა გურასაშვილი



REUTERS

რალფ შუმახერის მანქანა ბორდიურს 300 კმ/სთ სიჩქარით შეეჯახა. ავარიის შემდეგ მანქანა ასე გამოიყურებოდა, მაგრამ პილოტს არაფერი მოსვლია.

ის, რაც ინდიანაპოლისში მოხდა, გულგრილად არავის დატოვებდა. წარმოიდგინეთ 270 კმ.სთ სიჩქარით მქროლავი ბოლიდის შეჯახება ბეტონის ყრუ კედელთან, პილოტის შეგრძნება ამ საშინელი ავარიის დროს... ამ შემთხვევაში ყველაზე მძიმე მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, მრბოლის ოჯახის წევრები და ახლობლები იქნებოდნენ. "უილიამსის" დალეწილი FW26 და რალფ შუმახერი კარგა ხნით ტელეკამერების ცენტრში იყვნენ. ამ დროს მორიგი გამარჯვებისკენ მიმავალმა რალფის ტიტულოვანმა ძმამ საკუთარი "ფერარი" არ დაამუხრუჭა. უფროსი შუმახერის ამგვარი საქციელი სხვადასხვაგვარად აღიქვეს.

Gazzetta delo Sport: "რალფის საშინელმა ავარიამ მაყურებელი გამეხებული დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ ძმაზე წუხდა, მიხაელმა ცივსისხლიანობა შეინარჩუნა".

Tuttosport: "სამოთხე და ჯოჯოხეთი შუმისთვის. ძმის ავარიამ სერიოზულად შეაშფოთა მიხაელი. იოლი არ არის, რბოლა ბოლომდე მიიყვანო, როცა იცი, რომ ძმას საავადმყოფოში მიაქანებენ".

და მაინც, რას გრძნობდა მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი? ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს. მიხაელ შუმახერთან მუდმივ კავშირში იყო "ფერარის" საჯინიბო, რომელიც, თავის მხრივ, უილიამსელებისგან იღებდნენ ცნობებს რალფის მდგომარეობის შესახებ. ერთი სიტყვით, მოწინააღმდეგე ბანაკებმა მეტოქეობა დროებით დაივიწყეს.

რბოლის შემდეგ მიხაელმა თქვა, რომ შოკირებული დარჩა, როცა ძმის დამსხვრეული მანქანა დაინახა.

"ვცდილობდი, გამეგო, თუ რა მოხდა, მაგრამ მარტო მუზარადი დავინახე. რალფს დიდხანს მოუხდა ბოლიდში ჩარჩენა და ამის გამო საშინლად ავღელდი, - საკუთარ განცდებს გვიზიარებს მიხაელ შუმახერი. - მოგვიანებით გუნდიდან მაცნობეს, რომ რალფი დამოუკიდებლად ცდილობდა კოკპიტიდან ამოძრომას. როდესაც ეს შევიტყვე, შვებით ამოვისუნთქე".

რბოლის შემდეგ სავალდებულო პრესკონფერენცია ხანმოკლე გამოდგა, რადგან მიხაეილი და მისი მეუღლე კორინა რალფის მონახულებას ჩქარობდნენ. ახლა კი რალფი, მართალია, დალილავებული, მაგრამ მაინც უკვე შინაა. რაც შეეხება იმას, გამოვა თუ არა საფრანგეთის დიდ პრიზზე, ეს ნაკლებად პერსპექტიულად ჩანს. ყოველ შემთხვევაში, როგორც თავად ამბობს, მანი-კურზე არ ფიქრობს. ორი კვირით დასვენება მინდა, მერე კი ვნახოთ, რა მოხდებაო.

# კონკურსი ევრო 2004

ლიდერთა მდგომარეობა 11 მატჩის შემდეგ და მათი პროგნოზები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქულა | პროგნოზი 12 |
|---|---|---|---|
| 1. | დოლიძე დავით პაატას ძე | 80 | 1:2 |
| 2. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 76 | 1:2 |
| 3. | გიორგობიანი მერაბ რევაზის ძე | 71 | 1:1 |
| 4-7. | დარბინიანი ვოსკან ძე | 70 | 2:1 |
| 4-7. | დიდიძე გიორგი ზურაბის ძე | 70 | 1:2 |
| 4-7. | რობაქიძე ოთარ მურმანის ძე | 70 | 1:1 |
| 4-7. | ჯინჭარაძე ნიკა გიორგის ძე | 70 | 1:1 |
| 8-9. | მუმლაძე მარეხ შოთას ასული | 69 | 2:0 |
| 8-9. | ნიკოლაიშვილი ალექსი ზურაბის ძე | 69 | 1:1 |
| 10. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | 66 | 1:1 |
| 11-22. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 65 | 1:1 |
| 11-22. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 65 | 2:1 |
| 11-22. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | 65 | 1:0 |
| 11-22. | გეთიაშვილი გიორგი გოჩას ძე | 65 | 1:0 |
| 11-22. | თავბერიძე ზურა კახის ძე | 65 | 1:1 |
| 11-22. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | 65 | 0:1 |
| 11-22. | კახელიშვილი მამუკა ნოდარის ძე | 65 | 2:1 |
| 11-22. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 65 | 1:0 |
| 11-22. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 65 | 0:1 |
| 11-22. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 65 | 2:1 |
| 11-22. | ნიკოლაიშვილი ალექსი ზურაბის ძე | 65 | 1:0 |
| 11-22. | ჯიბლაძე ნიკოლოზ ლერის ძე | 65 | 1:2 |
| 23-31. | გირკელიძე არჩილ ვალერის ძე | 64 | 3:1 |
| 23-31. | დავითულიანი გიორგი როლანდის ძე | 64 | 2:1 |
| 23-31. | ელბაქიძე ლია ივანეს ასული | 64 | 0:0 |
| 23-31. | იმნაიშვილი არჩილ ვაჟას ძე | 64 | 1:2 |
| 23-31. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 64 | 0:1 |
| 23-31. | ფაცია გიორგი მურმანის ძე | 64 | 0:0 |
| 23-31. | ქაჯაია ლევან კარლოს ძე | 64 | 0:0 |
| 23-31. | ჩუბინიძე მერაბ ვლადიმერის ძე | 64 | 0:2 |
| 23-31. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | 64 | 1:2 |
| 33-35. | დანელია არველოდ ილიას ძე | 63 | 2:1 |
| 33-35. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 60 | 1:2 |
| 33-35. | გელენავა გიორგი ზაურის ძე | 60 | 2:1 |
| 33-35. | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | 60 | 0:2 |
| 36-73. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 59 | 1:0 |
| 36-73. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 59 | 1:2 |
| 36-73. | ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე | 59 | 1:1 |
| 36-73. | ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე | 59 | 1:2 |
| 36-73. | ახვლედიანი ვასილ ვასილის ძე | 59 | 1:1 |
| 36-73. | ბაქრაძე ბესარიონ გიორგის ძე | 59 | 1:2 |
| 36-73. | ბიგვავა მიხეილ გურამის ძე | 59 | 2:1 |
| 36-73. | გარაყანიძე გოდერძი უშანგის ძე | 59 | 2:2 |
| 36-73. | გელაშვილი ზურა ვაჟას ძე | 59 | 2:2 |
| 36-73. | გელაძე გელა ტარიელის ძე | 59 | 1:2 |
| 36-73. | გრიშაშვილი მამუკა იურის ძე | 59 | 2:1 |
| 36-73. | გულისაშვილი ლევან სოლომონის ძე | 59 | 2:1 |
| 36-73. | ზილფიმიანი ლევან დავითის ძე | 59 | 0:0 |
| 36-73. | ზურაბიანი დათო ნოდარის ძე | 59 | 2:0 |
| 36-73. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | 59 | 1:1 |
| 36-73. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | 59 | 0:0 |
| 36-73. | ლაგვილავა ედემ ტერენტის ძე | 59 | 1:2 |
| 36-73. | მატარაძე ლევან მამუკას ძე | 59 | 2:1 |
| 36-73. | მატარაძე ოთარ მამუკას ძე | 59 | 1:0 |
| 36-73. | მაწარაშვილი ელგუჯა ზაალის ძე | 59 | 2:0 |
| 36-73. | მელაშვილი დავით დიმიტრის ძე | 59 | 3:2 |
| 36-73. | მესხელი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე | 59 | 2:1 |
| 36-73. | მუმლაძე ლეგა ბახვას ძე | 59 | 2:1 |
| 36-73. | ნამჩევაძე ბადრი გურამის ძე | 59 | 1:1 |
| 36-73. | ნაცვლიშვილი შოთა ოთარის ძე | 59 | 2:1 |
| 36-73. | ნიკოლაიშვილი ალექსი ზურაბის ძე | 59 | 0:0 |
| 36-73. | ნიქაბაძე ალექსანდრე თამაზის ძე | 59 | 1:1 |
| 36-73. | ონიანი დავით როლანდის ძე | 59 | 1:1 |
| 36-73. | სიმონიშვილი ვასილ თეიმურაზის ძე | 59 | 2:1 |
| 36-73. | ქებულაძე თამაზ ვარლამის ძე | 59 | 2:0 |
| 36-73. | ჩაკვეტაძე ნინო ემზარის ასული | 59 | 3:1 |
| 36-73. | ჩინჩალაძე ლევან ალექსანდრეს ძე | 59 | 2:1 |
| 36-73. | ცინცაძე ნელი გენოს ასული | 59 | 1:1 |
| 36-73. | ძაძამია ლაშა მირიანის ძე | 59 | 1:0 |
| 36-73. | წულუკიძე როსტომ ზურაბის ძე | 59 | 1:2 |
| 36-73. | ხახუტაიშვილი თენგო შუქრის ძე | 59 | 1:1 |
| 36-73. | ხვედელიანი ირაკლი მიხეილის ძე | 59 | 0:2 |
| 36-73. | ჯამბურია ლევან გივის ძე | 59 | 1:2 |
| 74-90. | ალბუთაშვილი გიორგი ელგუჯას ძე | 58 | 2:3 |
| 74-90. | გეგეჭკორი შალვა ალექსანდრეს ძე | 58 | 1:1 |
| 74-90. | გრიგოლაშვილი ვალერი ილიას ძე | 58 | 1:2 |
| 74-90. | დათეშიძე ამირან აბესალომის ძე | 58 | 1:0 |
| 74-90. | კალმახელიძე აკაკი დავითის ძე | 58 | 2:3 |
| 74-90. | მინაშვილი ავთანდილ ბენოს ძე | 58 | 1:0 |
| 74-90. | მირიანაშვილი მიხეილ გიორგის ძე | 58 | 2:1 |
| 74-90. | რობაქიძე ოთარ მურმანის ძე | 58 | 3:2 |
| 74-90. | სანაკოევი რუსლან ალექსანდრეს ძე | 58 | 1:1 |
| 74-90. | ფილია ვიქტორ ანზორის ძე | 58 | 2:3 |
| 74-90. | ქურციკიძე დავით თამაზის ძე | 58 | 1:2 |
| 74-90. | ყირიმლიშვილი ჯაბა ელგუჯას ძე | 58 | 1:0 |
| 74-90. | ჩაჩანიძე არჩილ ტიტეს ძე | 58 | 1:2 |
| 74-90. | ჩიტაიშვილი გიორგი თომას ძე | 58 | 0:0 |
| 74-90. | ცუცქირიძე თეიმურაზ გიორგის ძე | 58 | 2:2 |
| 74-90. | ხუროშვილი გიორგი გელას ძე | 58 | 1:2 |
| 74-90. | ჯაყელი ანრი გიორგის ძე | 58 | 1:0 |
| 91-93. | გუსეინოვი თემურ ჰამლეტის ძე | 57 | 1:2 |
| 91-93. | ნოზაძე გრიგოლ თამაზის ძე | 57 | 1:1 |
| 91-93. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | 57 | 1:2 |
| 94-121. | ადიკაშვილი დანიელ დავითის ძე | 54 | 2:0 |
| 94-121. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 54 | 1:1 |
| 94-121. | ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე | 54 | 1:1 |
| 94-121. | ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე | 54 | 1:1 |
| 94-121. | ბაქრაძე ბესარიონ გიორგის ძე | 54 | 1:2 |
| 94-121. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | 54 | 1:2 |
| 94-121. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | 54 | 0:1 |
| 94-121. | გარაყანიძე გოდერძი უშანგის ძე | 54 | 0:1 |
| 94-121. | გიორგაძე ჟორა აკაკის ძე | 54 | 1:1 |
| 94-121. | გრიშაშვილი მამუკა იურის ძე | 54 | 1:1 |
| 94-121. | დოხნაძე გიორგი ტუგოს ძე | 54 | 1:1 |
| 94-121. | ზაზაშვილი ზურაბ ბეჟანის ძე | 54 | 1:1 |
| 94-121. | იმნაიშვილი ია ზაზას ასული | 54 | 1:1 |
| 94-121. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | 54 | 1:0 |
| 94-121. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | 54 | 0:1 |
| 94-121. | კალანდაძე ბადრი გივის ძე | 54 | 2:1 |
| 94-121. | ლაგვილავა ედემ ტერენტის ძე | 54 | 1:1 |
| 94-121. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 54 | 1:1 |
| 94-121. | მახვილაძე რევაზ ომარის ძე | 54 | 0:1 |
| 94-121. | მესხელი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე | 54 | 2:0 |
| 94-121. | მიროტაძე დავით ჯუმბერის ძე | 54 | 0:1 |
| 94-121. | ნადირაშვილი ავთანდილ ნიკოლოზის ძე | 54 | 1:0 |
| 94-121. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | 54 | 2:2 |
| 94-121. | ქავთარაძე გივი ილიას ძე | 54 | 0:1 |
| 94-121. | ცაგარეიშვილი ზაურ აკაკის ძე | 54 | 3:0 |
| 94-121. | წიკლაური თამაზ ალექსანდრეს ძე | 54 | 0:1 |
| 94-121. | ხარხელაური ვლადიმერ ლევანის ძე | 54 | 2:2 |
| 94-121. | ხაჩკალიანი გარიკ გიორგის ძე | 54 | 2:1 |

# გენური ინჟინერია კიბოს წინააღმდეგ

ადამიანის ორგანიზმის გენეტიკის შესწავლას კაცობრიობა მისი არსებობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე სენის, ავთვისებიანი სიმსივნის განკურნებისკენ მიჰყავს. დღეისათვის მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები ინტენსიურად სწავლობენ კიბოზე გენეტიკურ ცვლილებათა მეშვეობით ზემოქმედების პროცესს და, როგორც ჩანს, ცოტა ხანში საბოლოო მიზანსაც მიაღწევენ. თანაც, ერთბაშად მკურნალობის რამდენიმე მექანიზმი მუშავდება და ყველა მათგანს დიდი პერსპექტივა აქვს.

ივნისის დასაწყისში, აშშ-ის ქალაქი ნიუ ორლეანი მასპინძლობდა აშშ-ის კლინიკური ონკოლოგიის საზოგადოების ყოველწლიურ შეკრებას, რომელზეც ამერიკისა და ბრიტანეთის სამეცნიერო ჯგუფებმა და ფარმაცევტულმა კომპანიებმა თავიანთი ნამუშევრები გააცნეს კოლეგებს. მათი უმეტესობა კიბოს ტრადიციული მკურნალობისგან განსხვავდება და გაცილებით ეფექტურია ქიმიოთერაპიასთან შედარებით. მათგან ყველაზე საინტერესოებს ჩვენს მკითხველსაც გავაცნობთ.




*გენეტიკურად მოდიფიცირებული ვირუსით ფილტვის კიბოს მკურნალობის სქემა*

## გენეტიკურად მოდიფიცირებული ვირუსი

ლონდონის კიბოს კვლევის ცენტრის "ქვინ მერის" სამედიცინო სკოლის მკვლევარებმა კიბოსთან ბრძოლის საინტერესო და მეტად ქმედითი მექანიზმი შეიმუშავეს – მათ მიერ გენეტიკურად მოდიფიცირებული ვირუსი აავადებს და თვითმკვლელობას აიძულებს სიმსივნურ უჯრედებს და ხელუხლებლად ტოვებს ჯანმრთელ უჯრედებს.

საერთოდ, ვირუსი ორგანიზმში მას შემდეგ ვრცელდება, რაც გაივლის "შემოწმებას" იმუნური სისტემის მიერ და თუ მის "მოტყუებას" შეძლებს, ჯანმრთელ უჯრედებს მოედება. ჩვეულებრივ, უცხო სხეულის აღმოჩენას მოსდევს პროცესი, რომელსაც აპოპტოსისს უწოდებენ. ამ პროცესის დროს, ვირუსით ინფიცირებული უჯრედი თვითმკვლელობით ასრულებს არსებობას და ამგვარად უშლის ხელს ვირუსის გავრცელებას. თუმცა, ვირუსებსაც აქვთ ამგვარი ქმედების საწინააღმდეგო პასუხი – მათ შეიძლება გააჩნდეთ გენი, რომლის საშუალებითაც იმუნურ სისტემას "დაემალებიან", რასაც შედეგად ის მოსდევს, რომ ინფიცირებული უჯრედები აღარ "იკლავენ თავს" და ვირუსსაც გავრცელების საშუალება ეძლევა. იწყება ინფექცია.

ბრიტანელმა მკვლევარებმა სწორედ ამგვარი გენი მოაშორეს ჩვეულებრივ ადენოვირუსს (გრიპის ვირუსს). შედეგად, იგი მაშინვე დააფიქსირეს ჯანმრთელმა უჯრედებმა და გავრცელების საშუალება არ მისცეს. სამაგიეროდ, კიბოს უჯრედებში, რომლებიც უკონტროლოდ მრავლდებიან და იგნორირებას უკეთებენ აპოპტოსისის პროცესს, ვირუსმა არამხოლოდ შეაღწია, არამედ გამრავლებისთვის შესანიშნავი პლაცდარმიც მიიღო. შედეგად, ვირუსი განვითარდა და წარმოუდგენელი სისწრაფით გამრავლდა, რამაც სასიკვდილოდ იმოქმედა კიბოს უჯრედებზე, რომლებიც აფეთქებით ასრულებდნენ სიცოცხლეს.

"ჩვენი სტრატეგიის მიგნების სიდიადე იმაში მდგომარეობს, რომ კიბოს უჯრედების განადგურებაში თავად ისინი ასრულებენ მთავარ სამუშაოს. ვირუსის გამრავლების პროცესში უცხო სხეულები სიმსივნური უჯრედების სულ უფრო მეტ მეზობელს აავადებენ, მაგრამ თუ ამ დროს მათ გზაზე ნორმალური უჯრედი შეხვდებათ, ის მაშინვე "იკლავს თავს" და ამით, ვირუსს ჯანმრთელი უჯრედების დასნებოვნების საშუალებას უსპობს", - ამბობს გაერთიანებული სამეფოს კიბოს კვლევის კლინიკური ცენტრის დირექტორი და მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელი ნიკ ლემონი.

რაც შეეხება გენს, რომელიც მკვლევარებმა ადენოვირუსს მოაშორეს, მას E1B-19kD ეწოდება. ამ გენის მოშორებამ, გარდა იმისა, რომ ვირუსს "ნიღაბი" ჩამოაშორა, კიდევ ერთი, მოულოდნელი და საინტერესო ეფექტი გამოავლინა – გენის გარეშე ვირუსების გამრავლების პროცესი ჩვეულებრივთან შედარებით შენელდა, რამაც კიბოს უჯრედების უფრო ინტენსიური განადგურება გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ მეცნიერებს მანამდე არაერთი მოდიფიცირებული ვირუსი გამოუცდიათ, მაგრამ მათში მსგავსი ეფექტები არ დაფიქსირებულა.

ბრიტანელებმა მოდიფიცირებული ვირუსის მოქმედება საცდელ სინჯარებში მოთავსებულ ფილტვის, ღვიძლის, პანკრეატისა და სხვა სახის კიბოს უჯრედებსა და საცდელ თაგვებზე გამოსცადეს და შესანიშნავი შედეგები მიიღეს. ახლა ჯერი ადამიანებზეა და ლონდონელი მეცნიერებიც კლინიკურ გამოცდებს მომავალი წლის დასაწყისიდანვე შეუდგებიან.

"აქამდე ჩატარებულმა ტესტებმა შესანიშნავი შედეგი გვიჩვენეს, თუმცა მხოლოდ კლინიკური ცდების შემდეგ თუ შევძლებთ იმის გარკვევას, თუ რამდენად ეფექტური იქნება ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდი ადამიანებში", - ამბობს გაერთიანებული სამეფოს კიბოს კვლევის ცენტრის კლინიკური გამოკვლევების განყოფილების დირექტორი რობერტ სუჰამი.

ლემონი კი ირწმუნება, რომ მოდიფიცირებულ ვირუსზე შესაძლებელი იქნება სპეციალური, კიბოს უჯრედების საწინააღმდეგო "იარაღის", ერთგვარი გენების მიბმა, რომლებიც კიბოს უჯრედებისთვის მომაკვდინებელ ტოქსინებს გამოიმუშავებენ და ამგვარად შეძლებენ დაავადებულ უჯრედებთან ბრძოლას.

"ის ფაქტი, რომ ჩვენ შევძელით ვირუსისგან ჩვენთვის არასასურველი გენის მოშორება, იმის მანიშნებელია, რომ ასევე შესაძლებელი იქნება, მასთან სხვა გენის მიბმა, რომლის საშუალებათაც ჩვენ კიბოსთან ეფექტურ ბრძოლას შევძლებთ", - ამბობს ლემონი.

## სისხლს კიბოსთან ბრძოლა ასწავლეს

ბრიტანელმა მკვლევარებმა შეიმუშავეს კიბოსთან ბრძოლის ახალი ტექნიკა, რომელიც სისხლის თეთრი ბურთულების ეფექტურ, დანიშნულებისამებრ გამოყენებაზეა დამყარებული.

გაერთიანებული სამეფოს კიბოს კვლევის მანჩესტერში მდებარე პატერსონის ინსტიტუტის მკვლევარებმა ადამიანის იმუნური სისტემის თავდაცვის "წინა ხაზის მებრძოლებს", ეგრეთ წოდებულ T-უჯრედებს გენეტიკური მოდიფიკაცია ჩაუტარეს, რის შემდეგაც მათ საკვლევ სინჯარაში მთლიანად მოსპეს დაავადებული უჯრედები.

აღსანიშნავია, რომ დაავადებული უჯრედებიც და სისხლის უჯრედებიც ნაწლავების კიბოთი დაავადებულ პაციენტთა ორგანიზმიდან იყო აღებული და უკლებლივ ყველა ექსპერიმენტში ასპროცენტიანი დადებითი შედეგი იქნა მიღებული. როგორც მკვლევართა ჯგუფის ერთ-ერთი წამყვანი წევრი რობერტ ჰოკინსი ამბობს, ექსპერიმენტების შედეგები იმდენად დადებითია, რომ მომავალი წლიდან ისინი უშუალოდ ადამიანებზე ჩატარდება.

ექსპერიმენტისთვის დაგეგმილია ნაწლავის კიბოს ბოლო სტადიაში მყოფი 30 პაციენტის შერჩევა. მათი ორგანიზმიდან აიღებენ სისხლის თეთრ უჯრედებს, რომლებიც გენეტიკური მოდიფიკაციის შემდეგ, ინექციის სახით დაუბრუნდებათ პაციენტებს. ნაწლავის კიბო ერთ-ერთი გავრცელებული ფატალური დაავადებაა როგორც ევროპაში, ასევე აშშ-ში – ორივეგან ამ საშინელ დიაგნოზს ყოველწლიურად 300 ათას ადამიანს უსვამენ, მარტო ბრიტანეთში კი ნაწლავის კიბო ყოველწლიურად 16 ათას ადამიანს უსწრაფავს სიცოცხლეს.

საერთოდ, ადამიანის იმუნური სისტემა ეფექტურად ებრძვის ბევრ დაავადებას, რადგან იგი ახერხებს უცხო სხეულების (ბაქტერიები, ვირუსები) ამოცნობას. მაგრამ რამდენადაც კიბოს უჯრედები ფაქტობრივად პაციენტის ჯანმრთელი უჯრედების სახეშეცვლილ, "მატყუარა" ვერსიებს წარმოადგენენ, იმუნური სისტემა ვერ აღიქვამს მათ, როგორც სახიფათოს და, აქედან გამომდინარე, მათ არც ებრძვის.

"მთავარი, რაც ჩვენ შევძელით, ისაა, რომ პაციენტის იმუნურ სისტემას მივაწოდეთ ის საჭირო "ეკიპირება", რისი საშუალებითაც პაციენტის ორგანიზმი ახერხებს სიმსივნური უჯრედების იდენტფიცირებას, აღმოჩენასა და განადგურებას. ამ ეკიპირებით, ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ იმუნური სისტემა მთელ თავის უნარსა და ძალას იყენებს კიბოს წინააღმდეგ", - ამბობს ჰოკინსი.

ჰოკინსმა და მისმა კოლეგებმა ნაწლავის კიბოს ბოლო სტადიით დაავადებული ათი პაციენტისგან აიღეს სისხლის ნიმუშები, რომელთაგანაც მოხდა T-ლიმფოციტების იზოლირება. მეორე ეტაპზე, ამ ლიმფოციტებს ჩაუტარდათ გენეტიკური მოდიფიცირება – მათ მიუერთეს გენი, რომელიც აწარმოებს სპეციფიკურ ანტისხეულს. ამ ანტისხეულს შეუძლია იმ სპეციფიკური მოლეკულების აღმოჩენა, რომლებიც ნაწლავის კიბოს უჯრედების ზედაპირზე არსებობენ.

აღნიშნული ანტისხეულის მეშვეობით, T-ლიმფოციტები ახერხებენ კიბოვან უჯრედებზე მიბმას, რის შემდეგაც იწყება პროცესი, რომელსაც მოდიფიცირებული T-ლიმფოციტების ეგრეთ წოდებულ "მკვლელ უჯრედებად" გარდაქმა მოსდევს. ეს "მკვლელები" გამოყოფენ მოლეკულა პერფორინს, რომელიც კიბოს უჯრედების კედლებზე სპეციფიკურ ხვრელებს აჩენს. გარდა ამისა, "მკვლელები" გამოყოფენ ციტოკინებს, ეგრეთ წოდებულ ქიმიურ მაუწყებლებს, რომლებიც იმუნური სისტემის სხვა "მკვლელებსაც" გადასცემენ მოპოვებულ ინფორმაციას და მათ ბრძოლაში აბამენ.

ჰოკინსი ამბობს, რომ მისი ჯგუფის მიერ შემუშავებული ტექნიკა იმითაცაა გამორჩეული, რომ კიბოსთან ბრძოლის პროცესში, პაციენტის ორგანიზმი დიდი რაოდენობით გამოიმუშავებს თეთრი სისხლის უჯრედებს. "ჩვენ პაციენტისგან დაახლოებით 10 მილიონ უჯრედს (თეთრი სისხლის) ვიღებდით, რის შემდეგაც მათი რაოდენობა სნჯარაში 10 მილიარდამდე იზრდებოდა და ამ რაოდენობით ბრუნდებოდა პაციენტის ორგანიზმში", - ამბობს ჰოკინსი.

## უკვდავების საიდუმლო კიბოს წინააღმდეგ

ბრიტანელმა მკვლევარებმა მიაგნეს სისტემას, რომლის მეშვეობითაც ცოცხალი ორგანიზმის უჯრედები დროის მაოხარი მოქმედების განეიტრალებას და არსებობის გახანგრძლივებას შეძლებენ. იგივე მექანიზმი ახსნას უძებნის იმ ფაქტს, თუ როგორ ხდება, რომ კიბოს უჯრედები თითქმის უკვდავნი არიან და ადამიანის დაღუპვამდე ცოცხლობენ. იმავე აღმოჩენის მეშვეობით, ექსპერიმენტის დროს, მკვლევარებმა ათიდან მინიმუმ ერთი სიმსივნე მოსპეს.

ცდების დროს, მეცნიერები უჯრედების ქრომოსომების კუდზე აბამდნენ ერთგვარ დამცავ ბუნიკებს, რომელთა მეშვეობითაც, აღნიშნული უჯრედები დაცულნი იყვნენ დაზიანებისგან და დაბერებისგან. ექსპერიმენტებს ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს კიბოს კვლევის ცენტრში მომუშავე საერთაშორისო ჯგუფი აწარმოებდა.

რამდენიმეწლიანი ექსპერიმენტების დროს მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ კიბოს უჯრედების დაახლოებით 10 პროცენტი სწორედ ამ "ბუნიკურ" სისტემას იყენებს და მისი მეშვეობით, ჩვეულებრივ უჯრედებთან შედარებით გაცილებით დიდხანს ცოცხლობს.

აღმოჩენის მთავარი ელემენტია მოლეკულა სახელად RAD51D, რომელიც უჯრედის დნმ-ს დაზიანებისგან იცავს. გარდა ამისა, მოლეკულა ქრომოსომების დამცველ დაბოლოებებს მათგან მოშორების საშუალებას არ აძლევს, რასაც შედეგად უჯრედის დაბერება და სიკვდილი მოსდევს. რამდენადაც დამცავი დაბოლოება ქრომოსომაზე რჩება, უჯრედის არსებობის ნორმალური ციკლი იცვლება და ისინი უფრო ხანგრძლივად ცოცხლობენ.

"კიბოს უჯრედებს საოცარი თვისება გააჩნიათ – მათთვის არ არსებობს არც დაბერება და არც სიკვდილი. ისინი თითქმის უკვდავნი არიან და ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ამ ავადმყოფობის მკურნალობა ძალიან ძნელია. იმის გარკვევას, თუ როგორ ახერხებენ კიბოს უჯრედები სამუდამო ახალგაზრდობის შენარჩუნებას, ჩვენ თითქმის ათი წელი შევალიეთ და ჩვენს მიერ გაკეთებული აღმოჩენა ამ შრომის ლოგიკური შედეგია", - ამბობს გაერთიანებული სამეფოს კიბოს კვლევის ლონდონის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი მადალენა ტარსუნასი.

ქრომოსომების დაბოლოებებზე მიმდევრობითაა განლაგებული დნმ-ები, ანუ ტელომერები. ესენი უზრუნველყოფენ ქრომოსომების სტრუქტურის მუდმივობას და სტაბილურობას და მათი არსებობის პროცესში, უჯრედების გამრავლების პარალელრად, იყოფიან და მრავლდებიან. გამრავლებას ამ ტელომერების დამოკლება მოჰყვება და ბოლოს, ისინი იმდენად მოკლდებიან, რომ ფუნქციას ვეღარ ასრულებენ და იწყება უჯრედების დაბერების პროცესი, რასაც საბოლოოდ მათი სიკვდილი მოსდევს. ამ ბუნებრივ პროცესს კიბოს უჯრედში რაღაცა ბლოკირებას უკეთებს, რის გამოც ავადმყოფი უჯრედები დაუსრულებლად იყოფიან და მრავლდებიან.

ტარსუნასმა და მისმა ჯგუფმა იმუნოფლუოროესცენციის საშუალებით კიბოს უამრავი უჯრედი გასინჯა და ყველაში მოლეკულა RAD51D-ს მიაგნო. შემდეგ მათ გამოიყენეს ტექნიკა სახელწოდებით რნმ-ს ინტერფერენცია, რითაც მოხდა მოლეკულის ბლოკირება, ამან კი საგრძნობი ზიანი მიაყენა კიბოს უჯრედებს, რომელთა უმეტესობაც შვიდი დღის განმავლობაში განადგურდა.

# კოსმოსური ტურიზმის ერის დასაწყისი

2004 წლის 21 ივნისს, კაცობრიობის ისტორიაში პირველად განხორციელდა კერძო კომპანიის მიერ დამზადებული აპარატის გაფრენა კოსმოსში – კერძო აეროკსმოსური კომპანია "სქეილდ კომპოზიტის" მიერ შექმნილმა კოსმოსურმა ხომალდმა "სპეისშიპვან", მზიდ თვითმფრინავ "უაით ნაითის" მეშვეობით, პირველივე ცაზე შეძლო კოსმოსში პილოტის, 63 წლის მაიკლ მელვილის გაყვანა, თუმცა კონკურს "ანსარი X პრაიზის" პირველი პირობის შესრულებამდე – პილოტის ხმელეთიდან 100 კილომეტრის სიმაღლეზე აყვანამდე ცოტა დააკლდა.

"სპეისშიპვანის" გაფრენამ დასაბამი დაუდო კოსმოსური ტურიზმის ერას, თუმცა პირველი გაფრენა როდი ნიშნავს იმას, რომ "სქეილდ კომპოზიტმა" და მისმა პატრონმა ბერტ რუტანმა კონკურსში გამარჯვებაც მოიპოვეს - "ანსარი X პრაიზის" ერთ-ერთი მთავარი პირობა ისაა, რომ 100 კილომეტრის სიმაღლემდე პირველ წარმატებულ გაფრენას ორი კვირის განმავლობაში მეორე ანალოგიური აქცია უნდა მოჰყვეს. ჯერჯერობით, ამ ორი პირობიდან არცერთი არაა შესრულებული - ეს მხოლოდ საცდელი გაფრენა იყო, რომელსაც უწონობამდე უნდა აეყვანა პილოტი.

კომპანია "სქეილდ კომპოზიტი" სახელგანთქმულ ავიაკონსტრუქტორ ბერტ რუტანს ეკუთვნის, რომელმაც სახელი გაითქვა იმით, რომ მის მიერ შექმნილმა თვითმფრინავებმა რამდენიმე რეკორდი გააუმჯობესეს ხანგრძლივ ფრენაში.

კონკურსის მთავარი ჯილდო, 10 მილიონი დოლარი, არაფერია იმ დანახარჯებთან შედარებით, რაც "სქეილდ კომპოზიტმა" გასწია – ზოგიერთი მონაცემებით, კონკუცრსში მონაწილეთა უმეტესობის ხარჯმა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გადააბიჯა 50 მილიონიან ზღვარს. მათთვის მთავარი პრიზის მოპოვება კი არა, თვისობრივად ახალი ტიპის ბიზნესის პიონერობაა, რომელიც მომავალში ამ საქმით დაკავებულ საქმიან ადამიანებს მილიარდობით დოლარის მოგებას მოუტანს.

ისტორიული გაფრენა კალიფორნიის მოხავეს უდაბნოში მდებარე ბაზიდან განხორციელდა. აერონავტიკისა და კოსმოსური კვლევის ეროვნული ადმინისტრაციის (NASA) ხელმძღვანელობა იმდენად აღაფრთოვანა რუტანის კომპანიის მიღწევამ, რომ უკვე გამოითქვა სურვილი იმისა, რომ "ანსარი X პრაიზის" გამარჯვებულს 30 მილიონი დოლარი გადაეცეს და კონკურსიც ყოველწლიური გახდეს, რათა მან კოსმოსური კვლევის დარგში კერძო ბიზნესი მიიზიდოს. ცნობისათვის, NASA-ს წლევანდელი ბიუჯეტი 16.2 მილიარდ დოლარს შეადგენს და ეს მაინც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ აშშ-მ წელსვე განაახლოს მრავალჯერად კოსმოსურ ხომალდ "შატლის" ფრენები.




*63 წლის სამხრეთაფრიკელ მაიკლ მელვილი პირველია ვინც კოსმოსში კერძო კომპანიის მიერ შექმნილი აპარატით გაფრინდა*

რაც შეეხება უშუალოდ გაფრენას, მისი განხორციელებისას გარკვეული პრობლემები შეიქმნა – ხომალდი 22 მილით ასცდა ტრაექტორიას და სწორედ ამის გამო დააკლდა თითქმის 10 კილომეტრი საკონკურო 100 კილომეტრამდე. ფრენის დროს "სპეისშიპვანის" მაქსიმალურმა სიჩქარემ 3 მახზე (ბგერის სიჩქარე) მეტი შეადგინა.

ფრენის შემდეგ მელვილმა განაცხადა, რომ კოსმოსის ზღვარზე ძრავის მხრიდან ძლიერი დარტყმის ხმა გაიგონა. რუტანის თქმით, პროგრამის განხორციელების რამდენიმე წლის განმავლობაში, ეს ყველაზე სერიოზული პრობლემა იყო, რომლის მიზეზიც ჯერ აღმოჩენილი არ არის.

"იმის სიტყვებით გადმოცემა, რაც მე ვნახე და შევიგრძენი, შეუძლებელია. ყოველივე უამრავჯერ მქონდა მოსმენილი, მაგრამ ამას ჩვეულებრივ ამბად აღვიქვამდი. მაგრამ გარწმუნებთ, სულ სხვაა, როცა უწონადობას საკუთარ თავზე გამოსცდი, ჩვენ პლანეტას კი კოსმოსიდან გადმოხედავ. მსგავსი სიამოვნება მანამდე არასოდეს მიგრძვნია, მსგავსი სილამაზე მანამდე არსად მინახავს. პლანეტას რომ გადმოვხედე, მეგონა ღმერთს შევეხე", - განაცხადა მელვილმა.

რუტანმა კი განაცხადა, რომ სანამ კონკურსის პირობების შესრულებას შეუდგებოდეს, მის კომპანიას კიდევ ბევრი სამუშაო ელის და, შესაძლოა, კიდევ ერთი საცდელი პილოტირებული გაფრენა განახორციელოს.

# "როსეტას" პირველი აღმოჩენა



*როზეტას პირველ გამოღვიძებას აღმოჩენა მოჰყვა*

ევროპულმა კოსმოსურმა ზონდმა "როსეტამ", რომელიც მარტში გაუშვეს საფრანგეთის გვიანაში მდებარე კოსმოდრომ კურუდან, პირველი გამოკვლევა ჩაატარა და საინტერესო აღმოჩენაც გააკეთა – კომეტა "ლინეარის" ატმოსფეროში წყლის მოლეკულები დააფიქსირა.

ევროპული კოსმოსური სააგენტოს ინფორმაციით, "როსეტამ" დიდხანს იფრინა კომეტის კურსის პარალელურად და ამ დროს დაწვრილებით შეისწავლა მისი ატმოსფერო. ამ ოპერაციის ჩასატარებლად, 30 აპრილს ზონდის აპარატურა "გამოაღვიძეს" (ფრენის დროს აპარატურა "მიძინებულია", რითაც იზოგება ძვირფასი ენერგია). კომეტის ბირთვისა და კუდის შესასწავლად ზონდმა გამოიყენა მასზე არსებული ფოტოოპტიკა, სპექტროგრაფი და აპარატი "ოზირისი", რომელიც ინფრაწითელ დიაპაზონში მუშაობს. ყველა ამ მოწყობილობისგან მიღებული მონაცემების გადამუშავების შემდეგ აღმოჩნდა, რომ კომეტის გარემომცველი გაუხშოებული ატმოსფერო შეიცავს წყლის მოლეკულებს. სპეციალისტების შეფასებით, კომეტაზე ჩატარებული დაკვირვების დროს გამოჩნდა, რომ ზონდზე არსებული აპარატურა შესანიშნავად მუშაობს.

რაც შეეხება კომეტა "ლინეარს" იგი პირველად და უკანასკნელად ეწვია მზის სისტემას. აპრილში მან ჩვენს პლანეტას იმდენად ახლოს ჩაუქროლა, რომ დედამიწიდან მისი შეუიარაღებელი თვალით დანახვაც კი შეიძლებოდა.

"როსეტა" კომეტას კიდევ ცოტა ხანს გააცილებს, შემდეგ კი ფრენას საკუთარი ტრაექტორიით განაგრძობს. მისი მისია 2014 წლიდან ჩურიუმოვ-გერასიმენკოს კომეტის დაწვრილებით შესწავლას ითვალისწინებს. ათი წლის შემდეგ ამ კომეტის ბირთვზე დაჯდება "როსეტადან" გაშვებული აპარატი, რომელიც აღჭურვილია საბურღი მოწყობილობით, სპექტრომეტრით და სხვა აპარატურით, რომელთა მეშვეობითაც გამოიკვლევს კომეტის ბირთვის შემადგენლობას. სინჯებიდან შეგროვებული მონაცემები პირველ რიგში "როსეტას" გადაეცემა, რომელიც მათ მოგვიანებით მისიის მართვის ცენრტს გადასცემს.

სანამ ჩურიუმოვ-გერასიმენკოს კომეტამდე მიაღწევდეს, "როსეტას" კიდევ ორი გამოღვიძება ელის 2008 და 2010 წლებში, როცა ის მზის სისტემის ორ დიდ ასტეროიდს, ლუტეციასა და შტაინს ჩაუქროლებს. ეს ასტეროიდები ეგრეთ წოდებულ "ასტეროიდთა სარტყელში" მოძრაობენ, რომელიც მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის მდებარეობს.

# ორიგინალურ(ებ)ი

სანდრო ნავერიანი

## 202

ერთ მშვენიერ დღეს და მოწყენილ საღამოს ტელევიზორს ჩავუჯექი, კერძოდ 202-ს. ალბათ, უკვე ყველამ კარგად იცით გადაცემა "დებატები 202-ზე", რომელიც თავისი ორიგინალური წამყვანებით, დიალოგის და დისკუსიის სტილით გამოირჩევა სხვა დანარჩენი თოქშოუებისგან. ისე მოხდა, რომ სწორედ ამ გადაცემის ყურება მომიწია.

საერთოდ, კარგია, როდესაც ქვეყანაში ნოვატორი ადამიანები გამოჩნდებიან და რაღაც ახლის შექმნას ცდილობენ. ახალი ხომ ყველაფერი კარგია: ახალი ბინა, ახალი ცოლი, ახალი კარტოფილი. შალვა რამიშვილმა და მიშა მშვილდაძემაც სწორედ ახალი სტილის თოქშოუს გაკეთება გადაწყვიტეს, მაგრამ პირადად მე ამ გადაცემაში ვერაფერი ახალი ვერ ვნახე. არადა ფაქტია, რომ ჩათლახის, ბოზის, ყვერებიანის და ამდაგვარი ტერმინოლოგიის გამოყენებით, მათ, ქართულ ტელესამყაროში თავისი სიტყვის თქმა უნდოდათ (შეიძლება ახლაც უნდათ), მაგრამ ერთადერთი, რაც მათ შეძლეს ის არის, რომ ტელემაყურებელს და ჩემი მეგობრის ბებიას გაოცებისაგან პირი დააღებინეს.

კრიტიკული წერილის წერა არ მინდოდა, მაგრამ, როგორც ვატყობ, სწორედაც რომ, კრიტიკა გამომივა, ამიტომაც დეტალურად გავაკრიტიკებ ყველას და ყველაფერს.

### შალვა

შალვა რამიშვილი. ეს სახელი ქართული შოუ-ბიზნესის "აღორძინებას" უკავშირდება. ყველას კარგად ახსოვს თუ რა ფურორი მოახდინა, როდესაც ჯგუფ "სახეს" პროდიუსერი იყო, მაგრამ ეს ახლა არაფერ შუაშია. შალვა, რომ უდავოდ ნიჭიერი ადამიანია, ამას წყალი არ გაუვა. პირადად არ ვიცნობ, მაგრამ თუნდაც გადაცემის მსვლელობისას მიმდინარე დისკუსიებში შეიმჩნევა მისი ინტელექტის კოეფიციენტი. კარგია განათლება, მაგრამ ისიც კარგია, როდესაც იცი რაში უნდა გამოიყენო შენი ნიჭი. ამ შემთხვევაში შალვამ არ იცის, ვიტყოდი - თავის გზას აცდა, როგორც ტელეწამყვანი არაფრად არ ვარგა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან, შეიძლება ითქვას, ზედმეტად აქტიურია. რამიშვილი ყოველთვის ცდილობს შეუპოვარი ჟურნალისტის ოსტატობა (ჩამჭრელი კითხვა დაუსვას გადაცემის სტუმარს, თან ისეთ დროს, როცა მისგან ასეთ შეკითხვას არ ელის) გამოამჟღავნოს, რაც ხშირად დაუკრეფავში გადადის, ისეთ კითხვებს იძლევა, თვითონაც ვერ ხვდება რა თქვა, მერე კი ცდილობს სიტუაცია გამოასწოროს. მის არაპროფესიონალიზმზე მეტყველებს ჟარგონები და უცენზურო სიტყვები, რომელსაც დიდი სიხარულით და ბედნიერი სახის გამომეტყველებით წამოაყრანტალებს ხოლმე, მერე მიშა მშვილდაძეს გადახედავს - ხო მაგარი ვარო. ერთხელ, გადაცემაში ირაკლი ჩარკვიანი ჰყავდა სტუმრად მიწვეული. საოცრად ბრძნული და ყოვლისმომცველი საუბრის შემდეგ, შალვა რამიშვილმა ირაკლი ჩარკვიანს, პირდაპირ ეთერში სთხოვა - მიდი რა, ერთი კაი ყვერებიანი სიმღერა დაწერეო. თქვენ იცით რა არის ყვერებიანი სიმღერა? მე არ ვიცი და თუ ვინმეს გაეგება ასეთი სიმღერების, უმორჩილესად ვთხოვ გამაგებინოს. უცენზურო სიტყვები მრავლად ისმის ამ უაღრესად შინაარსიან გადაცემაში, მაგრამ მათზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, ამიტომაც სხვა რამეს მინდა შევეხო და შალვა რამიშვილის ერთი პატარა, მოკრძალებული, მაგრამ ძალიან სასარგებლო გაკვეთილი ჩავუტარო ქართულში - იგინები, კარგი, მაგაზე არ შეგედავები, მეც ვიგინები ხოლმე, მაგრამ სიტყვა, რომელიც არ იცი, ქართულად როგორ ითქმის, აღარასოდეს აღარ თქვა, მაგალითად: გალსტუკი კი არა ჰალსტუხი. ამას იმიტომ გეუბნები, რომ სკოლის პერიოდში ტელევიზიით რაღაც პროგრამა გადიოდა, სადაც ერთ-ერთმა ტელეწამყვანმა შემდეგი ფრაზა წარმოთქვა -კახეთის ტრასაზე მანქანები ძალიან სწრაფად მოძრაობდნენ - რამოდენიმე დღის შემდეგ ქართულში თავისუფალი თემა მქონდა დასაწერი. თემაში გამოვიყენე სიტყვა ტრასა, რის გამოც ჩემმა საყვარელმა მასწავლებელმა ჯანა ამირეჯიბმა ნახევარი ნიშანი დამაკლო. მერე და ვისი ბრალი იყო ეს? ვისი და ტელეწამყვანის. ასე რომ, ჩემო შალვა - ნუ ჩადგები მეოთხემეხუთე კლასელების ცოდვაში.



რამიშვილი ყოველთვის ცდილობს, ჩამჭრელი კითხვა დაუსვას გადაცემის სტუმარს, თან ისეთ დროს, როცა მისგან ასეთ შეკითხვას არ ელის.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

### მშვილდაძე

მიშა მშვილდაძესთან ნაკლები პრეტენზიები მაქვს, ის, მთელი გადაცემის განმავლობაში სტატისტის როლში გვევლინება და შალვას უფრო მეტს ელაპარაკება, ვიდრე სტუმრებს. ვფიქრობ, ძალიან მორიდებულია და ცოტა რცხვენია კიდეც, მაგრამ მაინც მედგრად დგას მთელი გადაცემის განმავლობაში. აჯობებდა, ის სითამამე გამოეჩინა, რომელიც თან სდევდა მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც რადიო "105-ში" მუშაობდა და ყველა გადაცემა შემდეგი ფრაზით დაემთავრებინა - გადაცემა მომზადებულია მხოლოდ ჩემ მიერ, ყველა სააგენტოს თავზეც გავიარე. შეეშვი მიშა ბუდგუზონიას და მიეც ნიჭსა გზა ფართო, შენი ინტელექტის პატრონი უფრო მეტს იმსახურებ, თან მიღწევაც შეგიძლია, რასაკვირველია, თუ გინდა. ისე შენი ამბიცია გაცილებით მოკრძალებულია შალვასაზე, შალვას მთელი მსოფლიოც კი არ ჰყოფნის, ეს მის თვალებში ამოვიკითხე.

### სტუდია

წამყვანები ასე თუ ისე გავაკრიტიკე, ახლა სტუდიის რიგი დადგა. დიდი მონიტორი, მინდა გითხრათ, კარგი მიგნებაა და შეიძლება წინ გადადგმულ ნაბიჯადაც ჩაითვალოს, რასაც ვერ ვიტყვი სტუმრებისთვის განკუთვნილ სავარძლებზე. მაგ სავარძლების კომფორტულობა არ განმიცდია, მაგრამ შემიძლია გითხრათ რას ჰგავს. რას ჰგავს და უჩუქურთმო საკარცხულებს, რომლებიც წითლად შეუღებავთ, თან ისე ახლო-ახლო დგას ერთმანეთთან, რომ შორაპანის რკინიგზის სადგურის მოსაცდელ დარბაზს მაგონებს. თქვენს, წელში გამოყვანილ, მაღალ სკამებს არაუშავს, ეტყობა, რომ კარგი გემოვნებით არის შერჩეული. და მაინც, როდესაც თქვენს გადაცემას ვუყურებ (ეს ძალიან, ძალიან იშვიათად ხდება), სულ მგონია, რომ მე-6 სკოლის სპორტულ დარბაზში მშობელთა კრება იწყება. ურიგო არ იქნებოდა დიზაინერისთვის მიგემართათ სტუდიის ინტერიერის დასახვეწად. ჰო, კიდე რა მაინტერესებს, იცით, გადაცემის მსვლელობის დროს ტაში-ტუში რო ისმის, აუდიტორია გყავთ მოწვეული თუ თქვენები, რეჟისორები, ოპერატორები და პროდიუსერები უკრავენ ტაშს?

### დედააზრი

ახლა კი ყველაზე მთავარი - გადაცემის აზრი, იდეა, შინაარსი. თავიდან მეგონა, რომ დებატები 202-ზე ღამის კურიერის და ღამის მზერის კონკურენტი თოქშოუ უნდა გამხდარიყო, მაგრამ ეს აზრი ძალიან მალე, პირველივე დებატების დასრულებამდე უარვყავი. მერე ვიფიქრე, ალბათ, დებატები 202-ზე ღამის შოუს მსგავსი გადაცემა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს აზრიც თავიდან ამოვიგდე. კიდევ ვიფიქრე და იმ აზრამდე მივედი, რომ დებატები 202-ზე ამავე ტელეკომპანიის საშინლად საინტერესო გადაცემების "კენოსა" და "შიშველი სიმართლის" კონკურენტი გახდებოდა, ამ გადაცემებს კი ნამდვილად შეუძლია გაუწიოს კონკურენცია, მაგრამ...

...საბოლოოდ, ერთ დასკვნამდე მივედი - თოქშოუ, დებატები 202-ზე იმ ხალხისთვის არის განკუთვნილი, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში მძიმე, დატვირთულ შეხვედრებზე, თათბირებზე და პრესკონფერენციებზე დადიან და საღამოს განტვირთვა სჭირდებათ. თქვენ თვითონ განსაჯეთ: "ვინმე" გამოდის პრეზიდენტის კაბინეტიდან, სადაც მას ბევრჯერ დაუქნიეს თითი - იცოდე, კარგად მოიქეცი და პრობლემები მოაგვარეო. დათრგუნული "ვინმე" გამოდის კაბინეტიდან და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ განიტვირთოს, ამისთვის კი ძალიან ცოტა საშუალება აქვს. პირველი - წავიდეს და გაბრაზებულმა თავის ხელქვეითებს ისევე უქნიოს თითი, როგორც მას პრეზიდენტი უქნევდა, მაგრამ მან იცის, რომ მისი ხელქვეითებიც იგივეს გააკეთებენ, ასე რომ, სარგებელი არ იქნება. მეორე - მარტომ დალიოს ორი ბოთლი არაყი და დაიძინოს - გაითიშება და აღარაფერი ეხსომება, მაგრამ მეორე დღეს ნაბახუსევი იქნება. არც ეს ვარიანტი გამოდგება. მესამე - სახლში წავიდეს და მუსიკას მოუსმინოს, მაგრამ მუსიკა მას უფრო ჩააღრმავებს პრობლემებში, რაც განტვირთვის მაგივრად, უფრო დათრგუნავს, არც ეს ვარიანტი გამოდგება. რაღა დარჩა? რა და დებატები 202-ზე, სადაც ბატონი "ვინმე" დაპატიჟებულია (მაგ გადაცემის სტუმართმოყვარეობის ამბავი რომ ვიცი, დაუპატიჟებლადაც დიდი სიამოვნებით მიიღებენ) და შესვლისთანავე შალვა მიაძახებს (არ დაგავიწყდეთ, რომ ყველაფერი პირდაპირ ეთერში ხდება) - რავა ხარ "ვინმე", ჩემი ძმა? მიშა ჩუმად არის, ალბათ, წებო აქვს ნაჭამი. ამის შემდეგ "ვინმე", რომელიც თურმე შალვა რამიშვილის ძმა ყოფილა, შვებით ამოისუნთქავს და - კარგად ჩემი ძმა, თავად? - მიაძახებს შალვას. მოკლედ, ეს გადაცემა მხოლოდ იმისათვის გააკეთეს შალვამ, მიშამ, ზვიომ და თვით კოტემ, რომ ქართველი ნაღები ფენა (ელიტა) განტვირთონ.

შეიძლება ვცდები კიდეც, მაგრამ ამ გადაცემას სხვა დატვირთვა არ გააჩნია. არც ერთი მოვლენის ანალიზს არ აკეთებენ, არც ამა თუ იმ პიროვნების გამინისტრებას არჩევენ და თუ ზურაბ ვადაჭკორიას ფოკუსების გასაშუქებლად გააკეთეს ეს გადაცემა, მაშინ თქვან, რომ სანდრო ნავერიანმა და ვიღაც მისთანებმა კრიტიკული თუ სასიყვარულო წერილები აღარ წერონ.

### დაბოლოს

ისე ერთი თხოვნა მაქვს, ამ ბოლო დროს ხშირად ვაბირჟავებ მეგობრებთან ერთად - კარგი იქნება თუ მე და ჩემს მეგობრებს დაგვპატიჟებთ თქვენს გადაცემაში. "სემიჩკას" და სიგარეტს წამოვიღებთ.

ეს ბოლო წინადადება შეიძლება არასერიოზულად ნათქვამი მოგეჩვენოთ, მაგრამ მერწმუნეთ, ახლა რომ სერიოზული ვარ, ასეთი სერიოზული არასოდეს ვყოფილვარ. ძალიან მინდა ტელევიზორში გამოვჩნდე.

**P.S. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ თუ რამე პრეტენზიები გაგიჩნდათ, პირადად მე მომმართეთ. შეგიძლიათ დამიკავშირდეთ ტელეფონზე 20-24-24 ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით snaveriani@24hours.ge**

## TV პროგრამა

23 ივნისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.50** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.15** მხ. ფილმი "ჩვენ ჯაზიდან ვართ"(გ) **15.20** სერიალი "სასწრაფო" **16.25** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "ნათლია" **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **23.45** ევროპის ჩემპიონატი. "გერმანია"-"ჩეხეთი" **02.00** მხ. ფილმი "ბონი და კლაიდი". მთ. რ-ში: უორენ ბიტი (18).

### TV5

**07.00, 09.00,** 11.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.00(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.00** სერია 3 უდიდესი სპორტული დუელები. **09.30** ტელედილა. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **17.30** ერთ ზაფხულს. მხ.ფილმი. რეჟისორი სებასტიენ გრალი. 2003. **21.25** ვენსანი, კერენ ანი, ბენაბარი და სხვები. დოკ.ფილმი. **01.00** არაბული მუსიკალური კინო. ჰოლივუდი ნილოსზე. დოკ.ფილმი. **05.00** სამხრეთის ანარეკლი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 00.40** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.05** დოკ. ფილმი "შავკანიანთა მუსიკა" 1-ლი ს. **15.20** სერიალი "რვაფეხა-5" 1-ლი ს. **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **16.20** დოკ. ფილმი "სიკვდილს გადარჩენილნი" **17.00** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **17.30** "მუსიკალური არჩევნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "უშიშართა ახალი თავგადასავალი" **18.45** "ევრო-2004" (მიმოხილვა) **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** "ღამის მატარებელი" **23.35** ფეხბურთი. ჰოლანდია-ლატვია **01.35** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **01.55** მხ. ფილმი "ნივთმტკიცება" (15)

### ІБІ

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "ცხოვრება და მეტი არაფერი" მთ. რ-ში ფილიპ ნუარე, საბინ აზემა. **03.00** პაუზის გარეშე

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** 20 სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "მარტო სახლში" (მ. კალკინი) (გ) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "დევნილი" (ჰ. ფორდი) (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "ავტორიტეტები" (მ. ფრიმენი) (18)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "კამელოტის ქალები" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "დიდი" (გ) (ტომ ჰენკსი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "მაიმუნების მეფე" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **18.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "მოქალაქის დამლა" (18)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** დოკ. ფილმი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **21.20** ჩვენი მისამართია **22.00** მხ. ფილმები "ღიმილის ბიჭები"(გ)

### კავკასია

**17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 16.50, 17.20, 01.55** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** "ჩ-კლუზივი" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.25** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 1-ლი ს. **15.15** მხ. ფილმი "ხვალ კი ომი იყო" **17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.15** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" **21.30** "პირველი ნახევარი" **23.00** არტ-ბულვარი **23.30** მხ. ფილმი "მგზავრი" (რ. ჰაუერი) (15)

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "5 წლის ვიყავი როცა თავი მოვიკალი" **19.35** დოკ. ფილმი **20.30** კონცერტი **21.30** მხ. ფილმი "ყმაწვილი მეფე ლუი" (18)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 02.10** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** ფილმი-ზღაპარი "ბურატინოს თავგადასავალი" მე-3ს. **11.10** ვიდეოარტი **11.15** კომედია "სიყვარულის ისტორია" **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** მხ.ფილმი "რომაელ ცენტურიონის ჯვარი" **14.55** მუსიკა **15.20** კომედია "ოქროს კერპი" 1 ს. **16.45** მულტფილმი "გენიალური ბიჭუნა" **18.10** მუსიკა **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **19.00** დოკუმენტური ფილმი **20.15** "სტარტი" **21.00** კომედია "ვასაბი" **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.00** ბოევიკი "თოვლით დაბრმავება" **02.30** კომედია "უთქმელი სიყვარული" **04.25** ვიდეოარტი **04.30** ისტორიული ფილმი "სიკვდილის სადარაჯოზე"

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00** Новости **10.20, 22.30** Телесериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 19.50** Сериал **"КЛОН" 12.30** Мультсериал "Кошки-мышки". **12.40** Дисней-клуб: "Мышиный дом". **13.10** Александр Феклистов в фильме **"ОТРЯД" 15.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 16.10** Игорь Шавлак в детективе **"КРУТЫЕ: СМЕРТЕЛЬНОЕ ШОУ" 1** с. **17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.00** "Шутка за шуткой". **19.20** Док. сериал "Прогулки с морскими чудовищами". **20.50** "Стирка на миллион". **21.00** Телесериал **"ЧЕРНЫЙ ВОРОН". 22.00, 00.30** Время. **23.40** Спецназ. "Дуэль на вертикали". **00.50** "Сканер". **01.20** "Гении и злодеи". **01.50 Футбол.** Чемпионат Европы. **Сборная Германии - сборная Чехии**. **03.55** Сэм Нил в триллере **"ПРЕДЗНАМЕНОВАНИЕ" 05.40** Новые чудеса света. "Нейпир - город потерянного времени".

### НТВ

**07.00** Утро на НТВ. **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.10** "Сегодня" **13.30** Александр Панкратов-Черный в комедии **"ЗА ПРЕКРАСНЫХ ДАМ!"**. **15.05** Время есть. **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Тайная жизнь росомахи". **19.35** Протокол. **20.40** Сериал **"МАНГУСТ: ПОСЛЕДНИЙ ВЫСТРЕЛ". 21.45** Сериал **"ЖЕЛАННАЯ". 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела. **23.50** Сериал **"ОДНАЖДЫ В КАЛИФОРНИИ". 00.55** Сериал **"КЛАН СОПРАНО". 02.35** Теннис. Уимблдонский турнир.

## სკანვორდი



# სექსუალური "წრე" - თეატრალურ სარდაფში

კახა ცეცვაძე

იმ უამრავი ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის ფონზე, რომელიც მედიითა და ხელოვნების ნაწარმოებების სახით ვრცელდება, საზოგადოებისთვის სექსზე საუბარი უკვე სკანდალურადაც აღარ ჟღერს, მაგრამ თეატრალური სარდაფის დამფუძნებელი და რეჟისორი ოთარ ეგაძე თვლის, რომ ამ თემას ჩვენს საზოგადოებაში გარკვეულწილად "ტაბუ" აქვს დადებული და მიიჩნევს, რომ დიალოგის ეს ფორმა დღეს აუცილებელია.

ამ დიალოგისთვის იგი ამერიკელი დრამატურგის დევიდ გერის პიესას "წრე"-ს ირჩევს; რომელიც XIX საუკუნის ავსტრიელი დრამატურგის არტურ შნიცლერის პიესის თანამედროვე ვარიანტს წარმოადგენს.

პიესა დაყოფილია ათ ინტიმურ აქტად - ტაქსისტი და მეძავი ქალი, ტაქსისტი და მოსამსახურე ქალი, მოსამსახურე და სტუდენტი, სტუდენტი და გათხოვილი ქალი, გათხოვილი ქალი და პოლიტიკოსი, პოლიტიკოსი და მოდელი, მოდელი და დრამატურგი, დრამატურგი და მსახიობი ქალი, მსახიობი ქალი და არისტოკრატი, არისტოკრატი და მეძავი გოგონა; ამ ჩამონათვალზე უბრალო თვალის გადავლებითაც ჩანს, რომ ეს გახლავთ წრე, წრე საზოგადოებისა, განსხვავებულ სოციალურ მდგომარეობათა ჯაჭვი, რომლის საზღვრებიც საკმაოდ გამიჯნულია, მაგრამ სექსი საზღვრებს არ ცნობს, ღალატისა და მეშჩანური მოთხოვნილებების მოშველიებით არღვევს მას და საკმაოდ რეალურ სურათს გვიხატავს იმ საზოგადოებისა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. სექსუალური ფანტაზიები და ორგაზმის ხანგრძლივობაში რეკორდის დამყარების სპორტული ინტერესი კომიკურ ხასიათს სძენს პიესას. თუმცა, როგორც ოთარ ეგაძესთან საუბრისას ირკვევა, პიესა დრამატურგმა სერიოზულ, დრამატულ ნაწარმოებად შექმნა, მაგრამ არ ღირს ამ თემის დრამატიზირება, ამიტომ რეჟისორი თვლის, რომ მსუბუქი იუმორითა და ირონიით საუბარი საზოგადოებასთან გაცილებით აიოლებს აღქმას.

იუმორისტულ ჟანრს, კი შესანიშნავად ართმევს თავს მსახიობთა არაჩვეულებრივი ანსამბლი - დუტა სხირტლაძე, გიორგი მეგრელიშვილი, აჩიკო სოლოღაშვილი, ონისე ონიანი, ნინელი ჭანკვეტაძე, თამთა ცინცაძე, ნანკა კალატოზიშვილი, ნინო ნინუა. ისინი კონკრეტულ პერსონაჟებს კი არ ანსახიერებენ, არამედ - ორ-ორ პერსონაჟს, ზოგ შემთხვევაში პერსონაჟები დაყოფილია ორ ნაწილად - ორგაზმამდე და ორგაზმის შემდეგ, რომელსაც ორი სხვადასხვა მსახიობი ასრულებს. ამით რეჟისორი ქალისა და მამაკაცის სექსუალურ თანაცხოვრებაში მრავალფეროვნების შემოტანას ცდილობს, ანუ ქალს სურს მამაკაცი აღიქვას (ამ კონკრეტულ შემთხვევაში), როგორც-მძღოლი ტაქსისტი, შვილის ტოლი სტუდენტი, ცივი გონების პოლიტიკოსი, შემოქმედი-ხელოვანი დრამატურგი, და დენდი - არისტოკრატი. ყველა ამ ტიპის ადამიანის თვისება გაერთიანებული ერთ კაცში, ის იდეალური მამაკაცი არის, რომლისკენაც მიილტვიან პიესის პერსონაჟი ქალები და არღვევენ ყოველგვარ სოციალურ საზღვრებს. იგივე ითქმის პერსონაჟ მამაკაცებზე, რომლებიც იდეალურ ქალში ეძებენ მეძავს, მოსამსახურეს, კონსერვატორ ცოლს, მოდელს და არტისტული ბუნების მატარებელ მსახიობ ქალს.

სწორედ ამ სრბოლას, წრეზე ბრუნვას, იუმორს და ლამაზ სანახაობას სთავაზობს თბილისელ მაყურებელს რეჟისორი; მასთან ერთად კი ამ პიესაზე მუშაობენ: ქორეოგრაფი გია მარღანია, მხატვრები სანდრო ერისთავი და ნინო ჩიტაიშვილი, მუსიკალური გამფორმებელი ზურა გაგლოშვილი. მათ არა ერთი საინტერესო სპექტაკლი შეუთხზავთ ერთად. ასე რომ, მართლაც მნიშვნელოვან და გემოვნებიან სპექტაკლს უნდა ველოდოთ, რომელიც უამრავი კითხვის დასმას მოითხოვს მაყურებლისგან და პასუხის მოძებნას იმ რეალობაში, რომელშიც ვცხოვრობთ.

პიესა დაახლოებით ოთხი თვის განმავლობაში მზადდებოდა და უკვე დასასრულს უახლოვდება. შეგვეძლო ივლისის დასაწყისში უკვე გვენახა პრემიერა, მაგრამ თეატრალურ სარდაფში სეზონი დაიხურა. ასე რომ, როგორც ოთარ ეგაძე გვპირდება, სექტემბერში სეზონი სწორედ ამ პრემიერით გაიხსნება.


## სწავლა ლონდონში

ხელმისაწვდომ ფასად

MBA მარკეტინგი / ფინანსები / IT

MSc საინფორმაციო ტექნოლოგიები / კომპიუტერული სისტემის ინჟინერია / ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი £3950 საბაკალავრო 16.

... 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) ... £ 6950.

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

... £ 1000 ...

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ტელ: 253045, 230284 მობ. 899-352067

E-mail: stmgeorgia@hotmail.com

www.stmlondon.co.uk



**ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრი ს.ს.ი.პ.**
**საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის დაკვეთით აცხადებს კონკურსს**
**შემდეგ თანამდებობებზე:**

**საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერი**

**ფუნქციები და მოვალეობები**
- საინფორმაციო სამსახურის კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავება;
- ახალი ამბების პროგრამის ხელმძღვანელობა;

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
- უმაღლესი განათლება მენეჯმენტში
- უცხო ენის ცოდნა
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- ორგანიზებულობა
- კომუნიკაბელობა
- გუნდური მუშაობის უნარი

**მუსიკალურ-გასართობი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კინოს, სპორტული, კულტურულ-საგანმანათლებლო, საბავშვო-საყმაწვილო მიმართულებების პროდიუსერები (6 ვაკანსია)**

**ფუნქციები და მოვალეობები**
- შესატყვისი მიმართულების კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა;
- მიმართულების შესატყვისი პროექტების შერჩევა;
- პროექტების განხორციელების კოორდინაცია, მონიტორინგი და მენეჯმენტი

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
- უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში
- სასურველია უმაღლესი, ან დამატებითი განათლება მენეჯმენტში
- უცხო ენის ცოდნა
- სასურველია ტელევიზიაში მუშაობის გამოცდილება
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- ორგანიზებულობა
- კომუნიკაბელობა
- გუნდური მუშაობის უნარი

**განცხადების მიღების ვადაა 10 ივნისიდან 25 ივნისამდე**

***დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრს.***

**მისამართი:** მელიქიშვილის 12, სასტუმრო საქართველო, V სართული.
ტელეფონები: 22 13 23, 22 13 32, pmc@internet.ge



თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24



JAZZ საქართველოს ბანკის თბილისის ჯაზფესტივალი

VIII TBILISI INTERNATIONAL JAZZ FESTIVAL




**26 ივნისი 2004 – დიდი საკონცერტო დარბაზი**
**20:00** ჯონ მაქლაგლინის „შაქტი" (ინგლისი/ინდოეთი)

**27 ივნისი 2003 – კუს ტბა**
**17:00** თბილისის მუნიციპალიტეტის საკონცერტო ორკესტრი და მეგობრები (საქართველო/რუსეთი)

**29 ივნისი 2004 – დიდი საკონცერტო დარბაზი**
**20:00** ქრის ბოტი და მისი ჯგუფი (აშშ)
**22:00** ბობი მაქფერინი (აშშ)

**30 ივნისი 2004 – დიდი საკონცერტო დარბაზი**
**20:00** მაიკლ ფრენქსი და მისი ჯგუფი (აშშ)

**1 ივლისი 2004 – აჭარა მიუზიქ ჰოლი**
**20:00** მაიკლ ფრენქსი და მისი ჯგუფი (აშშ)

ტელ.: + 995 32 954001 www.easternpromotion.com

US Embassy Austrian Teliani Valley Sheraton Metechi Palace Ernst & Young GEONET



## ლაგუნა - შეკვეთილი



დასასვენებელი კომპლექსი ოზურგეთის რაიონი, დაბა შეკვეთილი
2004 წლის ზაფხულის ფასები

**სასტუმრო**
- 1 პერსონა 1 დღე 22 USD
- 7 დღე და მეტი 20 USD

**პანსიონატი**
- 1 დღე 1 პერსონა 9 USD
- 3-4 პერსონა 1 ოთახში 7.5 USD
- ბავშვი (4-10) 6 USD

**ფასი შეიცავს**
- ცხოვრებას სასტუმროში
- სამჯერად კვებას
- კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის მოედანს



**ფასი არ შეიცავს**
- სასმელის ღირებულებას
- მასაჟს
- სამრეცხაო მომსახურებას

ანგარიშსწორება ლარებში გამოქვეყნებული კურსის მიხედვით. ფასები გამოქვეყნებულია 2004 წლის მაისში. ცვლილება შესაძლებელია.

ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ: 8 99 507 606, 8 93 174 464



## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.